ვალერიან
გაფრინდაშვილი

რჩეული

სახელგამი
თბილისი
1956

ლექსები
1921 — 1941

ლენინი

მისი ხილვისას ერთი აზრი დამებადება:
კაცობრიობა თავიდანვე ლენინს ელოდა
და ისტორიამ, — მოქანდაკემ, — შექმნა ბელადი;
ამართულ ხელით ბრინჯაოდან ის გვეცხადება.

მისი სიცოცხლე ოქტომბრისთვის იყო მზადება.
ზოვიდა მუშა დიდ ქარხნების სამფლობელოდა,
შრომის ლაშქრობას, ვით სარდალი, მუდამ მშველოდა
ლენინის აზრი და ამ აზრის დიდი ნათება.

ჩვენ იგი გვახსოვს, ჯავშანოდან სიტყვის მფრქვეველი,
ეს ქარიშხალი, ერთ ქალაქში დაუტეველი.
ახალ ყოფისთვის გაარღვია ყველგან ყაბირი

და სისხლის მსმელი საკუთრება დაასამარა.
იგი, მდუმარე, გზას გვინათებს სხივთა ალებით,
ჩვენ მას შევცქერით სიყვარულით და მოკრძალებით.

1941.

ოარ ხეს, ცირკის წინ რომ დგანან, კირკის ძუჩაზე

მე ვესალმები კიდევ ერთხელ თქვენს ამწვანებას
და თრთოლვას ფარულს.
მე მოვესწარი გაზაფხულის ახალ ზმანებას,
ახალ სიხარულს.
იყავით ორი, და მირჩევდით მუდამ ორივე:
„ნუ ხარ ეული,
თორემ ჩაგითრევს მარტოობის შავი მორევი,
ბრაზმორეული“.
დღეს მაისია და მეგობრით თქვენთან მოვედი,
თქვენივე მსგავსი,
მე აღარ ვცხოვრობ ამპარტავან სიმარტოვეთი,
ზეიმით სავსე.
მე თქვენთან ერთად ვესალმები ნათელ ქვეყანას,
თვითონ ფოთოლი.
ნეტავი თქვენთან უფრო ადრე ის მომეყვანა,
ძვირფასი ტოლი.

ზღვა

ზღვას ენატრება იყოს პატარა,
ვით უნაზესი ჩიტი კოლიბრი.
თავისი თავი ვარსკვლავს ადარა,
ცაზე რომ ბრწყინავს დაუბრკოლებლივ.

ზღვას მოეწყინა თავის სიმძიმე,
ბუმბერაზობა, გრიგალი, მეხი.
ნახა სიზმარში ტბა მოციმციმე
და ჩინელ ქალის მტკივანი ფეხი.

ზღვას აღარ უნდა თავის სისრულე,
თითქო წურბელი გულზე მოება:
ულონო ტრფობით აწ დაისრულა —
სურს ბეჭდის თვალში განმარტოება,

რომ ქინძისთავის იგრძნოს სინაზე,
და თავის სმენით გაჰყვეს ნაკადულს,
რომ საქანელას მსუბუქ რკინაზე
ჩამოეკიდოს, როგორც კაკადუ.

მაგრამ მოვიდა ამალით ქალი,
თავის სახელი წყალზე დაწერა.
ნიღაბიანი, როგორც გრიგალი,
ღიმებოდა ის ალმაცერად.

ტალღა ავარდა მჩქეფარე სვეტად,
ტალღა — აფთარი და ეიფელი:
თავისი თავი ზღვამ გაიმეტა,
გაჰყვა დედოფალს, როგორც შლეიფი.

ბათომი, 1922.

ტფილისი

ტრფობა შენდამი, — დედაქალაქო,
ბავშვობიდანვე მე ავიცარი.
იქნებ გრძნობები ვერ დავალაგო,
მაგრამ გულში მაქვს შენი ისარი.

მინდა ვემთხვიო შენს ქვას, მცენარეს,
და მოვინათლო მტკვარის ტალღებით.
გავხედო ირგვლივ შენს არემარეს,
დავტკბე გმირულად ამართულ მთებით.

მამადავითი, ძველი ისანი,
მსურს ფეხშიშველმა შემოვიარო,
მე ვაღიარებ უწმინდეს ვალად —
შენ საუნჯეებს რომ ვეზიარო.

მსურს გავათიო ანჩხატში ღამე
და გავიგონო აღდგომის ზარი.
მრწამს მხოლოდ ერთადერთი სიამე —
ოქროს მადონა და ოპიზარი.

ვით დედის კალთებს, ვეალერსები
მე შენს გორაკებს — მთვრალი წარსულით.
მე მინდა ვპოვო შენი ფესვები,
სადღაც უფსკრულში გადაკარგული.

ცალ-ცალკე მიყვარს შენი ქუჩები,
როგორც ხელები საყვარელ ქალის,
ისევ დიდუბეს გავეყუჩები,
ორთაჭალაში დავწურავ ხალისს.

ფიროსმანივით დავეხეტები,
შენს ნამდვილ კვალს რომ წავაწყდე ბოლოს,
და სამხრეთისკენ მე ვიხედები —
ცეცხლით კრწანისი არ გაიბოლოს.

მაგრამ რა არის ტფილისის გრძნობა?
— მხოლოდ დაკარგულ ბეჭდის ხმაური.
ეს პოეტების არის სერობა,
სადაც შოთაა მძლე მეთაური.

27 სექტემბერი, 1922.

ბოლნისის სიონი

გიორგი ლეონიძეს

უხნიერესო! დროთა დროებამ
ეკლით შემოსა შენი თავანი.
დღეს აირჩიე განმარტოება
ისე, ვით პოზა ამპარტავანი.
შენ გეზმანება ძველი დღეები
და ძილში უსმენ ბრწყინვალე არაკს,
როს დედოფლები და მეფეები,
წარჩინებულო, გწირავდენ ზვარაკს.
შენ გეზმანება სულ სხვა წირვები,.
აბჯარასხმული ჯარების შეხლა
და სარკინოზნი გასაკვირვები
დადუმებულნი მიწაში ეხლა.
შენ გეზმანება თვითონ თამარი
და მშვენიერი მისი ამალა, —
ო, ვინ გასთხარა ჩვენი სამარე
და შენი სახე ვინ გადამალა?
შენთან მოვედი, ვით მოცრქული,
გამოგზავნილი ხმაურ ფაზისით.
მცირე მსახურად მაინც მიგულე,
ვსცნო შენი სახე უძვირფასესი.
მე ცისფერ ყვავილს არ შეგადარებ,
უსპეტაკესი ხარ საფირონი.
დროთა იარებს მუდამ ატარებ,
მაგრამ ტკბილია შენი მირონი.
ცრუ მსოფლიოში ბევრი ვიარე
და ვერსად ვპოვე მე დამშვიდება,
შეუდრეკელო, მეც მაზიარე
შენს მარადიულ ციურ დიდებას.

1920.

ისეთი ლექსი

ვიყავი მხოლოდ ლექსით მდიდარი,
არ მიძებნია მეტი ქონება
და ლექსის გარდა არავითარი
მე არ მხიბლავდა სხვა შთაგონება.

ისეთი ლექსი დავწერო მინდა,
რომ არ დამჭირდეს კვლავ ლექსის წერა.
მსურს დავიფერფლო, ვით ცეცხლი წმინდა
და ეს იქნება გედის სიმღერა.

ჩემი სიცოცხლე არის ლოდინი
ამ აგონიის და ამ სიმღერის.
რამდენი წელი, დღე რაოდენი
ვიყავ მძებნელი იდუმალ ფერის.

მე აღარ მინდა მეტი წვალება,
სულის და ხორცის ყოფაზე ზრუნვა,
დღეთა კოშმარი ცეცხლისთვალება,
რითმების ძებნა, სიტყვების ბრუნვა.

კმარა. გათავდეს მწველი ამბავი.
უკანასკნელად ვიმღერო მინდა
ლექსი, ჩემს შემდეგ დასასტამბავი —
ჩემი ანდერძი და სიტყვა წმინდა.

და მაშინ ვიტყვი გულგაპობილი:
— ბედო, შავპირო, გამიშვი ახლა,
გულში ჩამიკრავს მიწა მშობელი,
დამიტირებენ ვარსკვლავნი მაღლა.

ისეთი ლექსი დავწერო მინდა,
რომ არ დამჭირდეს კიდევ ცხოვრება,
და მჯერა, ჩემი სიმღერა წმინდა
სამშობლო მხარეს ემახსოვრება.

1926.

კომუნარებს

. . . . . .

ბარიკადებით დახაზული უცხო პარიზი.
ყოველი მხრიდან მარტოობით ნაალერსალი.
რკინის და ცეცხლის გაჩაღდება აქ ასპარეზი.
მოდის ჯარებით ეშვიანი, თეთრი ვერსალი.

და თქვენი ბრძოლა საშინელი, ვით აგონია,
არის ლალების მასკარადი სხვა ბრწყინვალებით.
და თქვენი ტანი ბარიკადზე — ლაოკოონია,
გველებს რომ ებრძვის, დაკლაკნილი მეტი წვალებით.

ის თქვენთან არის — კატასტროფის ხარბი მგოსანი,
ვით არტურ რემბო, გაგიჟებულ ბრძოლის უნარით:
მთვრალი ხომალდის კაპიტანი და ჯვაროსანი,
შორ სივრცეებზე მეოცნებე და კომუნარი.

სასტიკი მტერი ამ ბრძოლაში ულმობელია.
თქვენი აჩრდილი გადიხრება წელში ქალურად,
და სიკვდილის წინ დაისების სისხლში ალურად
ჩაიძირება მშვენიერი, ვით ოფელია.

მაქსიმილიან რობესპიერ

8 ივნისი 1794 წ.

ამ დღესასწაულს მეთაურობს, როგორც მესსია,
ცისფერი ფრაკით შემოსილი რობესპიერი;
სიბრძნის ძეგლის წინ დიქტატორი მჭევრობს ძლიერი.
ტიულრის ბაღში ქალ-ვაჟების სჩანს პროცესია.

მარსის მინდორი. ეს ზეიმი წმინდა წესია.
უზენაესის ქანდაკება სდგას ნებიერი.
ბავშვების ჰიმნი საკმეველზე უკეთესია,
მაგრამ ქურუმის იშმუშნება სახე ცბიერი.

გრევის მოედანს მიაშურებს თვალებს არეულს
და ხედავს თავის აგონიას, ჯერ სიზმარეულს.
დაედევნება თავმოკვეთილ დანტონის ლანდი.

მაგრამ თავს ისევ შეიკავებს ამაყი, ზანტი.
თავისუფლების ხეს უცქერის ის მორიდებით
და გულზე ყვავილს გაისწორებს ცხელი თითებით.

ჟან პოლ მარატ

რევოლუციის ის ბოჰემა იყო მარადი.
იმალებოდა სარდაფებში, ვით კეთროვანი.
მაგრამ გრგვინავდა უფსკრულიდან სიტყვა ხმოვანი,
რომ დაემსხვრია ამ ცხოვრების ცრუ მასკარადი.

ხუთი ათას თავს ულმობელი ითხოვს მარატი,
რომ ხალხის ბედი აელვარდეს ასფეროვანი.
ილესენ კბილებს ქოფაკების ხარბი ხროვანი.
ცაზედ ამართულ გილიოტინის ბრწყინავს პარადი.

შარლოტა კორდე გამოგზავნა მხდალმა ჟირონდამ,
მარატს ვანნაში ის ხანჯალით ჰკლავს უგუნური.
წყალი სისხლისფრად შეიღება და გამირონდა.

გმირს თავზე ადგას შარავანდი საუკუნური.
ასწიეთ მაღლა მისი ძეგლი — დროშების ტოლი:
ის იყო ხალხის მეგობარი და წინამძღოლი.

დანტონ

ჯანყის, ხანძარის აწყვეტილი მქუხარე ლომი,
თვითონ მსოფლიო დღეს მისია, ვით ასპარეზი.
ათი აგვისტო — მეფისათვის უსამარესი,
როცა დაინგრა მონარქია, ვით ძველი რომი.

ხან მოთენთილი და უძრავი, ხან დაუდგრომი.
მან მტრებისაგან არა ერთხელ იხსნა პარიზი.
ის ბრძოლის დროსაც ოცნებობდა არსის მხარეზე,
მუდამ ველების და საყვარელ ბუნების მდომი.

ხშირად ავსილი მრისხანებით, ის იყო ნაზი.
და იმას ახლდა დემულენი, ვით ორეული.
ღელავს კონვენტი — ოკეანე ცეცხლმორეული.

რობესპიერი მის სიცოცხლეს მოითხოვს ბრაზით.
სიკვდილი მოდის. ეს ცხოვრება არ ღირს ლოდინად.
ვერ შეათრთოლებს მას ოხერი გილიოტინა.

ინტერნაციონალი *

I

ეს არის ბრძოლა უკანასკნელი.
გავერთიანდეთ. სიკვდილი ღალატს.
ყაცობრიობა გახდება მთელი
სანატრელ ინტერნაციონალად.

1

თავი ასწიეთ, მშრომელნო, მაღლა.
შიმშილის, ბედის კატორღელებო.
ჩვენი გონება მძვინვარებს ახლა,
როგორც ეულკანი და გახელება.
გადავაქციოთ ჩვენ წმინდა დაფად
წარსული, ვსძლიოთ სასტიკი ძტერი.
ბრბოვ მონებისა, აღსდექი სწრაფად,
და მოვიპოვოთ ჩვენ ყველაფერი.

2

ჩვენ არ დაგვიხსნის ძალა ცეცერი,
ძირს კეისარი, ტრიბუნი, ღმერთი.
თვითონ გაეპედოთ ბედი ეზიერი
და გაიმარჯვებს კომუნა ერთი.
ტუსაღმა იხსნას თავისი თავი
და გადალახოს მან საპყრობილე.
დავანთოთ ქურა, ცეცხლი მგრგვინავი,
გაეპედოთ რკინა — ბრძოლის მხმობელი.

---

* იბეჭდება ნაწყვეტები ლექსებიან ციკლიდან „პარიზის კომუნა".

3

თვით სახელმწიფო არის უაჩაღი,
ჩვენი უფლება — ხმა ცარიელი.
თავზე გვეცემა, როგორც ნაჯახი,
ყალბი კანონი — მდიდართა მცველი.
ძირს მზრუნველები! დავგმოთ ტყვეობა.
თანასწორობა ჩვენ ახლა გვინდა.
დე, იყოს მუდამ მოვალეობა
და მასთან ერთად უფლება წმინდა.

4

ამშვენებს მდიდრებს ფარჩა, ბისონი.
ეხლა მათია მთელი მსოფლიო.
ჩვენი ნაშრომით უსინდისონი
სტკბებიან და ეს — ჩვენი ოფლია!
იმათ სკივრებში არის ყოველი,
რაც შექმნა შრომამ თავის დიდებით.
ვადგენთ: სიმდიდრე აქ მოგროვილი,
ხალხს დაუბრუნდეს ჭეშმარიტებით.

5

მეფენი ღვრიან სისხლს ნეტარებით.
მშვიდობა — ყველას! ბრძოლა — ჯალათებს!
ჩვენ გავაუქმოთ ომი, ჯარები.
სიკვდილი ყველას, ვინც გვიღალატებს!
კაცთმჭამელები და კალიები
ირაზმებიან მეტ გაშმაგებით,
მაგრამ ნახავენ: ცხელი ტყვიებით
შეუპოვარნი დავეტაკებით!

6

მიწა გვეკუთვნის ჩვენ და ჩვენ მხოლოდ,
ვინცა ვართ მიწის, ქარხნის მშრომელი.
მუქთახორები უნდა ჩავქოლოთ,
იქნება ბრძოლა დაუდგრომელი.

როცა გაწყდება მუქთახორები,
მხეცნი, ყორნები, ავი ქორები,
სასტიკი მეხი როს გავარდება,
მზე სამუდამოდ აელვარდება!
ეს არის ბრძოლა უკანასკნელი.
გავერთიანდეთ! სიკეთდილი ღალატს!
კაცობრიობა გახდება მთელი
სანატრელ ინტერნაციონალად!

II

თითქოს დაბადა იგი ღამტრამ
და მისი სული ბნელმა გამურა.
ის ჭეშმარიტი იყო სალახი
და მისი გული იყო ტალახი.

არ დაივიწყებს იმას მდიდარი,
არ დაივიწყებს იმას ღარიბი,
ის იყო სისხლის მოურიდარი
და ბევრი მოჰკლა კომუნარები.

იგი სასტიკი იყო ჯალათი,
თვითონ გადურჩა ღირსეულ სასჯელს
და დაუსჯელი მისი ღალატი
ხალხის წინაშე მეტია ასჯერ.

მასში მოგროვდა მთელი ნაწური,
მთელი ნალექი უქმი წოდების.
იგი ურცხვია და უწმაწური,
არ იცის წუთი მან შეცოდების.

ის უეჭველად არის სარდალი.
მისი ბატონი არის ტიერი.
მან აღადგინა კვლავ „სამართალი“.
ერის წინაშე სდგას კადნიერი.

ფეხზე დეზებით, ხელში მათრახით,
დიდი ყურებით, მკაცრი ტუჩებით, —
ის იცქირება შესაზარ სახით
და ესმის წყევლა დაუყუჩები.

მას ჯოჯოხეთის პირბნელ არეში
მოათავსებდა ალეგიერი,
სადაც გველების არის თარეში
და ქიმერების ხოხვა ხმიერი.

ეს გენერალი არის გალიფე[1] —
ურცხვი სიკვდილის ურცხვი მხლებელი.
პარიზო! ზიზღით მოაყალიბე
მისი სახელი — საფურთხებელი.

ერქვას კლოაკას მისი სახელი,
მისი ხსენება იყოს წყეული.
და გვიკარნახებს გულის ძახილი:
დავახრჩოთ მისი ჩვენ ორეული.

III

ლუიზა მიშელის სიმღერა განდევნაში

ეს არის ცივი კალედონია.
მე თითქოს ვხედავ წარსულს მთვარეში.
კომუნის მახსოვს მე აგონია
და ეხლა ვმღერი სიმწუხარეში.

---

[1] **გასტონ გალიფე** (1830 — 1909) — ფრანგი გენერალი, 1871 პარიზის კომუნის ჯალათი.

თეთრი ტოტებით სდუმს ნიაული.
მე ვგლოვობ წარსულს, ვით დეზდემონა,
და მოგონებით დამწვარი გული
ისევ კომუნის აჩრდილს ემონა.

ვებრძოდით ვერსალს კომუნარები
და ახლაც გვჯერა ჩვენ მომავალი.
მახსოვს დაისის ცხელი დარები,
თანამოძმეთა მსხვერპლი მრავალი.

ეს განდევნაა, მიუსაფარი
ჩვენი ბედია შავი წყვდიადი.
ქუხს ოკეანე, როგორც ზღაპარი,
მაგრამ იქნება სხვა განთიადი.

შენ, ნიაული, ასმინე სევდა,
რომელიც არის სავსე იმედით.
მე მოგონება დიდხანს მარწევდა
და მოქანცული ვიყავი ბედით.

ჩვენ გავიმარჯვებთ. ძირს ჭმუნვა, თალხი.
იქნება ჩვენი ისევ პარიზი.
დაუდგრომელი, მამაცი ხალხი
იქნება ბრძოლის მოასპარეზე.

ჩვენ გრიგალების არ გვერიდება,
არის სიზმარი ჩვენი ტყვეობა.
კიდევ წინ არის ჩვენი დიდება
და საზეიმო თეთრი დღეობა.

მე ღამეები მახსოვს ათასი.
საწყალი დედა მე მაგონდება,

ძმები, მოკლულნი ბარიკადაზე
და ჩემი სული ჩუმად ღონდება.

ჩვენ სამშობლოში გვსურს დაბრუნება.
ჩვენ შეცოდების არ ვართ მთხოვნელი.
გვსურს საკუთარი ვნახოთ ბუნება,
ვნახოთ ჯეჯილი მოოქროვილი.

ო, რა თეთრია მთვარე პირსავსე,
ო, როგორ გლოვობს წარსულს ეს გული
და დეზდემონას ტირიფის მსგავსი
თავზე დამტირის მე ნიაული.

ტუეს

ეგ შენი მწვანე სამეფო
კოშკია მიუწვდომელი.
სული და გული დამება,
ვარ მუდამ შენი მდომელი.

თუ ბინას აძლევ ნისლებსა,
მეც მომეც თავშესაფარი.
მინდა გიამბო ნავახშმევს
ჩემი ცხოვრების ზღაპარი.

მე ხშირად დაგშორებივარ,
ხშირად ვყოფილვარ ობლადა,
მაგრამ მახსოვდი ყოველთვის,
მიგულვებიხარ მშობლადა.

მიმიღე შვილი ცოდვილი,
მაპკურე წმინდა ცვარები,
რომ განიკურნოს სენიდან
ეს გული ნახანძარები.

ხარ მუდამ ამპარტავანი
შენ — უხუცესი ბუნების.
გრიგალის არ გეშინია,
მის წინ არ მოიღუნები.

ხშირად გიცქერი ბარიდან,
მთაზე გაშლილხარ ზვიადი.
მოსჩანს ყოველი მხარიდან
შენი მწვანე და წყვდიადი.

ცას ებჯინები თავითა,
გიყვარს ელვა და მეხები.
და ამაყობენ რუები,
რომ შენ დაგბანეს ფეხები.

მიყვარდა შენი ნისლები,
შენი ფოთლების შრიალი,
და ქარში შენი ტოტების
ზღვასავით ორომ-ტრიალი.

დაუჭკნობელო! შენს გარდა
არ მყვარებია არავინ.
ისევ მეძახის შორიდან
შენი ფოთლების კარავი.

შენ მაზიარე წყაროებს.
გრილი ნიავი მწყურია.
მე შენს ტრფობაში, ძლიერო,
ოცნება დამიწურია.

გყავს მგალობელი ჩიტები,
ფრინველთა მთელი კრებული,
მცირე საჩუქრად მიიღე
ეს გული ამღერებული!

1926

რიოლნი

გრიგოლ ტორაძეს

ხარ ფალავანი და ბედაური.
შენი ტალღების მიყვარს თარეში.
შენი ნანინა, შენი ხმაური
ჩამწვეთებოდეს თვით სამარეში!
სუსხიან სევდით დაუბურავი,
მუდამ დამტკბარი იისფერ მთებით,
აღტაცებული ეიყავ მცურავი,
ვუერთდებოდი შენს ტალღებს ვნებით!
თავზე ტირიფის გვირგვინი მედგა
და გავდიოდი გაღმა მხარულით.
მე შევუტევდი შენს ტალღას მედგარს
ახალგაზრდობით და სიხარულით!
ზევიდან ჩქერებს გამოვყვებოდი,
მივცურაობდი ხიდ-ქვეშ სიმღერით.
როგორც ისარი, წყალზე ვდგებოდი,
მთვრალი ანთებულ ძარღვების ბგერით!
როგორ მიყვარდა შენი ტივები,
მათი შეხვედრა და მათი დევნა,
ბრინჯაოს ტანზე წყალის მძივები,
ღრმად ყვინთაობა და შენთან ხვევნა!
მახსოვს ბორანი ლაჟვარდისფერი,
ზედ გაშლილ ქოლგით უცნობი ქალი.
შემომეშხეფა სოველი მტვერი,
სული სავსეა ტრფობით და წყალით.
პირველი გრძნობის, პირველი ფიქრის
მესაიდუმლე მუდამ იყავი.
ჩემი ოცნება ზღვისაკენ მიჰქრის,

ვით შენი ტალღა შორს-გამრიყავი!
მე ვსარგებლობდი შენი არევით,
თევზებს ვიჭერდი ჭიან ანკესით,
შენ ყურს მიგდებდი მეგობარივით,
როცა გითხარი პირველი ლექსი.
დაუშრეტელი მწვანე ველებით
მხიბლავდეხ შენი სანაპირონი;
მოგქონდა დიდი საწნახელებით
მღვრიე მაჭარი, ცის საფირონი.
მე იორდანე შენი მიყვარდა
თეთრ ოლარებით, ბნელი ბრბოებით.
და შენს მშვენიერ ტალღების გარდა
ყველაფერს ვუცქერ ამაოებით.
როგორც დედასთან, მე შენთან მოვალ,
პატარა ბავშვის ტირილით გეტყვი:
მომიალერსე, დამიტკბე გლოვა,
კმარა სიცოცხლე სიცივით, სეტყვით!
ო, საყვარელო, კიდევ მწადიან
შენი ტალღები, შენი ფაფარი.
ჩემო ემბაზო, ჩემო გადია,
მომეცი შენთან თავშესაფარი!
დაუდგრომელო! მე ისევ მინდა
ვნახო უკვდავი შენი თარეში,
ვიგემო შენი ძახილი წმინდა,
რომ გამოვფხიზლდე თვით სამარეში!

ძიება

ჩემი სულია განძების ყუთი,
მაგრამ ამაოდ ვეძებ გასაღებს.
ნუთუ არ მოვა ისეთი წუთი,
რომ მაზიაროს ცის გახსნილ თაღებს.

მე მაინც მჯერა ცის გახსნის წუთი.
სთვლემს გასაღები ვარდის თაროზე,
თუ ვერ გავაღე განძების ყუთი,
იმას დავამსხვრევ, ვით ბარბაროსი.

მჯერა, ჩემშია ჭეშმარიტება
მთელი ბუნების, მთელი ბრბოების,
ჩაძირულია სულში დიდება
კიდევ არ ნახულ ბაჯაღლოების.

ვით მეზღვაური, ჩავყვინთავ ზღვაში,
რომ ვნახო ფსკერზე ოქრო და ლალი,
ერთად დარაზმულ ტალღების სვლაში
რომ დავიმკვიდრო ლურჯთვალა ქალი.

მშიერი ტალღა მესათუთება
და ზღაპრულ თევზებს ვხედავ გარკვევით.
მე წყალქვეშ სუნთქვა დამეხუთება,
როგორც დელფინი, ამოვალ ზევით.

ნუთუ ერთხელაც უცნობ სამკაულს
მე ვერ დავწვდები მთრთოლვარე ხელით,
მუდამდღე ველი მე დღესასწაულს,
რომ შევსვა თასი გამშრალი ყელით.

28 მარტი, 1928.

პოეზია

არ ვსჯი ცხოვრებას მე ალმაცერად
და არ ვაწუხებ მეტი ყბედობით.
როგორც პირველად ლექსის დაწერა,
მახარებს თავის უცაბედობით.
ჩემთვის მივდივარ და ჩემთვის ვმღერი,
მშვენიერია გზა ულეველი.
მახარებს ტყის და ხოხობის ფერი
კავკასიონი ნისლთა მფრქვეველი.
მე უკვდავ სიტყვას, ვით ცისფერ ყვავილს,
დავეძებ ყოფნის ვიწრო არეზე,
არ ვედავები შოთა რუსთაველს,
რომ გავხდე მისი მოასპარეზე.
კოშკი სიტყვისა დასაშურები
მინდა ავმართო აღფრთოვანებით,
და ვით სურამის ციხეს ზურაბი,
მე თვითონ ლექსში დავეტანები.

6 ოქტომბერი, 1928

ფეხსაცმლის მწმენდელთან

მე ვაწმენდინებ ფეხსაცმელს მწმენდელს
და ვფიქრობ ახალ პატიოსნებით:
— ო, ერთხელ მაინც, სიცოცხლევ, მენდე,
თუმც არ არიან სანდო მგოსნები!

მე დავიღალე ოცნების გზებზე,
და უსახლკარო შენთან ვბრუნდები.
მეტად ბასრია ჰაერი მთებზე,
მეტად ბრწყინავენ იაგუნდები.

ხრიზანტემების თეთრ სურნელებას
მე მირჩევნია სურნელი პურის,
და მარტოობის საშინელებას —
მშრომელი ხალხის სალამი ძმური.

ვზივარ და ვუცდი თავმდაბალ მწმენდელს,
უნდა ვისწავლო მეც თავმდაბლობა.
ო, ერთხელ მაინც, სიცოცხლევ, მენდე,
და მათქმევინე შენთვის მადლობა!

ჩემი მწმენდელი ქრისტეს მაგონებს,
მოწაფეებს რომ დაბანა ფეხი.
აწ განკურნებულს ვერ დამალონებს
ვერავითარი რისხვა და მეხი.

აპრილი, 1928.

ხილთა ქება

მე მიხარია შემოსვლა ბალის,
ის მომწონს ფერით, მომწონს გემოთი,
მაგრამ მე ვიჩენ უფრო მეტ ხალისს,
როდესაც ნაზი თუთა შემოდის.

იქნებ მაგონებს ბავშვურ დროებას
ოქროს ჭერამი დღეს მოწყვეტილი,
და მე განვიცდი სხვა სიტკბოებას,
როცა ვჭამ ტყემალს კბილმოკვეთილი.

როდის ავიყვან ხელში ბროწეულს,
როდის დავტკბები მის წითელ წვენით?
და ღარიბ პანტას, ჯერ არ მოწეულს,
როდის ვაკოცებ პირველი რწმენით?

თუ მოვესწარი მე გორის ატამს —
ბალის მშვენიერ, ფერად სამკაულს...
მაგრამ გამეხსნა უძღები მადა
და ველოდები მეტ დღესასწაულს.

მოველი ვაშლის და მსხლის მოსავალს
მათი სურნელი და მათი გემო
მე აღტაცებას აღმიძრავს მრავალს,
სიცოცხლე ხარბად რომ დავიჩემო.

ვნახე ბოსტანში ყარფუზის ფესვი,
მე დავითვალე ბურთი ცამეტი.
მთვარეზე უფრო ყვითელი ნესვი
მალე დაგვათრობს ჩვენ სიამეთი.

მე მაინც მახსოვს შავთვალა მოცვი,
კიდევ არ არის ის შემოსული.
ვამწიფებ მაყვალს ჩუმი შელოცვით,
რთველის იმედით გარემოცული.

მე გახარება კიდევ მომელის
ბყინტი სიმინდი, ყურძნის მტევანი! —
ეს უდიდესი ჯილდო მშრომელის,
ჩემი ოცნება და არჩევანი.

რა დამავიწყებს კვახსა და ნიგოზს,
სისხლისფერ შინდის აახივოსნებას!
და ხილთა კოშკი უნდა აიგოს
ჩემს მოწყურებულ მშიერ ოცნებას.

მწიფე ვაშლები კრთიან ვნებიდან,
როგორც ტოტების მწვავე ჰანგები.
თითქოს მოფრინდნენ შორ ქვეყნებიდან
და დასხდნენ ხეზე ფარშავანგები.

მალე შემოვა უნაბი, ბია,
ხილი მრავალი — მრუში და წმინდა,
და თუ ვიგემე ლეღვი მკერდია,
მე ნეტარება მეტი არ მინდა!

1928.

წერილი ნანას

შენზე ოცნება სიცხეს ანელებს,
როგორც ნიავი, ჩემო პატარა.
შორით გიკოცნი ნიბლია ხელებს
და შენი ეტლით მინდა გატარო.

ო, გენაცვალე, ხშირად ნუ სტირი,
ნუ დაისივებ უმანკო თვალებს.
გაგართობს წყნეთში მეხობლის ვირი,
ღიმილს შენს ტუჩზე ააციალებს.

ერთი სიზმარი წუხელი ვნახე,
ლაპარაკობდი თითქოს კიდევაც,
ეგ ხუჭუჭი თმა და ვარდის სახე
გამოგადგება, ალბათ, მზითევად.

მალე დაიწყებ, ნორჩო, სიარულს.
სულ მალე დედის ძუძუს დატოვებ
და სიტყვას ბავშვურს, სიტყვას მსიარულს,
როგორც სინაზეს, გადმომათოვებ.

იყავ ჯანმრთელად, ჩემო ფარვანა,
თორემ მე შენს დარდს ვერ გავუძელი,
პირში ნუ იდებ ყვავილებს, ნანა,
თორემ აგტკივა ისევ მუცელი.

თუმცა მოა-ბარი შენგან მაშორებს,
გეამბორები მაინც აქედან.
იძინე კარგად! სათამაშოებს
მე ამოგიტან ხვალ ქალაქიდან.

დედაქალაქი, ივლისი, 1928.

აწჰესი

რომელ გარდასულ დროთა ომების
აქ ქარიშხალმა ჩამოიქროლა?
ეს შეთქმულება არის გნომების
თუ ბუნებასთან დევების ბრძოლა?

არა! მშრომელთა მტკიცე მარჯვენამ
ეს მიუვალი დასძრა კლდეები,
გააპო მათი ამაყი ფენა,
დაისაკუთრა ეს სივრცეები.

მუშებს მთის გულში გაჰყავთ გვირაბი,
აღფრთოვანებით ვაქაცობს ყველა.
მედგრად იბრძვიან შრომის გმირები,
რომ გაიტანონ სასტიკი ლელო.

ჩამოწოლილან დასაბამიდან
კლდეთა კედლები, ვით დრაკონები,
მაგრამ მოდიან ჟამთა ღამიდან
აჯანყებული ლეგიონები.

უკვე გამოჩნდა ლაშქარი გზაზე,
ის აღებს მთების დაჯავშნულ კარებს,
და მოულოდნელ ლაღუმის ხმაზე
მთა შეფოთლილი ცწვანით, ზანზარებს.

ყოველ წერაქვის დაკვრა ძლიერი
ახალ სინათლის არის ნაკადი.
აქ ხელმძღვანელობს კონვეიერი,
შევარდენივით ნავარდობს ნადი.

სადაც ნადირთა იყო თარეში,
სინათლის კოშკი აღმოცენდება,
მზით დამშვენებულ ლამაზ მხარეში
გრძელ ღამის შემდეგ თეთრად თენდება.

აქ პრომეთეს და ციკლოპთა ჯარის
მართლაც გაცოცხლდა ძველი ზღაპარი
და გადაიქცა მიწა აჭარის
მათი ნამდვილი თავშესაფარი.

უნდა ჩაკეტონ კლდეში მდინარე,
რკინის გალია მისთვის მზადდება.
ჰიდროსადგური სხივმომფინარე,
ვით მზეჭაბუკი, დაიბადება.

შრომის საყვირი, გრგვინავს ხმოვანი,
ისევ შეტევა მარდი, გმირული.
იბრძვის ლაშქარი სახელოვანი
ხუთწლედისათვის თავგანწირული.

1929.

დროებით მაინც

დროებით მაინც მოვშორდი ტფილისს:
ირგვლივ ლურჯი და მწვანე სამეფო...
გარდა ამ ტყისა, გარდა ამ ჩრდილის,
თუ არის სულის სხვა დაამება?

ვხედავ პეპლების ფრენას წუთიერს,
ძე ყოველ დილით მოლაღურს ვხედავ,
მაგრამ ფრინველის დაჭერას ცბიერს
ვერ მოვახერხებ და ვერ გავბედავ.

ბალახში ნაზად გაჰკივის მწყერი,
ოდნავ მაგონებს ჩემს ბავშვის ტირილს.
ირგვლივ გუგუნებს ათასი მწერი,
შაშვის ჭახჭახი გაისმის ხშირი.

ზღვასავით ღელავს სათიბი ყანა,
ჩამოწვა ჩრდილი მაღალ მთებიდან.
მოჰქრის ნიავი, ვით იავნანა,
მოაქვს სალამი შორ ქვეყნებიდან.

და ღამით მაინც მოსჩანს ტფილისი
არა მტკივნეულ ცეცხლთა ალერსით,
გაისმის წნორის ხმა უტკბილესი
და ვარსკვლავთ სტვენა უმხურვალესი.

წყნეთი, ივლისი, 1929.

მებაღე

მშრალ შემოდგომის თბილი ქვეყანა
გულში აღვიძებს რაღაც სიმღერას.
აქვს მოგონებებს სიმწიფის ხანა,
როცა ისინი ატკბობენ ცქერას.

და რაც წარსულში იყო მარტივი,
დღეს ჩემთან მოდის მეტ სხივოსნობით.
თითქოს აღსრულდა, რაც ნანატრევი
მქონდა ოდესმე ჩემი ოცნებით.

ვრწყავ მოგონებებს, როგორც მებაღე, —
დიახ, ეს არის ჩემი მამული:
და თუ ცხოვრებას მე დავეთანხმე,
მიტომ, რომ იყო მზე მეწამული.

ოქტომბერი, 1929.

სიმღერა

ბევრი მგოსანი ჰგავს ყრუ ბეთხოვენს,
რომელიც გრიგალს უსმენდა შორით.
ცაში ხეტიალს გამოვეთხოვეთ
და მივაშურეთ მიწას ამბორით.

ჩვენ გავიჭერით ქუჩაში მარდად,
სადაც ახალი გაჩაღდა კერა.
ზაჰესთან ერთად ჩვენ აღვიზარდეთ,
მან გამოსჭედა ჩვენი სიმღერა.

და შეემატა სიტყვას სიმძიმე
უძლეველ რკინის და ფოლადისა.
უკან დავტოვეთ მთვარის ციმციმი,
ტემპი — დროშაა ჩვენი ნადისა.

ჩვენი სამშობლო სწრაფად შენდება.
ვიყოთ ლაშქარნი ახალ დროების.
და ჩვენი სიტყვაც აღმოცენდება
იქ, სადაც ბრწყინავს მზე წარმოების!

ქარხნის საყვირნი კვლავ გაჰკივიან.
მაშ მოწინავე რიგებში ყველა!
დღეს პოეზია კოლექტივია,
რომ ემსახუროს ხუთწლედს დამკვრელად!

1930.

რევოლუციის წარსულიდან

რევოლუცია ასრულებდა უძნელეს როლებს:
ის იყო გმირი და პატიმარი;
ის ატარებდა მრავალ სახეს, იხდიდა ბრძოლებს,
მუდამ მამაცი და მოლიმარი.
იმალებოდა სარდაფებში ჯანყის მდომელი,
იგი სიამით თავის დღეებს არ ალაღებდა,
მისი ნაბიჯი იყო მტკიცე და გაზომილი:
თავის მარჯვენით ის მომავლის კარებს აღებდა.
და, უსახლკარო, ის ათევდა ქუჩაში ღამეს,
აწყობდა სტამბას ფარულ ბინაში;
პირსისხლიანმა ჯალათებმა ბევრი აწამეს,
მაგრამ ის იდგა ქანდაკებად მტარვალთ წინაშე.
იგი ციმბირში ატარებდა ახალგაზრდობას
და ხშირად იყო მიჯაჭვული მთელი სხეულით;
იგი უწევდა აჯანყებულ სოფელს სარდლობას,
გამოუცნობი, ახლობელი და შორეული.
სპილოს ძვლის კოშკზე არასოდეს არ უფიქრია.
იყო სამსხვერპლო მისი კოშკი თვით სახრჩობელა.
ბევრი გმირები მოგონების ნისლში მოჰქრიან:
მათი სახელი ჩვენთვის ბრწყინავს ჩაუქრობელად.
ის დადიოდა დაფარულად, დაუმონები,
დემონსტრაციებს განაგებდა უჩინარ ხელით,
გამოიყვანა ქარხნებიდან ლეგიონები,
არვინ იცოდა მისი სახელი.
ხანგრძლივი იყო ჭერქვეშ ბრძოლა და მუშაობა —
რევოლუციის მიწის ქვეშ დენა,
მაგრამ ცხოვრება გადაიქცა ზედმეტ ჭაობად,
საჭირო იყო დაუქრობელ ცეცხლის გაჩენა.

როცა მოვარდა ოქტომბერი ქარის სისწრაფით,
როცა უსმენდნენ მას მუშები თრთოლვით, ცახცახ[illegible].
რევოლუცია აღსდგა ისე, როგორც მნათობი
და გამოცხადდა ლენინის სახით.

193[illegible]

პოეტი მონადირე

კვალ და კვალ მივდევ მე ახალ სახეს,
ტარიელივით გაჭრილი ველად,
ლურჯი ფრინველი სიზმარში ვნახე
და ის გამიხდა მე სანატრელად.

ჩემი ძაღლია — მარდი ოცნება,
ცხოვრების ტყეში ნაკვალევს ვუნოსავ
და არის წუთი — გასხივოსნება,
დაჭერილ სახეს მე სიტყვით ვმოსავ.

მაგრამ არიან ისეთი დღენი,
როდესაც ხშირად ვაცილებ მიზანს.
ვდგავარ მდუმარე დაღლილი სმენით
და არ ეუწოდებ ჩემს თავს გულთმისანს.

ვარ თავიდანვე ნადირთ მზვერავი
და ბევრი მახსოვს მათგან ქრილობა.
მესმის ხმა ვეფხვის გულდამსერავი,
თვალების ცეცხლი და შეშლილობა.

თუმც ნადირობა მეტად ძნელია,
არ ძალმიძს უკან მე დაბრუნება,
ცა უფსკრულივით საშინელია,
სდგას უზარმაზარ მდევად ბუნება.

კიდევ გამძლეა ჩემი ფეხები,
მივდივარ სულ წინ — თამამი ხვეაზე.
ან სადმე ხევში გადვიჩეხები,
ანდა გამოვალ სანატრელ გზაზე.

და რაც არ უნდა მოხდეს, ვიქნებით
მე და ტარიელ მუდამ ტოლები.
და ერთი რითმით, ერთი მიგნებით
თვითონ სიკვდილსაც შევებრძოლები

ელისი, 1936

ბროწეულის ტყე

იყო ბავშვური ჩემი სამეფო
ბროწეულის ტყე ბაგრატის მთაზე.
ეს მოგონება მესაბამება
და ეხლა ვმღერი ჭაბუკის ხმაზე.

სადა ხართ, ჩემო ბროწეულებო,
ასე უდროოდ რათ მიმატოვეთ?
თქვენი სურნელი და წვეულება
აქამდის მხიბლავს თავის მოტივით.

თქვენი ყვავილი და თქვენი ჩერო
წინათ მერჩია ყოველ ოცნებას.
ვერას გზით გული ვერ შევაჩერო —
თქვენს ხსენებაზე შორს იტყორცნება.

მე თქვენს ფესვებთან ვეძებდი იას,
პირველ პაემანს ველოდებოდი.
ფოთლების რხევას და საამიას
ჩუმად ვუსმენდი, ჩუმად ვტკბებოდი.

ოითქო მაკბეტის ტყე ჯადოსანი
ჩემკენ დაიძრა ბროწეულთ ჯარი,
მოგესალმება თქვენი მგოსანი,
ნახევრად ბრმა და სახედამწვარი.

სექტემბერი, 1930

მეჩქარება

შემოდგომაა და მეჩქარება
მრავალჯერ დავტკბე ძვირფას ბუნებით.
თუმცა ჩემი ხმა ისმის ღარიბად,
ვარსკვლავებს ვაინც ვესალბუნები.

ვინდა მოვასწრო ნახვა მთაწმინდის
და ქუთაისში ბაგრატის მთისა,
მეტად აწუხებს ეხლა ჩემს სინდისს,
რომ წელს არა ვარ სტუმარი ზღვისა.

მე შარაგზებზე აღვუთქვი ძმობა
არა ერთ ცვას და არა ერთ ხესა,
ვათი კვლავ ნახვა, მათთან სერობა
მწყურია დღესაც.

მყავს სანახავი სპარსული ბაღი,
მდინარე ხრამთან გაშლილი ობლად.
ეს ხე, ეს წყარო და ირმის თაღი
გამოვაცხადო მსურს ჩემ საშობლოდ.

მე ცრემლებამდე მწვავს და მაწუხებ
რომ უნახავი დამრჩა შუამთა.
ჩემს მრავალ ტრფობას ვინ უპასუხებს,
ვინ დამავიწყებს მომავალ ზამთარს.

სექტემბერი. 1930

მაინც

როგორც ნამდვილი გასპარ გაუზერ,
ჩემ თავს დავეძებ ცხოვრების ტყეში.
მე საიდუმლოს ჰიმნებს დავუწერ,
ნუთუ ჩამქოლავს ქარი და თქეში?

ირგვლივ მოცული საიდუმლოთი
მე მაინც ვსუნთქავ, მე მაინც ვმღერი.
თავიდან ცისფერ ყვავილის ლოთი
მთვრალი ვარ მისი ზღაპრული ფერით.

თითქოს ბუნება შე შევითვისე
და აღარ ცხოვრობს იგი უჩემოდ,
ნუთუ, ო ნუთუ მოვკვდები ისე,
რომ არ გავიგებ მე ცოდნის გემოს?

ერთადერთია ჩემი სურვილი —
იზიდას მოვხსნა პირსაბურველი;
დავტკბე საშინელ მისი მშვენებით
და შემდეგ გავქრე შენაჩვენები.

„ხომ არ ჩაივლის ამაოდ მაინც,
ეს განწირული სულის კვეთება!“
ვით ბარათაშვილს და იმის რაინდს,
მომავალი გზა მეიმედება.

ბავშვობიდანვე მუდამ მჯეროდა:
უკანასკნელად მივაღწევ მიზანს!
მოლოდინისგან გული მღეროდა,
როგორც შეჰფერის ყრმასა და მისანს.

ნუ გაოცდებით ამაყი სიტყვით:
მე აღმოვაჩენ უკვდავ დიდებას.
და მომაკვდავი გედივით ვიტყვი:
ძმებო, შეხედეთ ჭეშმარიტებას!

ოქტომბერი, 1930

ხეებს

მეეჭვებოდით თქვენ იანვარში
და გესალმებით ისევ მაისში.
მშვენიერია ფოთლების ფარჩა
განთიადზე და ოქროს დაისში.

დიდი ზამთარი გამოიარეთ,
დიდხანს იყავით თქვენ გაძარცული.
ყოველი ტოტით, ყოველ იარით
გამოიგლოვეთ თქვენი წარსული.

ნეტა რა გქონდათ თქვენ სატირალი,
ან თუ რომელი გწვავდათ მიზანი.
სასტიკი იყო ქარი ფირალი,
დღეს თავს გევლებათ მზე გულთმისანი.

ხართ პოეტების ოცნება წმინდა,
თვითონ ბრძენებსაც არ ეჯავრებით.
ერთი ვედრებით მოგმართოთ მინდა —
იყავით ჩემი თანამგზავრები.

და ჩემი ბავშვიც — პატარა ნანა
ძიებს გეძახით, თქვენ, სპეტაკებო.
ახლა შეგხარით მთელი ქვეყანა.
ხეებო, ჩემო ამხანაგებო!

1931, გაზაფხული

თივის ზვინი

მე მახსოვს, როგორ სცელავდნენ ბალახს,
თითქოს ნიჩაბით აპობდნენ ტალღებს.
მზე დასცქეროდა მწვანე იალაღს
და მოთამაშე მინღორზე ბალღებს.

ბალახი გახმა. ვეება ზვინი
ჩამოწვა, როგორც ოქროს ღრუბელი,
და შემოდგომის გრძნეული ინით
მთლად შეიღება მიდამო ნელი.

ამ ზვინზე ღამით ფარიკაობენ
„ვეფხის ტყაოსნის“ ძველი გმირები.
და აქვე ღამით ქარნი დაობენ,
ცაზე ვარსკვლავნი სხედან ირიბი.

და ბრწყინავს ზვინი — სფინქსი და ქარვა,
გადმოვარდნილი ცხელ დაისიდან;
ხანდისხან უყვარს ნისლით დაფარვა
და იგი მაშინ უფრო მიზიდავს.

მე მირჩევნია ეს ზვინი მყინვარს,
იგი ამშვიდებს მღელვარე აზრებს.
გულმა არ იცის, რა არის გმინვა,
და ისე მიჰქრის, რომ ნიავს ასწრებს.

და მე ხშირად ვარ ზვინის სტუმარი,
აღარ მაწუხებს მწვავე თბილისი.
და აიმართა ზვინი მდუმარე,
ვით პირამიდა მთლად ულბილესი.

იქ, სადაც არის წყალი და ფშანი,
ხარბად ვეყრდნობი მე ზვინს გოლიათს,
და ზვინი მისმენს — დიადი პანი,
ვით ზღვაში კუნძულს, თეთრი თოლია.

წყნეთი, 1931.

დაგვიანებული სონეტი

სიმონ ჩიქოვანს

მე მაგონდება დაისის ბაღი
და იქ ორი და ცისფერ თვალებით.
მათრთოლებს რაღაც იდუმალებით
ეს მოგონება — ნაკლებად საღი.

მტკვარი გარბოდა ვეფხვივით ლაღი,
ირგვლივ ქალაქი ფეთქდა ალებით.
თითქოს იცვლიდა ფერს გამალებით
ნორჩ ვარსკვლავებით სავსე ცის თაღი.

ო, ეს საღამო, ორი დის ცქერა
ჩვენ თავს დაგვნათის, როგორც ქიმერა,
ვით სიჭაბუკის ნაზი ოცნება.

ტალღებთან ტრფობა ტკბილი ყოფილა.
ჩვენ სამუდამოდ დაგვაძმობილა
ქალის ღიმილმა და ჯადოსნებამ.

ოვნისი, 1932.

ჟელიაბოვი და პეროვსკაია

რევოლუციამ გამოჰკვეთა ბევრი გმირები,
როგორც ანტიურ მოქანდაკემ ძალუმი ხელით.
მაგრამ ეს ორი იქნებიან გასაკვირები,
ვით სიყვარული პირველი და უკანასკნელი.
თუმცა უყვარდათ ერთმანეთი. ბინა, ოჯახი
დაგმეს: ცხოვრება აირჩიეს განაჭროლები.
ბედს დამუქრებულს შესცქეროდნენ ვარდისფერ სახით
და ყოველდღიურ გმირობაში იყვნენ ტოლები.
ხალხს და მის იღბალს ეძიებდნენ, ვით ჯვაროსნები,
ყოველი მხრიდან აწყდებოდათ თოვლის ბუჩქები,
სვრეტდნენ მომავალს საგანგებო თავის ოცნებით
და წინ ილტვოდნენ — ეს ლაშქარნი, ეს ჭაბუკები.
ციხის მღვიმედან შემოესმათ ხმა უცაბედათ:
ტანშებორკილი ამხნევებდა მათ ნეჩაევი:
მეფის მოკვლისთვის საიდუმლო ჰქონდათ მზადება,
რომ ეხსნათ ხალხი მონობისგან ნაბეჩავები.
როცა პირველ მარტს ყუმბარების გრგვინვა მეტყველებს,
და გრინევეცკი ჰქმნის სიკვდილის შავ პარაბოლას,
ჟელიაბოვი და პეროვსკაია მთელ მეფისმკვლელებს
ხელმძღვანელობენ დინასტიის გადასაბოლად.
ვერ შეარხიეს მსაჯულებმა მათი სიმშვიდე,
და ქედმაღალნი სასიკვდილოს შეხვდენ განაჩენს.
უკვე მოსჩანდა მათ წინაშე სამარის კიდე,
ზიზღით უცქერდენ ამ ცხოვრების კვალს გადანაშენს
ისინი ჩასვეს სამარცხვინო ეტლში ორივე,
ბრბო იყო ირგვლივ — უიმედო, როგორც მორევი.
ამაყად სჩანდნენ განწირული მათი ყელები,
ნაკლებად ჰგავდნენ ლმობიერი სახით ყაჩაღებს.

გულზე ეწერათ ერთი სიტყვა: „მეფის მკვლელები“,
რომელიც შემდეგ მათ სახელებს გამოაჩაღებს.
მათი მხნეობა აღსასრულის წუთმა ალესა,
ფერშეუცვლელად იდგნენ თავის საგუშაგოზე:
ღარ გრგვინავდნენ ყუმბარებით მტრის დასალეწად,
მხოლოდ ერთმანეთს სიკვდილის წინ ხარბად აკოცეს.
დიდი ხანია, რაც გათავდა ის აგონია...
გადმოვასვენეთ ჩვენ ხსოვნაში მათი სახელი,
რომელიც ახლა ყველასათვის გასაგონია,
როგორც გმირობის მშვენიერი გამოძახილი.

1932.

ბუკინისტი

იგი ამზეურებს საეკვო ქონებას.
სავსეა წიგნებით ბაღის მოაჯირი.
თითქოს მისცემია რაღაც დაღონებას
ეს დროგადასული მდუმარე ვაჭარი.

და ყვითელ წიგნებზე სცვივა უნუგეშოდ
ფერფლი შემოდგომის ფოთლების ხმაურით.
ზამთარი წალეკავს ყველაფერს უხეშად,
ჯერ კი შემოდგომა სდგას, ვით აზნაური.

მუშტარი ძუნწია და იშვიათია.
იქვე ეჯიბრება მთხოვარა აშული.
ირგვლივ უცნობები ამაოდ დადიან,
მტვერის ანგელოსი ცეკვავს განაშუქი.

მოდის ბუკინისტთან მოხუცი მგოსანი,
ჩუმად გადაფურცლავს სევდიან სტრიქონებს.
ამშვენებს ქარვების მას კრიალოსანი
და თვალცრემლიანი წარსულს მოიგონებს.

ბუკინისტს მოსტაცებს ძველ წიგნაკს ნიავი,
გამოეკიდება ის „ყარამანიანს“,
მას გულში ჩაიკრავს ტრფობით და სიავით,
როგორც ადამიანს.

ის არის წიგნების ერთგული მსახური
და წიგნებს, საბრალო საფლავში ჩაიტანს.
დაიძრა ცბიერი ღამე უსახური:
სიკვდილო პირშავო! მოდიხარ საიდან?

და როცა მოკვდება, როგორც ფრინველები,
მას გააცილებენ წიგნები შრიალით,
რომ მისი საფლაკის შეიქნენ მცველები
და დააგვირგვინონ მ.ისი ხეტიალი.

1933

ელექტროს შუქის ჩაქრობიდან ლამფის ანთებამდე

საღამოს ჟამი, ვაზროვნობ ფხიზლად,
უცბად ჩაქრება ელექტროს შუქი...:
დაიგრაგნება ნამქერად, ნისლად
სიცოცხლე თავის რჩეული რუქით.

და ვიდრე ბნელში მოინახება
გადაგდებული სადღაც ასანთი,
მე სხვა სინათლე და გაჩაღება
გამომიქროლებს, ვით მწველი ლანდი:

ვარ ჰომიროსის გმირთა ნადიმზე,
როგორც მგოსანი და მომღერალი,
თითქოს მახარებს, მათრობს მათი მზე
და აღარა ვარ უკვე მწერალი.

ისევ აინთო ოთახში ლამფა
შუქის — მიზრაფის გადამტყდარ წვერით,
ბოლო მოეღო არტიურ ამბავს,
მაგრამ მე მახსოვს, ო, ყველაფერი.

1933.

წყნეთის გზაზე

მე წყნეთის გზაზე შემომაღამდა
და ყოველივემ იცვალა ფერი:
თითქოს ბარიდან ზეცის ბაღამდე
გაიხსნა მიწის გული და ფსკერი.

მდევებად დადგნენ ირგვლივ კლდეები
და გამოვიდენ გონჯები გზაზე.
ქვევით — უღრანი შავი ტყეები,
ერთი ვარსკვლავი ცად აწვდილ მთაზე.

დაფარულ განძებს ვდარაჯობ ობლად,
შორს ირანელთა დაიძრა ზვავი.
ისმის ცხენების ჭიხვინი სოფლად
და ნიბელუნგად მე ვიგრძენ თავი.

ვინ ჩამაბარა ამდენი განძი,
ოქრო და ვერცხლი, ლალი მრავალი?
მაგრამ არღვევენ ჯარები მანძილს.
ჩქარობს ლაშქარი, აქ მომავალი.

როგორც ტოტები, სჩანან შუბები,
აი კიდევაც გავარდა მეხი.
თუ არ გათენდა, დავიღუპები,
ხევში მიპოვის წყნეთელი გლეხი.

1933.

საოპერო თეატრის ჭანდარიდან

ᲩᲔ ᲭᲐᲜᲓᲐᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲕᲧᲣᲠᲔᲑ ᲡᲪᲔᲜᲐᲡ,
ᲕᲘᲗ ᲗᲣᲗᲘᲧᲣᲨᲘ, ᲠᲒᲝᲚᲖᲔ ᲛᲗᲕᲚᲔᲛᲐᲠᲔ,
ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲔᲓᲔᲑᲐ ᲩᲔᲛᲡ ᲓᲐᲛᲬᲕᲐᲠ ᲡᲛᲔᲜᲐᲡ,
ᲣᲕᲔᲠᲢᲘᲣᲠᲘᲡ ᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲛᲗᲕᲐᲠᲔ.

ᲛᲔ ᲐᲠ ᲛᲐᲝᲪᲔᲑᲡ ᲞᲐᲠᲢᲔᲠᲘ ᲨᲐᲕᲘ,
ᲠᲝᲛ ᲘᲙᲚᲐᲙᲜᲔᲑᲐ ᲥᲕᲔᲕᲘᲗ, ᲡᲘᲦᲠᲛᲔᲨᲘ,
ᲡᲬᲔᲬᲐᲕᲡ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲙᲠᲐᲕᲘ
ᲐᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚ ᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲡᲮᲘᲐᲜ ᲢᲧᲔᲨᲘ.

ᲓᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲙᲠᲐᲕᲘ ᲬᲔᲠᲝᲐ ᲜᲐᲖᲘ,
ᲘᲡᲕᲠᲘᲡ ᲜᲘᲡᲙᲐᲠᲢᲘᲗ ᲑᲖᲔᲠᲔᲑᲡ ᲒᲐᲠᲔᲣᲚᲡ,
ᲠᲝᲛ ᲒᲐᲐᲒᲘᲟᲝᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ
ᲓᲐ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ ᲘᲒᲘ ᲒᲖᲐᲡ ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲔᲣᲚᲡ.

ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲡᲞᲘᲠᲘᲢᲔᲑᲡ
ᲐᲥ ᲒᲐᲔᲛᲐᲠᲗᲝᲡ ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲘᲡ ᲤᲡᲙᲔᲠᲖᲔ,
ᲓᲐ ᲞᲐᲒᲐᲜᲘᲜᲘ ᲒᲐᲘᲯᲘᲠᲘᲗᲔᲑᲡ
ᲛᲘᲖᲠᲐᲤᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲐᲚᲔᲠᲡᲔ.

ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲐᲡ ᲒᲠᲒᲕᲘᲜᲐᲕᲡ ᲤᲐᲣᲡᲢᲘ,
ᲛᲐᲡ ᲝᲥᲠᲝᲡᲤᲔᲠᲘ ᲣᲡᲛᲔᲜᲡ ᲭᲐᲚᲬᲣᲚᲘ.
ᲛᲔ ᲕᲐᲚᲞᲣᲠ�გᲘᲘᲡ ᲦᲐᲛᲔᲡ ᲓᲐᲕᲣᲪᲓᲘ
ᲐᲛᲦᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲤᲔᲠᲬᲐᲡᲣᲚᲘ.

რაღაც სურნელი მატირებს ლურჯად,
ვით მოგონება გამქრალ წეროზე,
და ორკესტრიდან ამოდის ურჩად
მაღალი ია მაღალ ღეროზე.

ვეხები ყვავილს სველ წამწამებით,
მე რომ მეწვია ბნელ ქანდარაზე.
ჩემი ოცნებით, ჩემი წამებით
ვარ ნოვალისის მოასპარეზე.

1933

* * *

ხუთუ ვარ მხოლოდ დამშრალი წყარო
და დავემსგავსე სნეულ ბეთხოვენს,
ხუთუ ლექსებით ვერ გავიხარო
და პოეზიას გამოვეთხოვე?

ვცხოვრობდი წინათ სიტყვების ძგერით
და მე რითმებში, ვით ნემსის ყურში,
ვაძკრენდი სახეს, რომ ჩემს სიმღერით
გადამელახა ცხოვრება ურჩი.

და ერთადერთი მე მქონდა დარდი,
რომ თვე ულექსოდ არ წასულიყო,
რომ ჩემი სიტყვა, ქარივით მარდი,
ქარის სიმღერის ნაცვლად თქმულიყო...
ლექსით ვზომავდი მე ჩემს კაცობას
და ბედნიერი ვიყავ სონეტით,
მუდამ მერჩია დიდ კალმასობას
ჩუმ შთაგონებით დამწვარი ბედი,
თუმცა დავდუმდი და გავჭაღარდი –
ძე ვიტყვი მაინც ბედის სიმღერას,
რომ არ მახრჩობდეს ლექსების დარდი
და ვეზიარო პირვანდელ კერას.

11 ოქტომბერი, 1933

ლენინის ხსოვნას

ძრავალი გზები გამოვიარეთ,
და არა ერთი წელი გავიდა,
ჩვენ მაინც გვახსოვს დღე მგლოვიარე,
თითქოს იწყება იგი თავიდან.

ცის ნატერფალი ჩვენს გულს ყინავდა,
თოვლში ვიყავით გამოხვეული.
და ოცნებაში ის დაბინავდა,
ვინც გმირთა შორის იყო რჩეული.

ჩვენ უხმო ცრემლებს ვაფრქვევდით ბელადს..
კვლავ გატაცებულს სასტიკი ძალით.
ვეთხოვებოდით უკანასკნელად
ქარიშხალს — დახრილს დაბლა სიკვდილით.

თითქოს ერთ ნიშანს ელოდენ ზღვები,
რომ მოსულიყვნენ იმის ცხედართან,
თითქოს გვესმოდა ტალღების ხმები.
მხოლოდ ეს წუთი არ განეტარდა.

რომელ ბეთხოვენს და რომელ ვაგნერს
შეეძლო ჩვენი სევდის მხილება?
ღრუბლებმა სული შავად დაგრაგნეს
და შექმნეს სულ სხვა განწყობილება.

ჩუმად უსმენდა ბელადი ქუჩებს,
სად მღელვარება აღარ შეჩერდა,
ელოდებოდა საყვარელ მუშებს,
აი კიდევაც მოზვავდნენ ერთად.

და გარდაუვალ მაღალ ჯებირად
დადგნენ მუშები ბელადის ახლო.
მისი სახელი გაიზეპირა
ქარმა და კვნესით წაიღო მაღლა.

ბელადს მიწისთვის ვერ ვიმეტებდით
და გაცოცხლება გვინდოდა მისი,
მაგრამ ობოლ ფიქრს ვაიმედებდით
გმირის კუბოსთან დადებულ ფიცით.

1934

სალამო საგურამოში

ისევ ხსოვნაში აღსდგა ილია...
იწვის არაგვი — სათუთი კვარი.
და ჩემთვის მაინც უფრო ტკბილია
ერთი ჭადარი სახლის წინ მდგარი.

იგი ეკვრება თავის ტოტებით
აივანს, ახლა უკვე ცარიელს.
თითქოს მოელის ჩუმი გოდებით
უტყვი ნესტანი თავის ტარიელს.

ასე მგონია, ილიას სული,
და არა მარტო რითმების ბგერა,
არის ჭადარში გამოსახული,
როგორც ოქროსფერ ფოთოლთ სიმღერა.

მე თვალუწვდენელ სივრცეებს ვხედავ
ატყორცნილს მაღალ, შორს მწვერვალებად.
ამაოდ ვეძებ ადგილის დედას —
იგი უთუოდ აქ იმალება.

ეზოში წყაროს ეტყობა დაღლა.
ახლა სხვა არის ბაირახტარი.
და არე-მარე ამაყობს ახლა
ნათელ ზაჰესით და ნატახტარით.

„კაკო ყაჩაღის“ სტრიქონებს ყურში
ხე ჩამჩურჩულებს, ვით მოგზაური,
და მესალმება სიცოცხლე ურჩი
მოწაფეების ნორჩი ხმაურით.

ახალი ყოფის პირველ მგოსნებად
საგურამოზე ვარსკვლავნი სჩანან.
და ის ჭადარი ჩემს საოცნებოდ
ღამეში ამბობს ტკბილ იავნანას.

1934.

ჩეზი შეხვედრა ეგნატესთან

დიდო ეგნატე! შენ გვიცქერი შექსპირის სახით.
შეჰქმენ მრავალი სახეები, თუმც ხუთ წელიწადს
შენ სწერდი მსოლოდ, აგზნებული ქლექის ცახცახით
ბნელი წარსულის დასაგმობად და დასალეწად.

კარლ მოორივით შეგვაყვარე გლეხი ფირალი.
პალიასტომით აწივლებდი შენ ჩვენს ოცნებას.
შენი ქალები თვითმკვლელობით, კვნესით, ტირილით
თავის დაღუპულს მოითხოვენ პატიოსნებას.

ალმოაჩინე შენი კალმით ნთელი გურია,
ჯანყით, ვაებით, სიღარიბით და კრიმანჭულით.
შენი უკვდავი, მეამბოხე სიტყვა გვწყურია
და შენი სახე ლმობიერი, მკვეთრი, ტანჯული.

ჯანყის მედროშე ბნელ ქუჩებში დაიარები,
ერთხელ ვერაზე დაგინახე მტკვარის მზვერავი.
მინდოდა შენთან საუბარი ბწველ იარებით
და უცაბედად მიიმალე გულდამსერავი.

და კიდევ ერთხელ პირველ მაისს გნახე ირიბად,
ურიცხვ მსვლელობას ამშვენებდი გამხდარ პროფილით.
მიწის მონები გადაიქცენ ბრომის გმირებად,
მუშებს და გლეხებს მოუძღოდი ხელაპყრობილი.

წინამორბედო! შენ გმირობის ველზე დაეცი,
რომ დაგემსხვრია ბატონობის მძიმე უღელი;
სოფლის ქვითინი, სისხლიანი შენი დაისი
დღეს ალმობრწყინდა გამარჯვებულ ხალხის ქუხილით.

1934.

ოქტომბრის სტრიქონები

სთქვა პოეზიამ თავის სიმღერა
დიად ოქტომბრის პირველ გრიგალთან,
ცა ხანძარებით გადაისერა
და ცეცხლიანი დაფერთხა კალთა.

განწირულია ყველა, ვინც დარჩა
ამ ქარიშხლიან დღეთა გარეშე.
და სანამ არის მონების გარჯა,
ოქტომბრის ქარო, შენ ითარეშე!

რომ დედამიწის იყოს ალამი
მხოლოდ და მხოლოდ ნამგალ-ჩაქუჩი,
და მსოფლიოში მშრომელთ სალამი
ისმოდეს ბრძოლის ხმით განაშუქი.

ჩვენს დიდ ოქტომბერს, როგორც მრავალ მზეს,
შემოურკალავს ჩვენი ქვეყანა,
ჩვენ გადავლახავთ უფსკრულსა და კლდეს,
მუშათა კლასის აყვავდეს ყანა!

აღმშენებლობის დავაქკაცებას
ახლა ზეიმობს ჩვენი დღეობა,
და მისცემია მეტ აღტაცებას
ლენინის ნორჩი მემკვიდრეობა.

დამკვრელთა ტალღას ვინ შეაჩერებს,
ყველგან გაისმის ქარხნის გუგუნი;
გმირული შრომა ბრმებსაც აჯერებს,
რომ ჩვენი არის ეს საუკუნე.

ჩვენ ტრაქტორებით ვკვეთავთ ყამირებს,
ელსადგურებით აფეთქდა წყალი,
საზიზღარ წარსულს დაასამარებს
რევოლუციის ყოფა ახალი.

მე, ოქტომბერის წლისთავს თვითეულს
განვიცდი, როგორც პირად მიღწევას.
მრავალშტოვანი ხუთწლედი წლეულს
ურყევ სიმაგრედ გადაიქცევა.

ლენინის დიდი, წმინდა სახელი
მუდამ აშუქებს ჩვენს წინსვლას, ბრძოლას.
აღტაცებულნი მისი ძახილით
ჩვენ ვემსგავსებით უძლეველ ფოლადს.

აღმშენებლობა ჩვენს ქვეყანაში
ზევით მიილტვის, ვით ქანდაკება,
ვართ გამარჯვებულ შრომის ხანაში,
მტერი ამაოდ დაგვეტაკება!

ტყვილად მოვიდა ევროპა ალყით,
ჭოტები მზის წინ სწრაფად ჰქრებიან,
ჩვენს პლანეტაზე არასდროს ხალხი
მეტ გამარჯვებას არ ღირსებია.

შრომის გმირები და დამკვრელები
იბრძვიან, როგორც ჯარი მრავალი,
რომ გამოსჭედონ თავის ხელებით
სოციალიზმი და მომავალი.

ტრაგედიის დაბადება

ჩელუსკინელების ყინულზე ლოდინი
არ იყო აჩრდილთან ჰამლეტის საუბარი.
თუმცა მათ სიკვდილმა თეთრ გილიოტინით —
თეთრ ტოროსებით ირგვლივ დაუბერა.

აგებდნენ კარავებს; ელოდნენ შველას.
ცივმა ქარიშხალმა ბევრი ითაღლითა.
ბაძავდნენ შმიდტს — ფოლადის ბელადს,
აგვიანდებოდათ მფრინავებს მაღლიდან.

და მფრინავების დამკვრელი ამალა:
სლეპნიოვი, მოლოკოვი, კამანინი —
დადგა ჰაერში კვლავ ყირამალა,
რომ გადაელახათ სტიქიის სამანი.

და მათი ლაშქრობა იყო ჟრუანტელი,
ბნელში იძირებოდენ მფრინავები.
არ ამხნევებდათ ვარსკვლავთა კანდელი,
და ეხეთქებოდნენ ქარნი მგმინავები.

არა პისკატორი და მარჯანიშვილი,
საბჭოთა კავშირი იყო რეჟისორი.
ეს იყო მშრომელების შთაგონება შიშველი,
კვლავ გაშუქებული პარტიის სისწორით.

გრგვინვით
    თვითმფრინავნი
        მიაპობენ
        ჰაერს,

ამ
ჩამოვარდა
კიდევაც
ერთი.
ისეთი აღმაფრენა არ ჰქონია სხვა ერს,
ასეთი გმირობა არ არის გვერდით.

თითქოს პოეზია იყო ჩაძირული
ყინულში და მოვარდენ მფრინავები,
რომ გადაერჩინათ ბანაკი გმირული
თავისი მკლავებით.

გმირებმა ჰაერი, ყინვა გადასერეს,
ახადეს ჩელუსკინელთ სიკვდილის ფარდა,
თავის სახელები პოლუსზე დაწერეს —
როალდ ამუნდსენის, ნანსენის გარდა.

ეს არის უდიდესი ახალი ტრაგედია,
რომელმაც დაფარა ყველა შექსპირები.
და ეს გამარჯვება კავშირის ბედია,
დღესასწაულია საბჭოთა გმირების.

მე დღეს ჩემი თავი ოდნავ მეცოდება:
ყოველთვის მეტია გმირი პოეტზე.
მაშ დავიმსახუროთ გმირის წოდება,
რომ ჩვენ არ ვჩიოდეთ ბედზე.

მაშ თქვენც დაეკიდეთ, რითმებო, ყირამალა, —
ვჭონდეთ უსათუოდ მაღალი მიზანი,
მუდამ ქანაობდეს თქვენი ამალა,
და გადაიაროს რკალები ცისანი.

ეაყინულ უცხოეთში ჩვენ გველოდებიან,
ვით ჩელუსკინელნი. მუშათა მასები.

ჩვენ შორის ყინულები მრისხანედ დგებიან,
მაგრამ მათ დავარღვევთ მეტი აღტაცებით.

ყველაზე მეტია,
ყველაზე მეტია
ჩელუსკინელთა უკვდავი ამბავი.
ეს ხომ ფრთაშესხმული არის ტრაგედია
ოქროს ასოებით დასასტამბავი.

1934.

ჩემი ქვეყანა

შრომის მუსიკას — წელთა სვლაში შეუნელებელს,
რომელსაც მუდამ გამძაფრებით ქმნის საბჭოეთი,
მთელ ჩვენს ქვეყანას, თავიდანვე გმირს და მშენებელს,
დღეს კიდევ ერთხელ ესალმება ლექსით პოეტი.

რა უნდა გითხრა მე ისეთი, ჩემო ქვეყანავ,
სხვებს რომ არ ეთქვას მეტი ძალით და შთაგონებით?
მსურდა გრძნობები, ვით ბავშვები, გამომეყვანა
ახლად დაწყვეტილ ყვავილების მცირე კონებით.

კოლექტივებში და ქარხნებში კვლავ იჭედება
ახალი რიტმი — ჰარმონია ახალ ცხოვრების.
უფსკრულები და მყინვარები დაგვეჭიდება,
მაინც და მაინც ჩვენ ვიქნებით შეუპოვრები.

კიდევ ბევრია სივრცეები გადასალახი.
ცათამწვდენები და მრავალი ყველგან ხარაჩო...
იქ, სადაც იყო ტრამალები, ქვა და ბალახი,
ამართე დიდი ქალაქები შენ სადარაჯოდ.

შენ ხარ ჭაბუკი — ჰაერის და მიწის მკვეთავი,
და შენს პროფილში თვით ლენინის მოსჩანს იერი.
ბრინჯაოს გმირო! იქნები და ხარ გამბედავი,
მუდამ მიამტვრევ დაბრკოლებებს მხრებგანიერი!

აშრობ ჭაობებს, რომ კოლხიდა აქციო ბაღად,
ხარ ამირანი შეუდრეკელ მაგარ კუნთებით.
და შენ ციტრუსებს გასაოცარს ავრცელებ ლაღად —
აყვავდეს მხარე ლალებით და იაგუნდებით!

მიყვარხარ მაშინ, იუდენიჩს რომ იგერიებ,
როცა მოადგა ის პეტროგრადს თეთრი ჯარებით.
და არა ერთხელ ისტორია შეგაკერიებს
სუდარას მტრისთვის, რომ ოცნებობს მკვდარ მირაჟებით.

მიყვარხარ, როცა „ბელომორის“ აგებ ჯებირებს,
და უდაბნოში ლიანდაგი გაგყავს ტურკსიბით,
ქარი შენს სახელს აღტაცებით გაიზეპირებს
და ისევ ახალ მიღწევებით დაიყურსები.

1935.

ბალადა შლეიფისა და მარაოს შესახებ

თამარ ჭავჭავაძეს — ლედი მილფორდს

თეთრი მარაო ეჭირა ხელში,
როგორც ფრინველი, უნაზეს ფრთებით.
გრძელი შლეიფი — თითქოს ზღვის ელჩი —
უკან მოსდევდა, შრიალით, ვნებით.

და აქნეული ზევით მარაო
გადატყდა წელში, როგორც მიზრაფი.
მან თითქო სახე დაიფარაო,
როცა მოედვა ცეცხლი სისწრაფით.

მან შეაგროვა მარაოს ფერფლი,
გულში ჩაიკრა ჩუმი წვალებით.
იდგა უძრავად, ვით ბედის მსხვერპლი
და ელვარებდა მეტ ბრწყინვალებით.

შლეიფს არბევდა ცეცხლი ძლიერი,
ქალს მოეხვია სამოსი გველად.
როგორც ფლამინგო ფრთებგანიერი,
იგი იწვოდა გულდასაწველად.

სუდარის მსგავსად დაეშვა ფარდა,
ისევ აინთო სხივთა კანდელი,
ტაშის ყუმბარა ცაში ავარდა,
ვით აღტაცების კორიანტელი.

აპრილი, 1935.

ზღვაზე

მე ზღვას გავსცქერი. ასე მგონია,
რომ ვარ მფლობელი ურიცხვ ქონების,
თითქოს ტალღათა ეს ჰარმონია
იყოს ქმნილება ჩემ შთაგონების.

ზღვა თითქოს არის ჩემი მამული,
თვალუწვდენელი ტალღების ბაღით,
ვნახე მზის ჩასვლა აქ მეწამული,
ზღვის ხეტიალი — მარადის ლაღი.

ზღვა არის ჩემი ოცნების განძი,
სხვა მარგალიტი მე აღარ მინდა.
დარჩა წარსული ცხოვრება განზე
და ტალღა ჩემს წინ კვლავ აბიბინდა.

დღემდე მირაჟებს ამაოდ ვქმნიდი,
ტყვილად ვეძებდი ზურმუხტებს, ლალებს.
სანახაობა ამაზე დიდი
არ ღირსებია ჩემს ცოცხალ თვალებს.

ვინ ამოსწუროს ზღვის სიღრმეები,
შიგ ჩაძირული ვინ ჰპოვოს თასი,
ჯერ არ ნახული ორხიდეები
და სასწაული ათი ათასი?

შორს ზღაპარივით სდგას ციხისძირი,
ვით ამოსული ზღვიდან მშვენება.

მესმის ტალღების ლაშქრობა ხშირი
და თავი სარდლად კვლავ მეჩვენება.

ჰა, ჰორიზონტზე გამოჩნდა გემი,
მაღალ აფრების სპეტაკ შტოებით,
ისეთ სინაზის, შვების მომცემი,
რომ დავიკვნესე მე სასოებით,
მთვრალი ტალღების უსაზღვროებით!

1935.

ფერო

შენთან მოდიან ნისლებით მთები
და გაოცებით გიცქერს ბუნება.
შავი მდინარე ქებათა-ქებით
ნაპირებიდან გესალბუნება.

და მეც გავბედე, შენთან მოვედი,
რომ უმდაბლესი გიძღვნა სალამი,
გული დამწვარი სიმარტოვეთი
ათრთოლდეს, როგორც ცეცხლის ალამი.

მე შენს წინაშე, ვით ცეცხლფარეში,
ვდგავარ პირისპირ, მრისხანე ფერო,
რომ გამოვეედო ახალ არეში
ლექსი მაღალი და სასიმღერო.

მე მაგონდება წარსული ბნელი
და აქ მონობა ჩემი წინაპრის.
ახლა ის არის მუშა — დამკვრელი
და შემოქმედი სხვანაირ ზღაპრის.

შენ ნაცნობ ცაზე ხარ აღმართული,
როგორც ხომალდი და ბაირაღი
და თვითეული შენი სართული
დიდ შთაგონების არის ჩირაღი.

ეს არის ცეცხლთან ბრძოლა გმირული,
არის ეპოსი ეს კომუნიზმის,
აქ დამკვრელობა თავგანწირული
შრომის უდიდეს მუსიკად ისმის.

ჩვენ ეს გმირობა მოგვცემს მეტ ფოლადს
და აურიცხველს მოგვცემს მანქანებს,
ერთი წუთითაც არ ცხრება ბრძოლა
და ფერომშენი წინ მიგვაქანებს.

ტრანსპორტიორებს მე მივყვებოდი,
ვუცქერდი ირგვლივ ბუნკერებს მრავალს.
და ამ სწორ გზაზე ხარბად ვხვდებოდი
გამიზნულ მწვერვალს და თვით მომავალს.

აქ ფერო-გიგანტს ელოდა მხარე
ისე, ვით ხომალდს ელის ნაპირი.
ფერო — მაღალი და მოელვარე
გაჰკვეთს მთელ წარსულს, ვით ბირდაბირი.

ფერო კოშკია, ააქვს რომელიც
მშრომელების რაზმს თავის ხელებით.
ცეცხლი გუგუნებს დაუცხრომელი
და წმინდა ლითონს ჰქმნის გახელებით.

ღუმელთა ცეცხლი მკაცრად ღრიალებს,
ყვამლით იფარვის ზეცის ტატნობი,
ხანძარი მუშებს შეატრიალებს,
სანამ გამოსჩქეფს ძირს შენადნობი;

ის დაიღვრება ოქროს დაისად,
მრავალ ცქერათა დამატკბობელი.
— ნუ გაგიჟდები, ცეცხლო, დაიცა,
თორემ დაიწვა მუშა მდნობელი!

აი, მზადაა ცეცხლისთვის კაზმი.
ისმის ღუმელთა გრგვინვა, თარეში.
ცეცხლს ისევ უტევს მუშების რაზმი,
დაჰქრის ხანძართა სიელვარეში.

შენ რიონჰესით ხარ აგზნებული
და არასოდეს არ იქანცები.
ავ ღუმელების ავი კრებული
მუდამ ვარვარებს წითელ ანძებით.

მთებს ზურმუხტოვანს ცეცხლი ედება
და ბრწყინავს მხარე მუდამ მზიანი,
ფეროსთან ერთად იქ იშედება
გმირი — ახალი ადამიანი.

ვით უდიდესი მუსიკა, ისმის
ფეროს სიმღერა, ფეროს გუგუნი,
არის ნაბიჯი ეს კომუნიზმის,
აქ ტანმაღალი სჩანს საუკუნე.

რევოლუციას აქ აუგია
დაუღალავი თავის მხლებელი
და დღეს ზეიმობს მეტალურგია
ვით ერთადერთი კანონმდებელი.

იქ, სადაც იყო მთების დუმილი,
ცის დასავალის ყელი ლატანი,
დღეს ვეშაპივით გრგვინავს ღუმელი,
რომ გაატაროს ბრძმედში მადანი.

გვახარებს, როგორც ყოფა მართალი,
დღეს ჰეშმარიტი ჩვენ მრეწველობა,
ფერო ბრძანებლობს, როგორც სარდალი,
როგორც მუშების დიდი მსვლელობა.

ფეროს არ სძინავს, არც დღით, არც ღამით,
იგი დამკვრელი არის თავიდან.
მან დასვენება არ იცის წამით,
ახლაც ალკვამლით ცაზე ავიდა.

და თუ ეს ლექსი, ვით ფერომდნარი,
დაითანგება ცეცხლის იერით,
თუ ფოლადივით იქნება მყარი,
მაშინ მე ვიტყვი: ვარ ბედნიერი!

რეჟისორებო და თქვენ, მგოსნებო,
მოდით, ისწავლეთ გიგანტის ენა:
საქმე კეთდება აქ საოცნებო
საუკუნეთა გადასარბენად!

1935.

ქუთაისი

მე განახლებულს ვხედავ ქუთაისს.
ვუცქერ ყველაფერს ახალი განცდით:
ნაცნობ მდინარეს, ქუჩას თუ დაისს,
ჩემთვის რომ იყო ნამდვილი განძი.

მოგონებები ტკბილი და მწუთხე
მე თითქოს გზაზე გადამეღობა.
და ახლა ჩემთვის ყოველი კუთხე
უდრის უეცრად ნახულ მეგობარს.

მე აქ პირველად აკაკი ვნახე
მისი ჭაღარით, ცეცხლის თვალებით,
მოარულ ძეგლის მას ჰქონდა სახე
და მივესალმე მეც მოკრძალებით.

მაგრამ წარსული გადაირაზა
და ქუთაისი მიცქერს ახალი.
ვხედავ შორიდან ბაგრატის ტაძარს,
რომელსაც ჩრდილავს კოშკი მაღალი.

აჭარის მთები მაგონებს ხურჯინს,
ცის ჰორიზონტზე გადაკიდებულს
და რიონჰესი, — ამაყი ბურჯი,
სინათლის რუქას ხატავს დიდებულს.

ქალაქი, როგორც სიმაგრეებით,
მრავალ ქარხნებით შემოირკალა.
ცა იშმუშნება ლურჯ სარკეებით,
მოჰქრის საყვირი, თითქოს გრიგალა.

უწმინდეს თოვლად სცვივა ბარიტი,
დარაჯობს ქუჩას დაფნა, ასფალტი.
და ინდუსტრიის ხმა ჟეშმარიტი
გაისმის, როგორც შუადღის ალტი.

ბაგრატის ტაძრის მოსჩანს საკანი,
დროთა ხანძარით გადანაბუგი,
სხვა სიმღერების არის საგანი
ეს ქუთაისი — ნორჩი ჭაბუკი.

1935.

მისალმება

გათავხედებულ ფაშიზმის კერპი
კიდევ ზეიმობს შავი სვასტიკით,
რკინით ნაჭედი იმისი ტერფი
სთელავს ქვეყანას მეტ სისასტიკით.

სისხლით, მუქარით და ცბიერებით
თავისუფლება მოსპო აზრისა,
პოეზიის და მეცნიერების
მან ყვავილები ყველა გასრისა.

მაინც არ ეკვრის ნისლი მწუხარე
პროლეტარების შეზღუდულ ფიქრებს.
შილლერისა და კარლ მარქსის მხარე
ახალ ბრძოლისთვის ძალღონეს იკრებს.

თუმც შხამიანი წრე შემორკალა
მრავალკანიან ფაშიზმის გველმა,
არ დალეულა მუშებში ძალა
და ტყვეობაში მხნედ არის ტელმან.

მწამს დიმიტროვის სიტყვა გმირული
იქნება ბრძოლის კვლავ გამომწვევი.
მუშათა კლასი კლდედ დაკირული
ჯურღმულებიდან ამოვა ზევით.

ვით ბირნამის ტყე, ხალხი წამოვა,
დღეს თითქოს უტყვი, თითქოს უძრავი,
რომ ჯალათების ბინძური ხროვა
შემუსროს კიდევ შეუმუსრავი.

დამწვარ წიგნების ფერფლი გრძნეული
ზღაპრულ ფენიქსის ფრთებს გამოისხამს,
რომ ამეტყველდეს ხმააწეული
მინენზინგერი ახალ დროისა.

მტერი იმეტებს ხალხს მოსაკლავად,
მტერი ვერაგი, ულმო და ფლიდი,
მაგრამ პირგაშლილ მაღალ ვარსკვლავად
მოსჩანს საბჭოთა კავშირი დიდი;

სად ხალხთა ბედი დღეს იჭედება
ნათელ მომავლის ნათელი გზებით,
სადაც დამყარდა შემოქმედება
სტახანოველთა ვაჟკაცურ გზნებით;

რევოლუცია, შენ მოზვავდები,
როგორც გრიგალი, ცეცხლი და ტყვია!
შენს გამარჯვების სწორი თავდები
„კომუნისტური მანიფესტია“!

სისხლიან დროშით ლიბკნეხტის ჩრდილი
წინ გაუძღვება ძველ ამხანაგებს,
და ამბოხება ხმალამოწვდილი
ნიბელუნგების დასცემს ბანაკებს.

ურიცხვი ტალღა მეამბოხეთა
რისხვას მიიტანს სასახლეებზე,
ფრეილიგრატის სული მოხეტე
რომ არ გმინავდეს წარსულ დღეებზე;

რომ არ სტანჯავდნენ შრომას სასტიკად,
სხვისი არ იყოს ის მოსამკალი,
და შეიცვალოს შავი სვასტიკა
სახელოვანი ჩაქუჩ-ნამგალით;

რომ კომუნიზმის დროშამ დაფაროს
ყოველი სახლი, ყოველი ქუჩა!
და გერმანია მთლად გადაბაროს
გამობრძმედილმა ბრძოლებში მუშამ.

რევოლუცია, შენ მოზვავდები,
როგორც გრიგალი, ცეცხლი და ტყვია!
შენ გაიმარჯვებ, ამის თავდები
„კომუნისტური მანიფესტია“!

დიმიტროვს

ეს აღარ არის მხოლოდ ზღაპარი,
შეიქმნა სულ სხვა ადამიანი.
ძველი ქვეყანა, ვით წინაპარი,
მიდის უფსკრულში თვალსისხლიანი.

დღეს დიმიტროვი იპყრობს ოცნებას:
მან ბრძოლის დროშა ამართა მაღლა,
იმის გმირობას, პატიოსნებას
ჩვენ ვესალმებით ყველანი ახლა.

ის მოეღინა მტარვალთა ბანაკს,
მრისხანე სიტყვის ჭექა-ქუხილით.
და ჩვენ თაყვანს ვცემთ მეღვაწ ამხანაგს,
ვისაც ტყვეობის არ სტეხს უღელი.

ეს ცეცხლით სავსე ვინ შექმნა ენა,
ვინ გამოსჭედა მისი სახელი.
აქ დიდ ოქტომბრის არის გავლენა
და ჩვენი ბრძოლის გამოძახილი.

სასამართლოში გამოჩნდა დედა.
უსმენს საკუთარ შვილს ქანდაკებად.
ათი წლის შემდეგ პირველად ხედავს
და გული ტრფობით დაედავება.

ზის ვანდერ-ლებე, ზანტი, მდუმარე,
ვით მსახიობი ნაქირავები.
სჩანს მის სახეზე ღიმილი მწარე,
სჩანან მსაჯულნი, როგორც სვავები.

ამირანების მსგავსად მუშები
კვლავ სდარაჯობენ ჯანყის სამკაულს.
და მათი კვნესა დაუყუჩები
გვიქადის გრიგალს და დღესასწაულს.

დაფრთხა ჯალათი, ვერ მიუსაჯა
შავი სიკვდილი ქედმაღალ გმირებს.
სცემს კომუნიზმის უკვდავი მაჯა,
იპყრობს შორეულ სასტიკ ნაპირებს.

ჩვენ დიმიტროვის ნახვას მოველით,
მაღალ სიმაგრედ სდგას საბჭოეთი.
მიესალმება მუშა ყოველი
გმირს აღტაცებით, როგორც პოეტი.

ვაჟა და ფიროსმანი

ქეჩის ქუდს თავზე დაიკოსებდა
და დადიოდა შავნაბდიანი.
ერთხელ ჩავიდა ვაჟა ქოსებთან,
თან მოიტანა ქროლვა მთიანი.

მას ახლავს მხოლოდ შიო მღვიმელი.
ამჩნევს ფიროსმანს ცუდ ტანსაცმელით.
ვაჟა უცქერის მხატვარს ღიმილით,
უმასპინძლდება შემდეგ სასმელით.

ვაჟას თვალი აქვს ჩამოხეული,
და მაინც არის იგი მინდია,
ფიროსმანს მოსწონს სახე გრძნეული,
მაგრამ იმის წინ თითქოს ბინდია.

ვაჟა არ გავდა აზნაურ პოეტს,
თუმცა უყვარდა ლექსთა ყაბახი.
დაშორებულმა ბარს და უცხოეთს,
იწამა მხოლოდ მთის ალაყაფი.

მხატვარმა ვაჟა ისე დახატა,
როგორც არსენა მთიდან მოსული.
ის ამბოხებულ გმირად გახადა,
ხალხით რომ იყო გარემოცული.

თრთოდა სიმღერა, როგორც ჯეჯილი,
ისმოდა თარის ძახილი ნაზი.
და ვაჟას თვალი ჩამოგლეჯილი
მაინც აფრქვევდა ელვას სიბრაზით.

აღარ თავდება წუთი გვიანი.
სჩანს ქუჩიშვილი ღამის სტუმარი.
მაგრამ წამოდგა შაკნაბდიანი —
უკვე იღვიძებს ქუჩა მდუმარე.

ვაჟამ აკოცა შუბლში ნიკალას,
ისევ შეხედა სათუთ ღიმილით.
შემდეგ გასცილდა მშფოთვარე ქალაქს
უკან მისდევდა შიო მღვიმელი.

1935.

წიფობელა

ჩემი სალამი ღღეს წიფობელებს,
ასეთ სიამით რომ გაჰკივიან,
სალამი მწვანე და ოქროს ველებს —
ირგვლივ ყანების კოლექტივია.

დამწიფებულა ბუჩქზე მაყვალი
და იხედება შავი თვალებით.
ამ სილაჟვარდეს ჩემი თაყვანი,
მე ტყიან ქედებს ვენაცვალები.

ნაზად მწიფდება ზანტი ყურძენი,
თითქოს ის იყოს ბავშვის ნაყოფი,
ყვითლად კანკალებს ხეზე ფურცელი
და ცა დიდდება — მზის ალაყაფი.

გალეწეს პური, და კალოები
დიდ ზეიმისთვის ბეღურებს დარჩათ,
ველარ იტევენ ვაშლებს რტოები,
კიდევ აპკლუცობს მინდვრების ფარჩა.

აქ მოსავალი აიღო შრომამ.
შენც, ჩემო ლექსო, დამწიფდი მალე,
დე, იყოს შენთვის ეს შემოდგომა,
როგორც ბესიკის ბაღი ბრწყინვალე.

ქეიშხეთი, 9 სექტემბერი, 1935.

ქვიშხეთის ქარი

ქვიშხეთის ქარმა მეტ ფუფუნებით
მომიალერსა, მომცა ნუგეში,
მე ვარ იგივე, მისი რწმუნებით,
რაც რომ ვიყავი სიჭაბუკეში.

როგორც პატარას, მომკიდა ხელი,
საქანელაზე მან დამსვა ახლა.
მითხრა: — შენია ეს მინდორ-ველი,
აბა, ავფრინდეთ სულ მაღლა, მაღლა!

შენ მუდამ მეტრფი, როგორც ჯადოსანს,
ცაში დამსხვრეულს მრავალ ზარებად,
მალე გაგიმხელ — ჩემს მარად მგოსანს —
მთელს საიდუმლოს და ნეტარებას.

რომ არ ეძებდე ლურჯთვალა მიზანს,
არ იყო წლებით შენ დაურვილი,
არ შესცქეროდე ყოველ ცრუ მისანს
და არ გახრჩობდეს მეტი წყურვილი.

ამაოდ მთვარეს არ მოელოდე,
და კიდევ ათას ერთ დაღამებას,
რომ მუდამ იყო, როგორც ფოლადი,
და არ დაუთმო წუთი წამებას.

ჩვენ ვნახავთ ტალღებს, ზღვად გადაშლილებს,
ვერ შეგვაჩერებს მთების კრებული.

მე დაგანახვებ ისეთ ყვავილებს,
რომ დაიკივლებ გაფითრებული.

კმარა ლოდინი! აბა, გაბედე!
გადავყირავდეთ ფრინველთ ხმაურში.
სწრაფ აირჩიე გზა უცაბედი
და დახავსებულს გზას გადაურჩი.

ჩვენ გადავასწრებთ შორს თვითმფრინავებს,
ძვირფას ვარსკვლავებს ავხვეტთ პეშვებით.
წუთით ღრუბელზე დავიბინავებთ
და შემდეგ ისევ ძირს დავეშვებით.

1935.

პოემიდან „პური და სიტყვა“

ჯეჯილის ტრფობით ვარ აღფურვილი.
მიყვარს ქარების მიეთ-მოეთი.
და ყრმობიდანვე მწვავდა სურვილი,
რომ ვყოფილიყავ პურის პოეტი.

ბავშვი ვუსმენდი აკვნის გალობას.
დედის ძუძუებს ვეძახდი პურებს.
და მჯერა, ახლაც თავის წყალობას
ჩემთვის ბუნება არ დაიშურებს.

აქ სიცხისაგან ისმის გოდება,
მაგრამ მწიფდება სოფელში პური.
შორს, მდინარესთან, მომელანდება
ალვის ხე თავის სალამით ძმურით.

მე არ მიზიდავს ლურჯი ყვავილი,
ხრიზანტემების ვაზების ყდაში.
მწყურია ვნახო პურის თაველი
და ვიბანაო ჯეჯილის ზღვაში.

ლივლივებს, როგორც ალაზნის ველი,
ოქროდქცეული მწიფე ჯეჯილი.
მე მინდა ვიყო აქ ფეხშიშველი,
გულგაღეღილი, ქუდმოგლეჯილი.

მშვენიერია პურის მკა სოფლად,
როს ეცემიან ძნები მშველებად.
შემდეგ მინდორი დარჩება ობლად
მოსავლის დღეთა გასახსენებლად.

ჩემი ბავშვობა — პურის ყალოა,
შემოვიარე ქვეყანა კევრით.
ცა, როგორც ჭერი, მთლად უბრალოა,
ცის ქვეშ ჩიტები დაფრინავს ბევრი.

ო, როგორ მახსოვს სოფლის დოლაბი,
ყველა საოცარ ამბების ბუდე.
მისი ხმაური ამათრთოლები,
მისი ბორბალი, ვით სარკე მრუდე.

და გამომცხვარი პური პირველი
მე მუდამ დედის ძუძუ მგონია.
ჩემი ბავშვობა გაუპირველი
გულში ბავშვივით ჩასაკონია.

ჩემს მამა-პაპას მოჰყავდა პური,
მე მომყავს ლექსი იმავ მკლავებით;
პურსა და სიტყვას დიდება ძმური
მეტ ჭირნახულით და აყვავებით!

დღეს აგვირგვინებს პური'ს თაველ'
აღმშენებლობის ახალ სამყაროს,
ეს უწმინდესი შრომის ყვავილი,
ბედნიერება რომ დაამყაროს.

ნადიკვარი

მიყვარს ადგილი სწორედ იმგვარი,
როგორიც არის ეს ნადიკვარი.
აქ თელაველი ქალიშვილები
დადიან წყვილად, თეთრ ყვავილებით.

უცქერენ მთვარეს, დასეირნობენ,
ყმაწვილებს შორის კვლავ ჯეირნობენ.
ცაცხვების ჩრდილში მღერიან ტოლნი,
შავ თვალებისთვის ტკბილად მებრძოლნი.

მე მაგონდება ძველი ყაბახი,
ბარათაშვილი — ფიქრის მგოსანი.
მაგრამ ეს გორა ნისლის ფაფახით
ნეტა ვაქაა, თუ ფიროსმანი?

კავკასიონი და ალაზანი —
მესაიდუმლე ჩვენი ქვეყნისა,
მე სიხარულით ხელახლა ვცანი,
როგორც საგანი ფარულ კვნესისა.

აქ, ნადიკვარზე, ფეხბურთელები
თავს იწონებენ მარდი თამაშით.
ირგვლივ ზვარები, მწვანე ველები,
ზევით ღრუბლები ცის აკლდამაში.

მხიბლავს შორიდან მე წინანდალი,
ვეალერსები საყვარელ სერებს,
პირსავსე მთვარე ვარსკვლავთ კანდელით
მაინც მოითხოვს ახალ სიმღერებს.

მე ამ ქალაქის არ ვიცნობ ზამთარს,
ახლა კი იგი სავსეა ტრფობით,
ვით მეზობელი მისი — შუამთა
მაღალ მთიანი მწვანე ფართობით.

და იერიში ჩემს ოცნებაზე
მოაქვს ბნელ წარსულს ბნელ მონღოლებით.
მაგრამ გამკურნავს ეს ცა — ეშბაზი,
სპეტაკ ღრუბლებით ანათრთოლები.

ეს ხეივნები და ყრუ ბაღები
თითქოს უსმენენ ძველ საუკუნეს;
არა! აწვდილან ცაში თაღები,
ქარხნებმა მედგრად დაიგუგუნეს.

ისმის საყვირი. კვდება წარსული,
როგორც ელექტროს წინაშე კვარი.
კვნესის აჩრდილი მთლად გაძარცული...
ო, ეს თელავი, ეს ნადიკვარი!

თელავი, 12 ივლისი, 1933.

ერთი დღე ახმეტაში

უთუოდ არის ადგილის დედა
აქ, ახმეტაში კაკლის ხე მხოლოდ,
ყოველ ნაბიჯზე მე იმას ვხედავ
მინდორში — მცველად, გზაში — გამყოლად.

კავკასიონის მთის სიახლოვე
მახარებს, როგორც კოცნა პირველი.
მე შემიძლია თითქოს ახლავე
ჟულში ჩავიკრა ის საკვირველი.

აქ, ვაზისა და წყაროებს გარდა,
მიწას ბევრი აქვს გამოსატანი.
გადმოღვრილია დღე ია-ვარდად,
და გაღმა სერზე ბრწყინავს მატანი.

სჭედენ კამეჩებს აქ ნალბანდები
ქლიავისფერი მუქი ყაირით.
ხევში ჩამოწვნენ მთების ლანდები.

წისქვილთან არის მდუმარე ახო,
წყალის, ფოთლების ხმაური წმინდა,
ამაზე კარგი რა უნდა ვნახო,
სხვა არაფერი მე აღარ მინდა.

ამ ვაზს, გაპოხილს ძუძუს მტევნებად
შევყურებ, როგორც საყვარელ დედას,
და თუ სიკვდილი დამედევნება,
თავს შეეაფარებ ისევ ახმეტას.

1 ოქტომბერი, 1936

ბეთხოვენის ქანდაკება
კონსერვატორიის მარცხენა კედელზე

კედლის ნიშაში ხარ ამართული
ორბის თვალებით, ლომის ფაფარით.
ნეტავ თუ მოგწონს ზეცა ქართული
და ეს ახალი თავშესაფარი?
შენ ქვის კლავიშებს ხელით ეხები,
თითქოს მიაპობ ჰაერს შურდულით.
და დაუფარავს შენი ფეხები
ბეღურებს ხშირად ლაღი ყღურტულით.
უწევ ოპერას შენ მფარველობას,
როს გრიალებენ იქ ტენორები,
უცქერ ზეცაში მთვარის მსვლელობას,
მოწყვეტილ ვარსკვლავს ეამბორები.
ხშირად გავივლი შენს წინ გვიანი,
ისევ მეგობრულ ხმას ველოდები,
მაგრამ შენ დგახარ თვალნისლიანი,
გატაცებული ღამის ნოტებით.
„მიიღე ჩემი ამაო ხოტბა,
უსმინე მგოსნის ფარულ იარებს!“ —
ვეტყვი მიჯაჭვულს, ოპლად მდგომ ლოტბარს
და ის ჩემ სევდას გაიზიარებს.

1936.

ხარიტონ ვარდოშვილს

არ გიყვარს შფოთი, ქუჩა, კრებები,
ხარ მემარტოვე განუკურნელი.
როგორც შილლერი, შენ იკვებები
დამკვნარ ვაშლების უცხო სურნელით.
და შთაგონებამ თუ მოგცა რამე,
ეს ვარსკვლავების არის მარული,
ეს არის ულმო, მრისხანე ღამე,
დიდ უფსკრულებით რომ გაბზარული.
იქნებ ბილიკი შენი ცხოვრების
თეთრი ვარდებით არ შეიმოსა,
მაგრამ მე მუდამ მემახსოვრება,
ვით ხელუხლები, ნორჩი მიმოზა.
კვლავ მენატრება, ძმაო ხარიტონ,
შენთან შეხვედრა და მუსაიფი: —
მწვერვალისაკენ ილტვი ბარიდან
რომანტიული ლექსის ტაეპით.
მჯერა: ოცნების ხარ ჯავროსანი,
ისეთ მირაჟებს ხედავ გრძნეული,
რასაც იხილავს მხოლოდ მგოსანი —
ზღვისა და ქარის ხმით დარხეული.

დედაქალაქი. მაისი, 1936.

შაბათოობაზე

დიდ არხისათვის ჩვენ მიწას ვთხრიდით
ენთუზიაზმით ვიყავით სავსე.
ხელში მეჭირა წერაქვი დიდი
და ნამდვილ მუშას მე დავემსგავსე.
ჩემს არსებაში, როგორც სტიქია,
წინაპარ გლეხთა ნებივრობს ჟინი.
საღამოს მოსვლა არ გამიგია,
ძზე ჩაესვენა დიადი ბრწყინვით.
თითქოს ეს იყოს გრძნობა ფარული
და გადახდილი ჩემი დღეობა.
შრომის სიმძიმე და სიხარული
ვიგრძენი, როგორც მემკვიდრეობა.
ჩვენთან შრომობდნენ მოხანძარენი,
მიწაში ჰპოვეს მათ ცეცხლის ბგერა.
ჩვენ გუთნის ხარებს დავედარენით
და თან დავძახეთ შრომის სიმღერა.
თუმც ჩემი შრომა მცირეა მეტად,
ბშენებლობაში მეც შემაქვს წვლილი,
და ისახება ჩემთვის იმედად
ქვეყნიერების ბაღი გაშლილი.
ეს შაბათობა — როგორც მდინარე,
შედის ოქტომბრის მღელვარე ზღვაში,
ეს დღე დარჩება სხივმომფინარე
ჩემს ოცნებაში!

ᲒᲛᲘᲠᲣᲚ ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ

ამ შორ ქვეყანას მისი მცველებით
ჩემი ოცნება ხშირად იგონებს.
ძველად ებრძოდნენ ესპანელები
ნაპოლეონის მძლავრ ლეგიონებს.

ისევ გოია თავის სურათებს
სწერს ესპანეთის გარუჯულ ცაზე,
ომის საფლავებს აქ აპურადებს
შავ ზარბაზნების ბრაზიან ხმაზე.

ყველა ვიცნობდით ესპანეთს ოდნავ,
მაგრამ დღეს სხვაა ეს ხალხი ძმური.
ახლა არ კმარა კარმენის ცოდნა,
ო, ძმაო, ხოზე ო, იბარური.

თქვენ არ გაშინებთ ბრძოლაში დაღლა,
მტრის ვერაგობა და გახრწნილობა.
და თქვენი დროშა იწევს სულ მაღლა,
თუმცა გამშვენებთ ბევრი ჭრილობა.

შენი მგზნებარე სიტყვა, დოლორეს,
როგორც მუსიკა, გულს ეწვეთება,
იგი ავადმყოფს ჰკურნავს მწოლარეს,
მებრძოლთა რიგებს ცეცხლად ედება.

გვადარამაზე მძვინვარებს ომი,
იბრძვის გრენადა და ბადახოსი.
ღამის ვარსკვლავნი სხივების კრთომით
გლოვობენ მუშებს, ომში დახოცილს.

სან-სებასტიანს ახრჩობს ხანძარი
და ზეცას სწვდება აუტოდაფე.
იწვის, ინგრევა თან ალკაზარი —
ესკურიალის ნორჩი მოწაფე.

სოფლებს არბევენ ავაზაკები,
მაინც არ ისმის არსად გოდება.
და აღმართულან კვლავ ქალაქები,
ვით ხალხის რისხვა და მოწოდება.

ლაურენსია მიუძღვის ვაჟებს,
კომანდორს გულში რომ ჩასცეს ხმალი.
რომელ ფრონდოზოს არ გააკაჟებს
ვაბედულება მისი ფრთამალი.

ახალ ძალებით განაგრძობს ბრძოლას
მადრიდი — შტაბი მიუდგომელი.
და გამარჯვებას მიაღწევს ბოლოს
ხალხი გმირული, ხალხი მშრომელი.

1936.

დიდ ოქტომბერს

ხარ თავიდანვე მოქანდაკე შეუდარები.
შენ გამოჰკვეთე დამკვრელი და სტახანოველი.
დაგვაჯილდოვე ახალი მზით და ნეტარებით,
შენი სხივებით იკვებება სუნთქვა ყოველი.

მოდი ისე, ვით ქარიშხალი, ცეცხლით ბურვილი,
რომ გაგეწმინდა ჭაობისგან ჩვენი ქვეყანა.
ლენინის სიბრძნით და სიმტკიცით ხარ აღჭურვილი.
გამოიყვანე შენ მებრძოლად ფაბრიკა, ყანა.

შენი სახელით დავიპყარით ჩვენ მწვერვალები,
დავიმორჩილეთ უფსკრულები და პამირები.
მტერსაც დავლურსმავთ გამჭრიახი შენი თვალებით,
შენ გამოგვზარდე ჰაერის და მიწის გმირები.

შენი სახელი არის დროშა ჩვენი ბრძოლების.
შენი დროშის ქვეშ ფეთქს მშრომელთა გული მრავალი.
თავისუფლების ხარ კანდელი ანათრთოლები.
ჩვენთვის ხარ აწმყო, მსოფლიოსთვის ხარ მომავალი.

•

სამშობლო ქვეყნის გამობრძმედილ მტკიცე დარაჯად
დგანან მშრომელნი, ისე როგორც ბურჯი კლდოვანი.
ჩვენს სიმაგრეებს ჰყავს გუშაგი რკინის ფარაჯით —
წითელი ჯარი ურყევი და სახელოვანი.

ოცი წლის მანძილს აღტაცებით მე ვუცქერ ახლა:
მოსჩანს ბრძოლების, მიღწევების გზა უმძაფრესი;
გამარჯვებული ჩვენ მივიწევთ სულ წინ, სულ მაღლა,
ბრწყინავს ვარსკვლავი ჩვენი გემის მაღალ აფრაზე.

1937

ᲨᲝᲗᲐᲡ

უთუოდ ჰგავდი თვითონ ტარიელს,
და იმის მსგავსად შენც გვემალები.
ფიქრს, შენით სავსეს, ფიქრს დასალიერს
კვლავ უპასუხებ იდუმალებით.

შვიდას ორმოცდაათი წელია,
რაც გვამიჯნურებს შენი ამბავი.
შენი ყოველი სიტყვა მწველია,
თითქოს თქმულება დაუსტამბავი.

შენი გმირების გზნება და ფარჩა,
შენი ვეფხების გრგვინვა ალური,
საუკუნეთა ხსოვნაში დარჩა,
როგორც სიმღერა ლეგენდარული.

არის ოსტატის ხელით ნაქედი
ზღვაში მსრბოლავი შენი ზანგები,
შენი ნესტანი, შენი ქაჯეთი,
შენი რითმები — ფარშევანგები.

მიწის სიღრმიდან ამონადენი
აფრქვიე სიტყვა და საფირონი.
ვართ მადლიერი, ვით შერმადინი —
მოგვეც ლალები უნაპირონი.

მაგრამ რა იყო იგი დემონი,
შენ რომ გდაგავდა ცეცხლის ამბორით,
ვისთანაც ჰქონდა გმირს პაემანი
ულრან ტყეთა და შამბნართა შორის.

შენი გმირების ლტოლვა მარადი
ჰგავს უკვდავების ძიებას ხშირად:
ისმის ნესტანის მწველი ბარათი
ცაში ატყორცნილ სულის საყვირად.

ჯოჯოხეთი და სალხინებელი
მათი რკალებით შენ გაიარე,
ტარიელისა იყავ მხლებელი
და ანელებდი იმის იარებს.

იწვოდი მისთვის, როგორც სანთელი,
მის უშრობ ცრემლთა სთვალე წვეთები...
სჩანხარ დაისში, ვით ავთანდილი
და გესალმებით ჩვენ პოეტები.

სად განისვენებ, დღესაც არ ვიცით,
და მაინც გრგვინავ ბნელ საფლავიდან.
ხარ ჩვენი ქვეყნის სიბრძნე და ფიცი,
შენს ძვირფას სახელს მზეზე ავიტანთ.

ო, გაიხარე სამშობლოს ბედით,
ჩვენ აღარ გვმოსავს მონობის თალხი,
ბრწყინავს ქვეყანა ამაყი ქედით,
და შენ გადიდებს საბჭოთა ხალხი.

ინათი და ულრათი

აქ კოლოები ერთი მოტივით
უმღერდენ წვიმებს, სოველ ნეშოებს.
მზეშიდაც იყო აქ სინოტივე,
დღეები ჰგვანდნენ დიდ გომბეშოებს.

რომელ საღამოს და რომელ დილას
აქ შეჰხაროდა ადამიანი?
იგი უცქერდა შლამსა და სილას.
იყო ქვეყანა მთლად შხამიანი.

როგორც მიმინო იჭერს ბეღურას,
ისე იჭერდა ბავშვებს ციება,
ანწლის გვირგვინი თავზე ეხურ-
და არ იცოდა მან პატიება.

იდგა დარაჯად მთვლემარე ყანჩა,
თავის სამეფოს ზანტად ზვერავდა.
ცაზე გაკრული ღრუბლების ლანჩა
წვიმით და ქარით კვლავ დაჰბერავდა.

გასივდებოდა ისევ ჭაობი,
ტყე იდგა წყალში, როგორც ანჩარი
და საკრავების სხვადასხვაობით
კვნესდა ჰაერში მწერების ჯარი.

გავდა ჩამომხმარ ყვითელ ხელებით
ადამიანი თავის ორეულს.
ჰქუხდა რიონი კვლავ გახელებით
და ასკდებოდა ზღვას ბრაზმორეულს.

ჭინკებს, ღამურებს, ყოველ წყლულებას
აქ გაემართა თავის ნადიმი.
გოდებას, ტანჯვას და სნეულებას
ვეღარ შველოდა კარაბადინი.

გაუვალ ტყიდან, როგორც ბებუთი,
სჩანდა ავი ზნე ცეცხლის თვალებით.
ცა იხსნებოდა, როგორც ეფუტი,
სისხლით, ომებით და გრიგალებით.

ირვინ იჩენდა აქ მზრუნველობას
განწირულთათვის, კეთილისმდომი,
მზე განაგრძობდა თავის მსვლელობას,
ხარბად ღმუოდა პალიასტომი.

კაპარჭინა და მწვანე ინათი
იყვნენ ნაძრახი დასაბამიდან.
რევოლუციის დილამ ინათა,
გამოიყვანა მხარე ღამიდან.

არგონავტების ნაცვლად მოვიდნენ
მუშები თავის მძლავრი მარჯვენით.
ისინი წარსულს არ იგლოვიდნენ
და შესცქეროდენ მომავალს რწმენით.

და რაც ვერ შესძლეს ზღაპრულ გმირებმა,
შესძლო ბელადმა, ხალხმა, პარტიამ.
ვერ შეგვაჩეროს თვალმა ირიბმა,
ტემპების დენა მუდამ მარდია.

ყორათში კოღო დღეს აღარ დავობს,
და ყვავილები დგანან მცველებად.
ევკალიპტები აშრობენ ჭაობს
და ავრცელებენ ტკბილ სურნელებას.

იცვლის სარეცელს მღვრიე რიონი
და ისიც გახდა ჩვენი მსახური,
რომ კოშმარების ქიმერიონი
გაჰქრეს საბრალო და უსახური.

სადღა არიან ძველი ლანდები.
ჰათი არა სჩანს აქ ნატამალი.
ქალაქში მალე შემობრძანდება
ზღვა, როგორც სიძე, თავის ამალით.

ახლა იკითხავ: იყო თუ არა
ის საშინელი მძიმე წარსული,
იგი ვერაგი და მატყუარა —
დღეს სამუდამოდ შემოძარცული.

არ სდგას ციება ამართულ ცელით,
არ გვემუქრება გადაშენებით.
ბაღების ტალღა ბიბინებს ვრცელი,
ზღვას ეჯიბრება თავის მშვენებით.

1937.

ᲨᲝᲗᲐᲡ ᲓᲐ ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖᲘᲡ ᲒᲐᲒᲐᲐᲡᲔᲑᲐ

მე თეიმურაზ მეფეს ვიგონებ,
მის გრიგალებით სავსე ცხოვრებას.
ვკითხულობ დამზრალ ლექსთა სტრიქონებს,
მათი სურნელი მემახსოვრება.

თავის სასტიკი ბედის მდურავი
და იარაღით მუდამ მოსილი,
მოსისხლე მტერი დიდ მოურავის,
პირველ პოეტის გახდა მოცილე.

ებრძოდა შოთას მაინც და მაინც
და გამარჯვება მეფეს სჯეროდა.
ვინ გაამტყუნებს ბრწყინვალე რაინდს,
რომ შოთასავით ის არ მღეროდა.

მგოსანთა მგოსანს დაუღალავად
თავზე ესხმოდა ლექსების სრბოლით;
ვერ გაუსწორდა მაღალ ფალავანს
და ვარსკვლავების ვერ გახდა ტოლი.

მეფემ დასწერა ლექსი მრავალი,
თითქოს იჩენდა მეტ მძლეოსნობას,
განა იცოდა, რომ მომავალი
დაივიწყებდა იმის მგოსნობას?

დაკიდა ხმალი შოთას სურათზე,
სხვა პაექრობა ახლა გამართა:
ამპარტავანი თეიმურაზი
თავის მეტოქეს გაეკამათა.

ვრისხანედ უტევს უძლეველ შოთას,
აღარ ასვენებს ბნელ სამარეში,
გასტყორცნის ლექსებს ბევრსა თუ ცოტას —
განწირულია მისი თარეში.

მეფის მოაბჯრე არის არჩილი.
თეიმურაზი ისვრის მაჯამებს.
უკვდავებისთვის არის გაჭრილი
და გამძაფრებით რითმებს აჯამებს.

გაბრაზებული ის მოსდევს მგოსანს,
ვით როსტევანი ფრთამალ ტარიელს.
მეფე უყივის უკვდავ ცხენოსანს,
რომ შეატყორცნოს ცის დასალიერს.

შოთამ მოაგდო ჩვენამდე რაში,
მდევარი ნისლში გადაიჩეხა.
და აღტაცების საერთო ხმაში
მგოსნის სახელმა კვლავ დაიჭექა.

1937.

ცარსკოე სელო

აქ ყოველი ხე და ქანდაკება
სუნთქავს პუშკინის წმინდა სახელით.
აქ ხშირად გული დაიდაგება
მისი ლექსების გამოძახილით.

აქ თითქოს დარჩა მისი ხმის ბგერა,
ჰაერს დაეტყო მისი იერი.
აქ, მისი ძეგლის წინაშე, გჯერა,
რომ უკვდავია ყრმა მშვენიერი.

ის აქ სწავლობდა, პოეტი ბავშვი...
მას მოუტანა შუადღის ჩიტმა,
როცა ის თვლემდა ფოთოლთ კარავში,
ნაზი ნისკარტით პირველი რითმა.

როგორ უყვარდა ეს დიდი ბაღი,
მისი გედებით და ლარნაკებით,
აქ ნავარდობდა ჭაბუკი ლალი,
გარემოცული ამხანაგებით.

ის ჩამორბოდა წიგნით ფრანგულით
მკვიდრი ლიცეის თლილ კიბეებზე,
ფიქრობდა ლექსით მთლად გათანგული,
თავისი ქვეყნის ნათელ დღეებზე.

ის ათენებდა ღამეებს თეთრად,
როცა პირველად სცნო სიყვარული.
აქ დერჟავინთან თავის შეხვედრა
მან განიცადა ლეგენდარული.

1937.

პუშკინს

ცა პეტერბურგის იყო მზარავი
და გაჰკიოდა ტყვიის ცახცახით.
სიკვდილი — ქერა და შემპარავი
შენ წარმოგიდგა დანტესის სახით.

მაგრამ რა იყო ეს შეტაკება?
იქნებ ბაასი ყინვის და ქარის,
სითეთრით სულის გაღატაკება
და თოვლში კვნესა გაგუდულ ქნარის?

იდექი მტრის წინ შენ, თავშიშველი.
უცბად ავარდა ცეცხლი კირიდან:
ო, ალექსანდრე, ვეღარ გიშველის
შენი პუშჩინი შორ ციმბირიდან.

შენ წაიქეცი დამბაჩით ხელში...
თითქოს დაიმსხვრა ცა ულანდესი.
თავზე დაგადგა ცოცხალი ლეში —
ქერა, პირსავსე გეორგ დანტესი.

შენს ბინას ხალხი შემოესია,
სადაც ღაფავდი სულს დარბეული.
ყველამ იცოდა: თვით პოეზია
აქ სიკვდილს ებრძვის ფრთებდამტვრეული.

შენ რილეევის გაგონდებოდა
სახრჩობელაზე ყელი გედური,
და მოედანი შენს წინ დგებოდა —
დეკაბრისტების დღე უბედური.

უკანასკნელად საყვარელ წიგნებს,
როგორც მეგობრებს, გამოეთხოვე.
სევდიან დელვიგს ხედავდი იქნებ...
და მკვდარი ჰგავდი შენ ყრუ ბეთხოვენს.

დაგმარხეს ჩუმად მეფის ბრძანებით,
ვით ავაზაკი, ვინმე უნდობი.
და მეგობრებმა ხელთათმანები
შენ ჩაგატანეს მიწაში ტრფობით.

ისმოდა ლხინი მტრების ხროვიდან —
მათ არ სტანჯავდათ გლოვის ღრუბელი.
მაგრამ ოქტომბრის ქარი მოვიდა
და გახდა შენი ჭირისუფალი;

მაგრამ დროებამ იძია შური
ყველა შენს მტრებზე, დიდო მგოსანო.
მოგცა დროშებით სალამი ძმური,
და გეამბორა, შენ, სხივოსანო!

ილია ჭავჭავაძე

დროა, ლომივით რომ დაიგრგვინო,
შენი ხმა ჩვენთვის მუდამ ტკბილია.
ჩვენო მშვენებავ, ჩვენო გვირგვინო.
ილიადაზე მეტო ილია!

განიერ მხრებზე ატლანტის მსგავსად
შენ გეპყრა მთელი ჩვენი ქვეყანა,
რომ ის მოსილი მონობის ხავსით,
ბნელ წარსულიდან გამოგეყვანა.

თითქოს კანდელი შენ აიმართე.
ქვეყანას სხივი მოჰფინე ბლომად.
შენ აღიარე, როგორც სიმართლე,
ხალხის ურყევი ძალა და შრომა.

ქართული სიტყვის იყავ როდენი.
აღზარდე ლექსი, როგორც თაველი,
პოეტო! შენი თქმა რაოდენი
ხმაურობს ისე, ვით რუსთაველი.

შენ მეამბოხედ აქციე გლეხი,
ბატონთან ბრძოლა რომ გააჩაღა.
თავზე დაატყდა მტერს, როგორც მეხი.
კაკო, გაჭრილი ტყეში ყაჩაღად.

შენ უგალობდი შრომის სამეფოს.
ვერ გადაურჩი მეფის ჯაშუშებს.
შენს აგონიას და შენს წამებას
თვით ხალხის გარდა ვინ დააშუშებს?

შავ წიწამურის ბედითი ტყვია
ახლაც ჩვენს ყურში სტვენს გრიგალურად:
შენი ჭრილობა გულზე გვატყვია,
შენი სიკვდილი გვდაგავს ალურად.

დღეს კი მყინვარსა და საგურამოს
დაურღვევიათ თავის დუმილი.
გეტრფიალება სოფლის საღამო,
ვით დედის კალთა და სასთუმალი.

მაგრამ მთაწმინდის ღრმა აკლდამაში
უდაბურ ძილით შენ ახლა გძინავს,
და გამჭვირვალე ცოცხალ ღამეში
დედაქალაქი სულ სხვაფრივ ბრწყინავს:

ის გიხმობს შენი ხმით აგზნებული,
რათა შეგმოსოს ახალ დაფნებით.
ხალხი, შენს მტრებზე გამარჯვებული.
გადიდებს, გრძნობით და აღტაცებით.

1937.

ანტოლოგია და ბეტონი

პოეტების სიმღერამ იცვალა ბინა,
იგი ბნელ ნისლებში
აღარ იფანტება,
ის ახლა ბრწყინავს,
როგორც განთიადის ანთება.
არა ვართ ეპოქის
ჩვენ მაყურებელი
არ არის უძლური კალამი ჩვენი.
ჩვენ უნდა ვიყოთ გამომგონებელი,
მივწვდეთ მთელ ქვეყანას მახვილი სმენით.
ჩვენ მაყურებელი,
ლექსი დაეწვა
ფრთაშესხმულ დღეების მძლეობას.
გვმართებს ქარხნებში და
ყანებში შესევა —
თავი დავაღწიოთ ოთახის უდღეობას.
ჩქეფს შემოქმედება
ირგვლივ გასაკვირი.
თავის გამარჯვებას ზეიმობს მშრომელი.
არ კმარა აქ მხოლოდ
ჩვეული საყვირი.
გაჩაღდეს ჩვენ შორის
მეტი დამკვრელობა,
კარგია მშრომელთა რიგებში მსვლელობა,
ვიყოთ ჩვენ ახალი
ვმირის გულთმისანი.
ყოველი კოლექტივი,
ქარხანა ყოველი
არის დაუწერელ

ლექსის სტრიქონები,
მაგრამ შთაგონების
მუზას ნუ მოველით:
ჩვენ თვითონ ავენთეთ
გრძნობით და გონებით,
მხოლოდ ნუ იქნება
შტამპი, ბანალობა,
გავჟედოთ სტრიქონი ნამდვილად გმირული,
რაღა საჭიროა პოეტის წიგნები
და მისი გალობა,
თუ შიგ არ იქნება ბრძოლა ჩაკირული.
ლექსებს დაეუფლა
მუშების ნაბიჯი,
და სიტყვა ვარვარებს
სასტიკი ბრძოლებით,
სიტყვა გაცვეთილი, სიტყვა დანაბეჟი
ისევ ახმაურდა
ცეცხლის ათრთოლებით.
დადგა ოქტომბერი!
წუთი დღევანდელი!
ათას გიგანტების ზღაპრული აგება.
შრომა ამწვერვალდა
ისე, ვით კანდელი,
ისხმება ახალი ყოფნის ქანდაკება.
შევცვალოთ ლექსების
ძველი აღნაგობა,
ჩვენ სიტყვა დავდაღოთ
ეპოქის ყალიბით.
მშრომელთა გმირობა და ამხანაგობა
ლექსში ახმაურდეს
ახალ ბრწყინვალებით.
მწყობრი სტრიქონები
და ანტოლოგია —
ეს არის სიმშვიდე,
ეს არის წარსული.

ხავსიან ფორმების ჩვენ ირგვლივ ჯოგია-
იყოს ძველ ხავსიდან
ქვეყანა გაძარცული.
ახლა საბჭოებში
იზრდება ჭაბუკი —
მას ძველი სამყარო
არ მოევლინება,
მაგრამ ბლომად არის მტერი დასაბუგი.
შორიდან გაისმის
მუქარა, გინება.
ავმართოთ ლექსები ისე, ვით თოფები,
იყოს პოეზია
ციხე და ჯებირი.
ფეთქდეს ჩვენი სიტყვა
მკვეთრი აღშფოთებით,
იყოს უშიშარი,
ლაღი და მზეპირი.
თრთოლვა ფოლადისა და ძლიერ ბეტონისა,
ყოველი ჩაქუჩის
დარტყმა ულმობელი,
არის პოეტისთვის მომცემი ტონის,
ლექსთა ჭედვისათვის მხმობელი.
ჩვენ დიდი ეპოქის
სიმი დავიჭირეთ,
გულმა მშენებლობის
რიტმი გაიგონა.
ახლა ჩვენს ძიებას
ყველა დაიჯერებთ,
ვიღ.ერებით დღევანდელ მუსიკის
ფრთაშესხმულ სტრიქონად.
ჩვენ რევოლუციის
დავრჩებით მგოსნები,
სწორედ ისე, როგორც
თანამედროვენი;

დაკრჩებით მთელი ხმით
და მთელი ოცნებით,
ვით „გმირულ სიმფონიის“
ავტორი — ბეთხოვენი.

1930

ნეკრასოვს

დიდო პოეტო, მონობის დროში
გამოაცხადე შენ ხალხი გმირად.
ეყავი ბრძოლის დიდი მედროშე,
თავისუფლების გახდი საყვირად.

ო, შენი მუზა იყო ქალწული,
ჯალათმა ცემით რომ გააწამა.
შენ უარყავი ბნელი წარსული
და მებატონე დასწყევლე მამა.

შენ ჩერნიშევსკის, დიდ აზრის ლოტბარს,
როცა შებოჭეს ის ბორკილებით,
უძღვნიდი მაღალ მგზნებარე ხოტბას
და მიმართავდი მის მტრებს მხილებით.

დეკაბრისტებს და მათ გმირულ ცოლებს
შენ ხელთუქმნელი დაუდგი ძეგლი,
შენ თავგანწირულს ეტრფოდი ბრძოლებს,
არ გაშინებდა გვირგვინი ეკლის.

ბევრი ეწამე სიჭაბუკეში,
შემდეგაც გულით ატარე თალხი,
და იყო შენი ერთი ნუგეში
ძალლონით სავსე მამაცი ხალხი.

მუდამ სუნთქავდი შენ ხალხის ბედით,
შენ გწამდა ძალა მისი მრავალი,

მუდამ ცოცხლობდი ერთი იმედით,
რომ ხალხს მოელის სხვა მომავალი.

დიდო პოეტო, ოცნება შენი
დღეს სინამდვილე არის უეჭნობი:
ხალხი გადიდებს შენ აღმაფრენით,
ამბობს შენს ლექსებს მადლიერ გძნობით.

იანვარი, 1938.

ფეხბურთი

კვლავ გვეჯიბრება ჩვენ ბასკონია.
დღეს გველოდება სხვა ბურთაობა
და ოცნებისთვის მოსაგონია
ანტიურ ქვეყნის სანახაობა.

სჩანს სტადიონი მზით ანთებული,
მოთამაშეთა მინდორი მწვანე,
ურიცხვ მშრომელთა სავსე კრებული,
აზვირთებული, ვით ოკეანე.

ბრწყინავს ვარდებით შეხვედრის წამი...
უეცრად ბურთი ავარდა ცაში,
ამფითეატრის თეთრი კამკამი,
ოლიმპიური დიდი თამაში!

მედგრად იბრძვიან ფეხბურთელები,
სწყურიათ ლელო, არ გრძნობენ დაღლას,
იგერიებენ სწრაფ ქართველები
მძაფრად მოვარდნილ ბასკების ტალღას.

ბურთს გაისვრიან თავით და ფეხით,
რომ იგი სტყორცნონ მიზანს შორეულს.
ესხმიან ურთ-ერთს, ისევ ვით მეხი,
გვანან გრიგალს და ზვავს ცეცხლმორეულს.

აი, გაჩაღდა კარებთან ბრძოლა,
დგას დოროხოვი მაღალი ყელით,
ბურთმა იმისკენ გამოიქროლა,
სწვდა ბურთს მეკარე ორივე ხელით.

მძიმე ორბივით ბურთი დაფრინავს,
სჩანს სვეტიანი კარები ბადით,
ბურთი სულ ახლოს მიზანთან ბრწყინავს,
მას დაეძგერა.ბლასკო სიმარდით.

ჩვენებმა ბასკებს ბურთი მოსტაცეს,
ლეოპარდივით იბრძვის ლანგარა.
და პაიპაძე — მძლავრი ოსტატი
ამართულია ფოლადის ფარად.

ორივე გუნდი თავის შეტევით
იწვევს დაძაბულ გრძნობათა ლხენას.
არ ჩადიოდეს ეს მზე ნეტავი,
ბინდი არ სწყვეტდეს სხეულთა დენას!

ტაშს ვუკრავთ ბასკებს შეუნელებლად:
ჩვენს წინ იხსნება ძვირფასი მხარე.
სადაც ებრძვიან ესპანელები
ფრანკოს ფაშისტურ და ველურ ჯარებს.

გაზაფხული ემზადება არჩევნებისთვის

ეს გაზაფხული ემზადება არჩევნებისთვის
და, როგორც მხატვარს, მას გამოჰყავს ნაზი ფერები,
არჩევს ნიადაგს ყურძნის ვაზის რბილ მტევნებისთვის,
ამღერებს ფრინველთ და ვარსკვლავებს მეტ ძლიერებით,
თითქოს არ ჰყოფნის დღე და ღამე თავის გზნებისთვის,
რომ გამოჰკვეთოს მთელი სახე ბედნიერების.

ის რაზმავს ტყეებს, უდაბნოებს, ვენახებს, ყანას,
ყოველ ჩაის ბუჩქს ის ამზადებს ხმის მისაცემად,
ის ყოველ ფოთოლს ეუბნება დედობრივ ნანას,
იგი აჩქარებს მთელ ბუნების დავაჟკაცებას,
ის დასტრიალებს სიყვარულით ახალ ქვეყანას,
აფრქვევს ყვავილებს, სილაჟვარდეს და აღტაცებას.

ის ამკობს ბაღებს, ზურმუხტის და ლალის მსურველი,
ვით ბრძოლის ლაშქარს, ის შეღებავს ცეცხლით განთიადს,
იგი მუშაობს თავის ფუნჯით, როგორც სურნელით,
იყო და არის მოტრფიალე განუკურნელი.
ეს გაზაფხული თავიდანვე დარდიმანდია.

ყოველ ხეს, ბაღნარს ის ამხნევებს და აძლევს ძალას,
ჯოლმეურნეებს ის უმღერის, როგორც აშუღი.
ის ყველგან არის: არ ივიწყებს სოფელს და ქალაქს,
იგი აანთებს მშრომელ ქალთა თვალებს სხვა შუქით,
თითქოს ამზადებს საქორწილოდ მთების იალაღს.
მოჰქრის მაყრებით, სიმღერებით, ნამგალ-ჩაქუჩით.

ი, დადგება არჩევნების დილა ალუერი
და გაზაფხული მზად იქნება თავის ამალით.
მივა ყუთებთან, ვით მდინარე ნიაღვარული,
თავის ხმას მისცემს ხალხის შვილებს ლაღი, ფრთამალი,
დიდებას ეტყვის ჩვენთან ერთად მამულს სალამით,
გაბრწყინებული მზის სხივებით და მხიარული.

2 მარსი, 1938.

სტენდალი

მეტეორივით გაატარე სიცოცხლე გზაში
და ზარბაზნების ქუხილის ქვეშ ხშირად გეძინა.
ნახე მოსკოვი უძლეველი და ბერეზინა,
აუსტერლიცის ცა იხილე კვამლსა და წვაში.

კორსიკანელის ელვარებდა კომეტა მაშინ,
მეფეთა ტახტნი ქანაობდნენ, როგორც მესინა.
რევოლუციამ ცრუ კერპები დაგალეწინა
და ახალი დრო მედიდურად სჭექდა შენს ხმაში.

როგორც გრენობლი, შენ დასწყევლე ძველი ქვეყანა,
გიყვარდა ბრძოლა, ბაირონი, კარბონარები.
შესძელი გმირად გლეხის შვილი გამოგეყვანა.

და ენერგიას ადიდებდი შენ ნეტარებით.
ას წელმა განვლო. გახდი ჩვენი თანამედროვე
და გისმენთ, როგორც აზრისა და სიტყვის ბეთხოვენს.

ქვიშხეთი, ივლისი, 1938.

ტრისტან და იზოლდა

გერონტი ქიქოძეს

'შენს ოქროს თმებით ელვარებდეს ლექსი, იზოლდა,
და წინამძღოლი ჩვენი ტრფობის იყოს ტრისტანი.
მთელი სიცოცხლე, განწირულნო, თქვენ გაგიბრძოლდათ,
ხშირათ იყავით დაცხრილული მრავალ ისარით.

ნეტა რა იყო დაფარული თქვენი მიზანი?
დიდ სიყვარულის ჯვაროსნები ხალხმა გიწოდათ.
თქვენმა სახმილმა ნაპირები აღარ იცოდა,
თითქოს გაიხსნენ თქვენს წინაშე ბჟენი ცისანი.

ჩვენ ეხლა ვეტრფით აღტაცებით თქვენს ორეულებს:
ნესტანს, ტარიელს — გულდასერილთ, ალმორეულებს.
გვხიბლავს ესოდენ უტკბილესი ვისრამიანი.

ო, ვინ დაფანტა უთვალავი ვარდნი, იანი.
ეს არის ცეცხლი, მიჯნურობა და სიყვარული,
გრიგალის ხელით ცის სიღრმიდან გადმოღვარული.

31 ივლისი, 1938

გასეირნება ტაშისკარში

ჩვენ არ გვხლებია ზანგი პატარა
და არ გვპერია ფინია ხელში,
ტყემ ბილიკები შემოგვატარა
და იყო მხოლოდ ალვის ხე ელჩი.

რა ლამაზია ტყეში საყდარი,
და საფლავები ხავსით მოცული,
ნაძვი — სიჩუმის ბაირახტარი,
და გრილი წყარო მთით ჩამოსული.

რა ლამაზია ურმის გზა ტყეში,
ფეხქვეშ ფოთლების რბილი ფენები,
მე არ მინახავს, ვფიცავ, ჩემს დღეში
ასეთი არე დასასვენები.

წაბლის ხეები, როგორც კარავი,
შემოგვესალმნენ დინჯი შრიალით.
აქ არის ჩვენი თავსაფარავი,
ემარა ამაო, ცრუ ხეტიალი.

ოვლისი, 1938.

წყარო.

შენთან მოვდივარ სიყვარულით მე სამჯერ დღეში,
მაგონებს ყრმობას შენი წყალი მუდამ ანკარა,
შენი ნაკადი არის წმინდა და უანგარო,
მე ვუსმენ წარსულს, მძლავრ სიმწვანით დატვირთულ ტყეში.

შენს წყალს გემრიელს ქედმოხრილი მე შევსვამ პეშვით.
აგერ პეპელამ მზის სხივები თითქოს დაღვარა,
მხიბლავს სიჩუმე, როგორც ლაშქარს ბრძოლის ნაღარა,
ფოთოლთ შრიალი მძირავს თავის მსუბუქ სიღრმეში.

მოდის საღამო. გაიქროლებს ტოტებში ჩიტი,
დინჯად ჩხრიალებ და არა ხარ შენ მოქანცული,
გიახლოვდება, ვით ირემი, ერთი ქალწული.

შენ იმას ხვდები ხელგაშლილი და ისევ მშვიდი.
წუთით გშორდები და ხელახლა შენთან ვბრუნდები,
რომ დაგამშვენო ვარდებით და იაგუნდებით.

ბორჯომი, 30 აგვისტო. 1938

წითელარმიელი

წარსულს რისხვა და მძლე სიძულვილი.
უნდა გარდავქმნათ ჩვენ ისტორია!
მუშის და გლეხის ამაყ სურვილით
ბნელი წარსული დასატორია.
წინ მიდის მუშა — აღმშენებელი,
ჰქმნის ახალ დღეებს, ახალ ქალაქებს;
და მასთან გლეხი — მკვიდრი მხლებელი
მთელ დედამიწას გადაალაგებს.
გვხიბლავს მედგარი ჩვენ სითამამე,
რომელიც იცავს საბჭოთა კავშირს,
მან იცის ბევრი უძილო ღამე
უსაზღვრო ცისქვეშ ან და კარავში.
წითელარმიელს ჩვენ მას ვეძახით.
თავის სიმაგრით ჰგავს იგი ფოლადს:
მტერს ხვდება მუდამ ვაჟკაცურ სახით,
იცის, რა არის პირისპირ ბრძოლა.
სამოქალაქო ომის ხანძარში
მან გამარჯვება ჰპოვა მრავალი,
და შეგნებული მედგარი მარშით
მიდის, რომ შექმნას თვით მომავალი.
და ყველგან მოსჩანს მისი ფარაჯა,
ის არის მცველი ფხიზელ თვალებით.
აღმშენებლობის ძლიერ დარაჯად
სდგას აგზნებულ დიდ დავალებით.
მაგნიტოგორსკის და დნეპრომშენის
ის არის მცველი თავგანწირული;
მას რაინდობა შრომისა შვენის,

ეგი პირმშოა ხალხის გმირული.
როს შემოგვიტევს ვერაგი მტერი,
ამას შეხვდება წითელი ჯარი —
თავისუფლების მაღალ სიმღერით,
და ქვემეხების მგრგვინავი ქარით.
აელვარდება მიწა მშობელი,
გაშლის საბრძოლო ფრთებს საბჭოეთი,
და გამარჯვების მახარობელი
ახალ სიმღერას იტყვის პოეტი.
უნდა ვემზადოთ ამ დღისთვის ყველა —
ჩაქუჩით, კალმით, თოფით, მახვილით,
სცნოს თვითეულმა თავი დამკვრელად,
იყოს ხუთწლედის გამომსახველი!

1933.

ნიკოლოზ გარათაშვილს

შენთან შეხვედრა გულმა გაბედა,
ჩემო უფროსო ძმაო ნიკოლოზ!
მაგრამ მაქვს შიში, რომ უცაბედად
ბინდის გრიგალმა არ გაგიყოლოს.

შენ მოწყენაში ვერავინ გჯობნის.
ხარ ჩვენი ბედის დიდი მერამლე
და მონოლოგი ყოფნა არ ყოფნის
უფრო გეკუთვნის, ვიდრე პრინც ჰამლეტს.

შენ კოსმიური მოვლენა გახდი —
ცის უდაბნოში დაგყავს ღრუბლები,
და შენი რაშის ბრწყინვალე რახტით
ვარსკვლავთა ქედებს კვლავ ეუფლები.

• •

მიჯნურთ პოეტს — დიდ ნიზამის
დაემოყვრე, როგორც განჯელს.
უცხოეთში რას იზამდი,
მარტოობით დაიტანჯე.

სცან სიკვდილი სხვა მხარეში.
მშობელ მიწის სევდა გწვავდა.
უცხო ქვეყნის სამარეში
შენი სული კვლავ ბორგავდა.

შენ მთაწმინდას დაუბრუნდი,
იქ ბელადის ქანდაკს ხედავ,
იქ სულმნათთა არის გუნდი,
მათთან შოთაც იყოს ნეტავ!

დაეწიო გინდა შენებრ
უკვდავებას, ვით საყურეს:
'შენ შავ მერანს მიაჭენებ,
და მომავალს შორს გაჰყურებ.

ოდეს ცაზე მთვარე ბრწყინავს
სავსე ვერცხლით, სავსე ალით,
როს პოეტებს ფხიზლად გვძინავს,
შემოგვხედე მზრუნველ თვალით!

იყავ ჩვენი ბაგე, სმენა,
მიეც ძალა ჩვენს სტრიქონებს,
იყავ ჩვენი აღმაფრენა, —
ეს ვედრება გაიგონე!

ოქტომბერი, 1938.

შევჩენკოს პორტრეტის წინ

ადგახარ მთასავით მაღალი და ომახიანი.
ნუთუ შენც სფინქსად აიკვეცე, მხარგრძელო ტარას?
არა, ძილშიაც დასტრიალებ სამშობლო მხარეს,
ვით ჭეშმარიტი პოეტი და ადამიანი.

ზღვის და უდაბნოს მარტოობა სცან შხამიანი,
ამირანივით მიჯაჭვული უცქერდი შარას,
სადაც ხედავდი მძლავრ კენტავრებს, არა ცხვრის ფარას,
და ჯანყის მტვერი ცას სწვდებოდა ქარიშხლიანი.

დასწყევლე მეფე, ბატონები შენ გაშმაგებით,
მათ დასასჯელად გამოჭკვეთე გაიდამაკები...
მაგრამ იყავი დატანჯული და განწირული.

რევოლუციამ უმაღლესი მოგცა ტრიბუნა,
მთელი დიდება, როგორც პოეტს, შენ დაგიბრუნა
და გამოსჭედა ქანდაკება შენი გმირული.

2 დეკემბერი, 1938.

რუსთაველის დედა

მე ერთ ოცნებას გულში ვინახავ —
ეს არის ჩვენი სულმნათის დედა.
მისი სურათი მე არ მინახავს
და იმას მაინც მარადის ვხედავ.

მადლიან ძუძუს ბავშვს აწოვებდა,
და აწვეთებდა ყურში ტკბილ ნანას,
ბოელ ნეტარებას მასში ჰპოვებდა,
ეელიდა. როგორც პატარა ყანას.

მას თინათინის თითები ჰქონდა,
ნატიფი სახე ქართველი ქალის.
ოქროს ღრუბლების ელვა მოსწონდა
და ბრწყინვალება ვარსკვლავთ ამალის.

ეყვარდა კითხვა ძველი წიგნების,
ვისაც, რაც ინის მას ბედი სწვავდა.
კდემამოსილი. ნაზი. იქნების
ფეხმძიმობის დროს ბაჯაჯებს სთხზავდა.

ცა ბნელ ღრუბლებით შემოირკალა,
ზომალდასავით თრთოდა ვარძია.
ქალი გამოჩნდა, როგორც გრიგალი,
და გული ქარში დიდხანს არწია.

ეას აივანზე უყვარდა ჯდომა,
როცა არ ჰქროდა ქარი მზარავი.
იყო ლამაზი დაისში კრთომა
მის ქარვისფერ ტანსაფარავის.

ასწავლა შოთას კითხვა და წერა,
ბავშვს შეაყვარა ძველი გმირები,
მას წაუკითხა — მე ღრმადა მჯერა —
როსტომიანის მძლე შაირები.

ია ალბათ, ადრე გარდაიცვალა,
ეგი ვერ დასტკბა შვილის დიდებით.
დარჩა საფლავი და დაიცვარა
ქარიშხლიანი პანაშვიდებით.

შოთას გამოჰყვა დედის თვალები,
შოთას რითმებში დედის ხმა კვნესდა.
და თითქოს დედის შორ დავალებით
მისი რაინდი ეძებდა ნესტანს.

ღღეს შოთას ძეგლთან მე იმას ვხედავ
მშრომელი ქალის წმინდა იერით.
თითქოს გაცოცხლდა პოეტის დედა.
ძაღლორნიო სავსე და ბედნიერი.

1938

მთარგმნელი

ᲛᲘᲡᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ — ᲔᲡ ᲡᲐᲠᲙᲔᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲘᲠᲘᲑᲐᲓ
ᲛᲝᲡᲩᲐᲜᲡ ᲓᲔᲓᲐᲜᲘ, ᲘᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲜᲐᲘᲠᲘ.
ᲙᲚᲐᲕᲘ ᲠᲐᲘᲜᲓᲔᲑᲘ ᲐᲘᲛᲐᲠᲗᲜᲔᲜ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲐᲓ
ᲓᲐ ᲰᲔᲒᲖᲐᲛᲔᲢᲠᲘ ᲐᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲨᲐᲘᲠᲘ.

ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲔᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲨᲔᲥᲡᲞᲘᲠᲘᲡᲐᲓ.
ᲡᲮᲕᲘᲡᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲑᲘᲚᲕᲐ ᲰᲒᲝᲜᲘᲐ.
ᲜᲣᲗᲣ ᲛᲐᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲝᲮᲓᲔᲜᲘᲚᲐᲓ ᲒᲐᲘᲖᲔᲞᲘᲠᲐ
ᲣᲪᲮᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ, ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲰᲐᲠᲛᲝᲜᲘᲐ.

ᲐᲠᲐ, �პᲝᲔᲢᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲛᲮᲓᲐᲠᲐ ᲘᲡ ᲝᲠᲔᲣᲚᲘ,
ᲛᲘᲡ ᲨᲗᲐᲒᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲠᲘᲒᲐᲚᲘᲗ ᲪᲔᲪᲮᲚᲛᲝᲠᲔᲣᲚᲘ
ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲘ ᲑᲔᲓᲘᲡ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲘᲒᲘ ᲛᲓᲣᲠᲐᲕᲘ,

ᲗᲣᲛᲪᲐ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲔᲑᲠᲫᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲡ, ᲕᲘᲗ ᲛᲝᲣᲠᲐᲕᲘ.
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲠᲝ, ᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲡ ᲡᲘᲪᲐᲠᲘᲔᲚᲔᲑᲘ
ᲓᲐ ᲛᲝᲠᲒᲐᲕᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲜᲐᲠᲔᲙᲚᲘ ᲫᲕᲔᲚ ᲡᲐᲚᲘᲠᲘᲡ.

1938

ასკილი

ჩემს დას ვარვარას

..ყო ზამთარი. ვიყავი ავად.
დამ მომიტანა ასკილის კონა.
თუმც მეხვეოდნენ ფიქრები შავად,
ირგვლივ ვიგრძენი მე სულ სხვა ჰავა.
და ჩემი თავი ტყეში მეგონა.

არ მოფრენილან ჩიტები სტვენით,
რომ დაეკორტნათ ნაზი ასკილი,
იგი ჩემს ახლოს სთვლემდა დარცხვენით,
როგორც იმედი უკანასკნელი.

ღამე გადიქცა ასკილი ვარდად,
ძილში ვიყნოსე მე სურნელება,
ისევ აყეფდა ბულბული მარდად
და ახლა სუნთქვა არ მეძნელება.

მე დილით ვხედავ: დის საჩუქარი
ბრწყინავს მარჯნების მეწამულ ხვავად,
ბედი არ მჩაგრავს თავის მუქარით
და აღარა ვარ სრულებით ავად.

7 იანვარი, 1939.

ჩემ ძეთოს

ო, ჩემო ძეთო, ეს როგორ მოხდა,
რომ გაიზარდე შენ ასე დიდი?
გაბსოვს, ჯდებოდი ბუხარზე კოხტად,
როგორც ბეღურა, ჩუმი და მშვიდი.

ძე გეძახოდი შენ კაროლინას.
რადგან შილლერის საცოლეს ჰგავდი.
ეუბნებოდი კუკლებს ნანინას
და ლითლებისგან თაიგულს ჰკრავდი.

ე შენს სასეში განთიადს ვსედავ.
ქალწულის ნაზი უმანკოებით.
ძუდაბ ბაგონებ ჩემს ძვირფას დედას
შენი ღიმილით და სათნოებით.

ულეს აღარა სარ შენ ბუხრის ჩიტი,
შენ გაიფურჩქნე და ტკბილად მღერი.
შრიალებ, როგორც ყვავილი მშვიდი,
ალერსიანი და ვარდისფერი.

10 იანვარი, 1939.

წიგნიდან — „ზღვა“

ზღვის ტალღას ახსოვს წარსული კარგად,
ᲛᲐᲡ ახსოვს რომი და ბიზანტია.
გამოჩნდა გემი სამხედრო ბარგით,
ლეგიონერთა სახე ზანტია.

ᲗᲕᲘᲗᲝᲜ სარდალი სდგას გემის ბანზე.
ᲐᲮᲔᲡ იჩრდილებს, შორს იყურება.
ᲛᲝᲐᲥᲕᲡ ნადავლი: ტყვეები, განძი
და მაღალ აფრებს მზე ეხეხურება.

ᲞᲔᲕᲠᲘ ლეგენდა თვლემს მსრბოლავ ზღვაში
ᲖᲔᲓ ᲰᲥᲠᲘᲐᲜ ქარნი და ზეფირები.
ᲠᲔᲛᲑᲝᲛ იხილა ტალღების სვლაში
ᲜᲐᲢᲘᲣᲠ დრამის დიდი გმირები.

1939.

ცირკი ზღვის პირად

სდგას ზღვის ნაპირას ცირკი მხეცებით.
ეხმაურება ვეფხვი ზღვის ტალღას.
შორით ვარსკვლავებს ვეალერსებით
და ვსუნთქავთ ჰაერს უმანკოს, მალხაზს.

ლომი ყურს უგდებს უცნაურ სმენით
ზღვას, როგორც თავის მშობლიურ დედას
ტალღები ჰქრიან გაქროლილ რბენით,
ცირკი ტალღებზე ხომალდებს ხედავს.

და თეთრი დათვი ღამით განიცდის
ზღვის სიახლოვეს, — როგორც გადიას.
უცქერის ზეცას ირგვლივ დანესტილს
და ოქროს მთვარეც დასაქადია.

აქ დიდებული ნებივრობს ბაღი,
მაგრამ იგი ცირკს აღარ იზიდავს,
ნადირს სწამს მხოლოდ ზღვის იალაღი,
ამობორცვილი დაბალ მიწიდან.

როცა ორი ხმა ერთმანეთს ხვდება:
ხმა ტალღისა და ხმა ვეფხვის მკაცრი.
ჩემში იღვიძებს და აღარ ქრება
მათ ჰარმონიის შესახებ აზრი.

27 მარტი, 1939.

ბოტანიკური ბაღი

ყოველ გაზაფხულს და ყოველ მაისს
ბოტანიკურ ბაღს ვეწვიო მინდა.
მსურს მივესალმო იქ ყრმობის აისს,
ფოთოლთ კარავი ვიხილო წმინდა.
იქ ბილიკები მე მახსოვს ბევრი,
ეფსკრულის თავზე ვარდების თარო,
გამოქვაბული, გვირაბი, ტევრი,
წყალვარდნილი და სპეტაკი წყარო.
თითქოს ჰაერში ჰკიდია ხიდი,
ზედ მოსჩანს მწვანე, როგორც კაკადუ,
ირგვლივ ჩიკჩიკობს მრავალი ჩიტი,
ბაღი ჰგავს სიზმარს, სხივით დახატულს.
მე მოგონებით კვლავ ვსუნთქავ ძველით,
პისი აღდგენა არ მეძნელება:
იქ შემოდგომა გამკრთალი ხელით
მჭკნარ ფოთლებს შორის ღვრის სურნელებას;
იქ — გულმომხიბლავ ხეივნებ შორის
მიყვარდა ქალი და პოეზია,
ახლა კი მესმის ძახილი წნორის.
და თმას ჭაღარა შემოესია.
ასე მგონია, ამ ბაღში ვხედავ
ჩემს სიჭაბუკის აჩრდილს ცრემლიანს,
ახლა იქ შესვლას მე ვეღარ ვბედავ
ღა ბილიკები არ მიმელიან.

აპრილი, 1939.

ნიკო ცხვედაძეს *

გწამდა მარადის ჩვენი ქვეყნის აღორძინება,
თუმცა გვახრჩობდა თვითმპყრობელის ხელი საზარი.
ვერ შეგაშინა უსასტიკეს მტრების გინებამ
და გადაწყვიტე, რომ აგეგო ცოდნის ტაძარი.

შენ ქართველ ხალხში აგროვებდი უწმინდეს თანხას,
რომ ჩაგეყარა ოცნებისთვის მძლე საძირკველი.
ნუთუ წინასწარ მოგეელინა დღეები ჯანყის
და საქართველოს მომავალი გაგაკვირველი?

შენ თვითეულ ქვას შეჰყურებდი მამის ალერსით.
შენ თვითონ გსურდა ამ შენობას ქვად დასდებოდი,
კედლებთან ერთად, ფრთაშესხმული და უალესი.
ზურაბეფტოვანი ივერიის ზეცას სწვდებოდი.

ილიას ჰგავდი ნიადაგით, ძალლონით საკუნ,
შენ ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი მართლა გჯეროდა,
ნეტა ხედავდე, მზე ვით ბრწყინავს საამშობლოს თავზე,
როგორ ამოდის ხე სიბრძნისა დარგულ ღეროდან.

უნივერსიტეტს როცა ვხედავ, ასე მგონია,
რომ შენს ბიუსტზე ამოსულან მისი კედლები:

---

* ნ. ცხვედაძე — პედაგოგი და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი. მისი თაოსნობით აშენებულ იქნა ქართული გიმნაზია, ახლანდელი სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც იმთავითვე გამიზნული იყო საქართველოს უმაღლესი სასწავლებლისათვის (ავტორის შენიშვნა).

მისი მშვენება, მთელი სიბრძნე და ჰარმონია
არის შექმნილი ახალ ქვეყნის ახალ მჭედლებით.

წარსულს ჩაბარდა გზა მოსილი ნარით და ეკლით,
მადლობა ყველას — ამ ცხოვრების დამამშვენებელს
და შენც დაგიდგით ჩვენს ხსოვნაში გულწრფელი ძეგლი,
როგორც უმაღლეს სასწავლებლის პირველ მშენებელს.

მაისი, 1935

აბესალომ და ეთერი

ნაზ ბატონიშვილს შეუყვარდა გლეხის ასული,
ვისთვისაც იყო ფრთამაღალი ორბი-გადია.
კაცის კანჭიდან ეთერ ქალი დანაბადია.
ახლა ზის ტახტზე, მზის სხივებით შემოგარსული.

ბრაზობს მურმანი, შურიანი და ფერწასული.
ბედნიერება აბესალომს ვერ აპატია,
ღალატის ნისლში არა ერთი ღამე ათია,
და განუმზადა შეყვარებულთ მან აღსასრული.

დავრდომილ მეფეს უკვდავების სწყურია წყალი.
იგი მოიხმობს ვეზირის ცოლს, კიდევ ცოცხალი
რა ნახა მეფე, დაჩრდილული შავი ნაღველით,

ქალმა გულმკერდი გაიგმირა ოქროს მახვილით.
ერთად დამარხეს ეთერი და აბესალომი
და იმათ საფლავს სიხარულის ამკობს ალამი.

24 ივლისი, 1939.

ლექსის დაგეჯდვამდე

ახალ ლექსს ვამბობ ჩემთვის ათასჯერ,
რომ შიგ ჩავბერო სული მაღალი.
ეს დიდი შრომა არა ჰგავს სასჯელს
და არც შვებაა იგი ახალი.

თვითეულ სტრიქონს, ვით დამგეშავი,
ვწრთვნი, ვამახვილებ მრავალნაირად.
გამოთქმა მძიმე, სიტყვა ბეჩავი
ვერ ამღერდება ნამდვილ შაირად.

ლექსს ხშირი კითხვით ვეჯადოსნები,
რომ იმას მივცე ჯანი, მხნეობა,
დე, იყოს სავსე ჩემი ოცნებით,
დასჩემდეს მეტი ენამზეობა.

გახსოვდეს, ლექსო, ხარ ჩემი ხმალი,
შენ ხალხის მტრები არსად დაინდო.
თან ელვასავით იყავი მალი
და ჰქმენ საქმენი შენ სარაინდო.

მაშ გასწი, ლექსო, იბრძოლე მარჯვედ,
მე აწი ვეღარ მოგეშველები,
ან უნდა მოკვდე ან უნდა დარჩე
წმინდა სახელით და სურნელებით.

1939.

რუსთაველის პროსპექტის ხეივნის ქვეშ

დიდხანს ვიყავი მე დავრდომილი
და უკვდავების მწყურიოდა წყალი,
ვით აბესალომ მეფეს, რომელიც
იყო სნეული და მკვდარ-ცოცხალი.

მე ახლა მოვრჩი და მიხარია
ამ ხეივნის ქვეშ გასეირნება,
კვლავ შემოდგომის კარგი დარია —
ჩემი გათბობა შუქმა ინება.

თითქოს აკვანი არის შეკრული
მაღალ ტოტების გრილ არტახებით
თითქოს ნანინა მატკბობს მეგრული
და მიმაქროლებს იალაღებით.

როგორც დედ-მამის ნაზი მკლავები,
გულში მიხუტებს ეს ხეივანი.
ახლა არავის არ ვედავები,
ვამიჯანსაღდა გული მტკივანი.

დედაქალაქი, შემოდგომა, 1939.

ზეციური სონეტი

იგი ავდარში, ვით უფსკრული, სჩანს დამხობილი.
იწევს სულ მაღლა, აზიდული თეთრ ვარსკვლავებით.
ცა უწმინდესი სუნთქავს ნისლით და უკვდავებით,
მისთვის არ კმარა ათას ერთი საგალობელი.

მე მახსოვს იგი — გრიგალის დროს ბრმა, ულმობელი,
აბღავლებული, მოვარდნილი ცეცხლით, ზვავებით,
და მიყვარს იგი მთვარის გზნებით და იგავებით,
როცა ნიავი უნაზესი არის დობილი.

ამ ქვეყანაზე ორ დიდებას ყოველთვის ვხედავ,
ეს არის ზეცა და კიდევ ზღვა — მსგავსება სარკის:
ამათრთოლებენ ორივენი, ისე ვით ნარგიზს.

ყველაზე მეტად მაჯადოებს გამოთქმა — ნეტავ!
ნეტავ ლურჯი ზღვა აიმართოს მწველ პარადიზად,
ნეტავ გვხიბლავდეს ცის ლაჟვარდი სამარადისოდ.

24 სექტემბერი, 1939.

ტარას შევჩენკო

მეფის პეტერბურგს — ყმების ხელით აგებულ გოდოლს,
ვით მხეცის ბუნაგს, შენ უცქერდი მეტ სიძულვილით.
შენ იგონებდი ღატაკ სოფელს, ტირიფის ფოთოლს
და ისევ გწვავდა დაუდეგარ ბრძოლის წყურვილი.

ქედს არ იხრიდი ბარბაროსი მეფის წინაშე
და ამზადებდი მშრომელების ლაშქრობას მტერზე.
სვვრეტდი მომავალს განთიადის ალურ მინაში,
წარსულს კი — მთვარით გაფითრებულ მდინარის ფსკერზე.

ციხეს, ბორკილებს და დაღუპვას ვერ გადაურჩი.
შენი სიტყვა კი ცოცხლობს, ცეცხლზე უმხურვალესი,
ჰპოვე სიამე დარბაისელ დნეპრის ხმაურში,
რომელიც გლოვობს შენს აღსასრულს დედის ალერსით.

სავსეა მთელი უკრაინა შენი სახელით,
ხალხის უსაზღვრო სიყვარული შენი ხვედრია.
ერგო ისეთი შენს სიმღერებს გამოძახილი,
როგორიც თვითონ ოკეანეს არ შეხვედრია.

უშენოდ მინდვრად არ იშლება მცირე ყვავილიც.
ყველგან სდარაჯობ უხილავი დევ-გმირი მამულს.
შენი მზით ცოცხლობს და მწიფდება პურის თაველი,
ბაღებში უსმენ ჩვენს ბედნიერ ბავშვთა ჟრიამულს.

ცოცხლად გმარხავდა, ვით თავის მტერს, თვითმპყრობელობა.
დიდ ოქტომბერმა შენი სიტყვა გამოიტანა

დღის სინათლეზე და არ ცხრება ხალხის მსვლელობა.
შენს ძეგლისაკენ, ჯანყისა და ლექსის ტიტანო!

დიდო პოეტო, თვითეული ერი გაფასებს,
შეგვყვარებიხარ ისე, როგორც მკვიდრი ილია!
გვაქვს შენი სახე აღბეჭდილი გულის დაფაზე,
დღეს ყველასათვის შენი ლექსის ბგერა ტკბილია.

1933.

დანიელ ჯოჯუაძე

სურამის ციხის საოცარი ხარ მშენებელი,
შენმა გენიამ ეს სიმაგრე კვლავ გამოსჭედა.
ასე პუშკინი დაეუფლა ბრინჯაოს მხედარს
და ფალკონეტის მთლად ივიწყებს მაყურებელი.

ჩაეც პირველად შენ მახვილი უდარებელი
ძველ ბატონყმობის დაუღალავ ცოფიან ბნედას.
ო, შენ გვიჩვენე დაღუპული კალოზე დედა,
კევრზე ბატონი — სულისა და ხორცის მყვლეფელი.

შენ არ ბაძავდი თვალგანაბულ ბესიკის ენას,
ადრე დაიწვი, არ იყავი შენ ოღბლიანი,
უთუოდ გჯობდა თავის ბედით ორბელიანი.

ზურაბის მოთქმით ადუმებდი ბულბულთა სტვენას.
მტრები მზად იყვნენ გადაეგდეთ შენ მდინარეში.
დღეს კი მოისპო სამუდამოთ მათი თარეში.

ოქტომბერი, 1930.

ბ ა ჭ ო

ქალაქი უდაბნოში

ირგვლივ უდაბნო,
ყვითელი ქვიშა.
ამ უდაბნოში ბუმბერაზი
ქალაქი იშვა,
შემორკალული
მშრალ ტრამალებით,
დამწვარი მიწის და
ქარის ალებით.

ქალაქი ცოცხლობს
და ქუჩებით სწრაფ იღუნება;
არავითარი არ არსებობს
ირგვლივ ბუნება,
თითქოს სამყარო
ცეცხლის წვიმაა —
აქ ერთადერთი
პეიზაჟია —
ნავთის კოშკები,
ამართული ქალაქის ცაზე —
გაჭენებული ტყის სილამაზე.
და ისმის ნავთის
აქ სურნელება.

შავ შადრევნების
საშინელება.
ამოაქვთ ნავთი
მიწის ფსკერიდან.

ადამიანი ოკეანეს
არ დაერიდა.
და მას მოსტაცა
დიდი ალაგი,
ნავთის წყალობით აღმოცენდა
მთელი ქალაქი,
არის ილიჩის ნავთსადგურად
ის წოდებული.
აქაც კოშკების გაიშალა
დიდი კრებული.

ცეცხლს თაყვანს სცემდნენ
აქ წინაპრები —
დღეს ინდუსტრია აიმართა
თავია აფრებით.
და ოქროს ვერძის
თუ ოდესმე იყო თქმულება —
ეს არის ნავთი
თვითონ მისი დიდებულება.

ეს არის ოქრო — შავი ოქრო —
ამაყი ნავთი:
მოვიდა მუშა, ვით არგონავტი;
მან დაამყარა უდაბნოში
თავისი ძალა,
ქალაქის თავზე ბრძოლის დროშა
ააფრიალა.
დღეს განდევნილი
არის ნობელი.

თვითონ მუშაა
ერთი მფლობელი.
ყველგან ქარხნები, ტრამვაები,
ცადამწვდენები.
ყველგან ელექტრო და მშრომელნი

ახალ მშვენებით,
ეს გამარჯვება ნაყიდია
ოფლით და სისხლით.

მონობისაგან ჩვენ უმსხვერპლოდ
თავს ვერ დავიხსნით.
ბრძოლაში ბევრი სამუდამოდ
ხომ დაიფერფლა,
და შეეწირა ხალხს
წმინდა მსხვერპლად.
ოცდა ექვსი კომუნარი:
იქ, სადაც მზეა
მეტად მცხუნარე,
მათი სიკვდილი საშინელი

ნახა უდაბნომ,
გმირებს ძეგლები გვირგვინებით
რომ დავუდაფნოთ.
შაუმიანი,
ჯაფარიძე,
ფიოლეტოვი!
მათი გმირობა მაგალითი
იყოს ნეტავი!
ნავთის კოშკები აიმართენ,
როგორც გემები.
აი უდაბნოს ხომალდები —
მჭლე აქლემები,
მაგრამ გაასწრებს მათ უეცრად
ავტომობილი —
და წინ მიქროლავს საუკუნე
ძველის მგმობელი.

მტვერი ნებივრობს
მუდამ, დღითი-დღე,
სხლებს ეხება

ცხელი ზმორებით.
ნავთის კოშკები,
როგორც ნაძვის ტყე,
სჩანან ზღვის ფსკერზე
განმეორებით.

საიდუმლოა
მიწის ქვეშ ბევრი,
ბაგრამ ძნელია
გარღვევა მტევრის.
და გაბედულად ჩვენ ვაღწევთ მიზანს,
გვემორჩილება დედამიწა,
როგორც გულთმისანს.

ლამით ქალაქი
არის ელვარე,
მისი ხმაური
მუდამ მღელვარე,
ბაქო ვარსკვლავებს
ეამაყება —
მას უნდა ბლომად
შუქის გაღება.

უდაბნოსაკენ იშლება გზები,
ლამე მორევში
ჯვლავ იძირება.
როცა თენდება,
ღამის კოშკები
ყველაზე ადრე
სჩანან გზირებად,
სდგას ნავთის კოშკი,
როგორც კანდელი
და იხედება კასპიის ზღვაში.
ტანში დამივლის
მე ჟრუანტელი.

ო, ეს ქალაქი,
ეს პეიზაჟი!
შენ ხარ ვერჰარნის
ქალაქი ჩქარი,
რომელიც არის მოვარდნილი
როგორც ხანძარი.

იბრძოდა მუშა.
გაჭირვების სუსხით დამბალი.
მაგრამ დღეს წელში გაიმართა
მუშა-ამბალი;
როგორც პრომეთე, ის იტაცებს
ცეცხლს უფსკრულიდან,
ეს არის ნავთი
მოწყვეტილი მიწის გულიდან.

ნავთი ამოდის უფსკრულიდან
ტახის სიმძიმით;
შემდეგ თანდათან იწმინდება
მწვანე ციმციმით.
მას დიდი გზა აქვს,
ცისტერნები მას მოელიან.
ვინ სთქვა, რომ მიწას
საუნჯენი გამოელია?

უნდა ავხადოთ ჩვენ ნიღაბი
ქვეყნიერებას,
და დავამყაროთ მსოფლიოში
ბედნიერება.
უნდა მოედვას
მთელს სამყაროს დიდი ხანძარი.
ძველი ქვეყანა დანგრევის წინ
ბრაზობს ზანზარით.
ნავთის კოშკები აიმართენ
ქალაქის ცაზე —

გაჭენებული ტყის სილამაზე!
ქალაქის ირგვლივ მათი ცეკვა
მუდამ ხარბია!
ერთად ჩნდებიან,
ერთად გარბიან.

მაგრამ ეს არის გამოფენა
და ზედაპირი:
მიწის ქვეშაა სინამდვილის
დიდი ზღაპარი.
სურახანა და ბალახანა!
აღმშენებლობა!
და ამ წიაღში აღტაცებით
გული ეფლობა.

ყველგან ქარხნების
რიტმიული, ფხიზელი ბგერა,
მრისხანედ ისმის ამ რიტმებში
ნავთის სიმღერა.
და ოქროს ვერძის
თუ ოდესმე იყო თქმულება,
ეს არის ნავთი —
თვითონ მისი დიდებულება.

ეს არის ოქრო — შავი ოქრო —
ამაყი ნავთი.
მხოლოდ მუშაა ამ დიდების
დღეს არგონავტი.
ეს იაზონი მთელ ქვეყანას
შეატრიალებს.
მთელ მსოფლიოში კომუნიზმის
დროშა იალებს.
აღმოსავლური სიზანტეა
უარყოფილი —
მოძრაობაში ამერიკის

ძოსჩანს პროფილი.
სისხლით და ოფლით აგებული
არის მაგარი,
და ოცდა ექვსი კომუნარის ნაამაგარი
ჩვენს წინ იშლება
განახლებულ ყოფნის თაღებად.
მტერი სიკვდილით
ამ ბრძოლაში დაიდაღება.
ნავთის კოშკები ქალაქის ცაზე —
გაპენებული ტყის სილამაზე!

1928.

ილია აგლაძეს

შენ დიდ ილიას ხარ მოწაფე, ხარ მისი ნერგი.
და მწერლებიდან ვინ არ იცნობს მწერალ აგლაძეს!
შენ ახლაც შრომობ და არ ფიქრობ წუთით დაღლაზე.
მშობელ ერისთვის მზრუნველობა თავიდან გერგო.

შენი ჭაღარა კვლავ ბიბოქრობს, ღელავს, ვით ზერგი.
გიყვარს ოცნება სიშაბუკის მსრბოლავ ტალღაზე.
როცა გხიბლავდნენ ვარსკვლავები ცის სიმაღლეზე,
როცა სთარგმნიდი „ვიქტორიას“ ჩვეული ხერხით.

ქართული სიტყვის ხარ მებაღე. გახსოვს წარსული.
სრულებით არ ხარ ჟამისაგან შენ გაძარცული,
ჩვენს ბუმბერაზებს შენ ხვდებოდი ხშირად, მაშ, ასე:

ტკბილად გვიამბე ილიაზე და მკვიდრ ვაჟაზე,
და მოგვაგონე კიდევ ერთხელ ხმა აკაკისა,
ვინც აყვავილდა ჩვენს ხსოვნაში სპეტაკ ნარგიზად.

19 ნოემბერი, 1940.

სონეტის ქალაქი

რომს სახელგანთქმულს მე ვეძახი სონეტის ქალაქს,
სადაც პეტრარკამ ტკბილ ჰანგებში ჰპოვა ლაურა,
მიქელ-ანჯელო მოქანდაკე გაეხმაურა
მგზნებარე ლექსით სილამაზის უძლეველ ძალას.

აქ ყოველი ქვა სონეტების იწვევს ამალას
და რომი რითმებს მოაგელვებს, ვით ბედაურებს,
ტერცინებს აწვდის ქალბატონებს — ვით სამკაულებს,
სუნთქავს წარსულით და ღრუბლებში სახეს ამალავს.

რომი კვლავ ცოცხლობს, კვლავ გაისმის მისი საყვარი,
სონეტის ქალაქს მე მივმართავ დიდ ძვრათა დროში:
„იბრძოლე მუდამ ხალხისა და სპარტაკის დროშით.

სონეტის ღირსად აღიარე შენ მხოლოდ გმირი,
ათასწლოვანი შენი ლექსი ჭექდეს მკვეთავი,
როგორც გრაკხების ტრიბუნიდან ხმა გამბედავი!“

იანვარი, 1940.

ასთმა

ასე მგონია, სასტიკი ასთმა
მედგრად იმიტომ გადავიტანე,
რომ რითმის ძებნა ფიქრმა არ დასთმო,
რომ გამოვეჭედე ლექსთა ლითონი.

თვით აგონიის დროსაც და შემდეგ
ვარ პოეზიის მთრთოლვარე მონა.
მე ცოცხალი ვარ და ვიცი დღემდე
სიამისა და ტკივილის წონა.

დღისით და ღამით ხშირი წვალება,
ხუთვა სულისა და გულის მანკი —
ეს არის მხოლოდ საშუალება,
რომ ამეტყველდეს მგზნებარე ჩანგი.

ჩემი არსება შემომედავა
და მაინც ბედის ვარსკვლავი მჯერა,
და გულის სენი მსურს გამბედავად
გადავაქციო ერთ დიდ სიმღერად.

ოინვარი, 1940.

აკაკი ჟუთაისში

ბაგრატის ციხის ნანგრევები შვენოდა ქალაქს,
მაგრამ აკაკი ამშვენებდა მას უფრო მეტად.
იგი თეთრ ხიდზე გამოვლილი გენახათ ნეტა,
როცა უცქერდა გარინდებით მთების იალაღს.

უკვე ჭაღარა — ის აფრქვევდა სიმშვიდეს, ძალას,
ის ქვეყნის წარსულს მყობადისა სთვლიდა იმედად.
დასაკარგავად თვისი ერი ვერ გაიმეტა:
მუდამ ეძებდა ტყვე ნესტანის სამყოფელ ალაგს.

ვითა ღრუბელი შუადღისა, ვიდოდა ნაზი.
წიგნთგამყიდველთან ხშირად იჯდა, როგორც მყინვარი.
და მასთან ჭადრაკს თამაშობდა უტყვი, ბრწყინვალე.

მოწოდებული სახეების დიდ ოპიზარად
წინასწარ გრძნობდა, რომ ახლოა ფოლადის კაცი
და ვით მორბედი, ჯმღეროდა გმირთა-გმირს მარად.

17 მარტი, 1940.

არჩევნებისკენ

დიდ მიღწევების მრავალ მტევნებით
დამშვენდა ჩვენი ცხოვრების ბაღი.
ამოდის, ბრწყინავს მზე არჩევნების,
ისმის მშრომელთა სიმღერა ლაღი.

დიდი კავშირი ერთხმად გუგუნებს,
და ჩვენი ხმების მძლე სიმფონია,
რომელიც ქარგავს ამ საუკუნეს,
მთელ მსოფლიოში გასაგონია.

არ შეჩერდება ეს ხმა ძლიერი,
გადასჭრის საზღვრებს თავისი ფრთებით,
იგი, უსაზღვრო და ბედნიერი,
შორს მებრძოლთათვის იალებს შვებით.

ცა თეთრ ღრუბლებით გადაისერა,
როგორც ვარდების მრავალ კონებით.
ეს არჩევნები არის სიმღერა
გამარჯვებული მილიონების.

დეკემბერი, 1937.

ოგიუსტ როდენი

დიდი კლდის მსგავსად ამართული არის როდენი,
ხხვისი მძერწავი, თვით გამხდარა ის ქანდაკება.
ბედის წინაშე გაბედულად იგი დადგება —
მომავლისაკენ გატყორცნილი დღე რაოდენი.

მაღალ შემოქმედს, ვინც დამწვარი იყო ლოდინით,
ეხალისება ვარსკვლავთ შორის დაბანაკება.
მას შრომის კოშკის ენატრება ახლაც აგება,
რომ გადალახოს სამყაროის სიბოროტენი.

იგი ებრძოდა მარმარილოს დაუღალავად,
კიდევაც ერგო გამარჯვება მტკიცე ფალავანს,
მისი გმირები გაღვიძებულს გვანან პრომეთეს.

და მოზღვავებულ შუალამის ზარს მეთორმეტეს
ქანდაკებათა მოახდინა მან ამბოხება
და მის ნათელით ეს ქვეყანა გაიპოხება.

15-20 ივლისი, 1940.

უშანგი ჩხეიძე

იგი პრინც ჰამლეტს ასრულებდა კეთილშობილად.
მამის აჩრდილთან არ უჭირდა მას ლაპარაკი.
მაგრამ ამ როლის მოთამაშე განა ყოფილა,
მოწყენილობის რომ არ გახდეს იგი ზვარაკი?

ბსოფლიო სევდა აღიარა თავის დობილად,
ყოფნა არ ყოფნის მან წარმოსთქვა ძველი არაკი.
სწრაფ გაიელვა გაგიჟებულ ჩენჩის პროფილით
და კულისების მობინადრე გახდა მარადი.

ნუთუ უშანგი არ გამოვა კიდევ სცენაზე,
ნუთუ თავის ხმას ორფეოსი არ გაგვაგონებს?
თვითეულ ქართველს ეს მღელვარე ფიქრი გვაღონებს.

თავის ოცნების საიდუმლო გადარბენაზე
უშანგი არის დიდ გმირობის გამოძმსახველი
და ჩვენთან მოდის საუკუნის დიდი სახელით

აუარზა. 25 ივლისი, 1940.

ბავშვობა და ნისლები

არ დამიბრუნებს ჩემს უდარდელ ყრმობას არავინ.
ეს ნისლები კი ბავშვობაზე უფრო ტკბილია,
აი გაჩერდა წყაროს თავზე ღრუბელთ კარავი
და აივანი ყვავილებით შემკობილია.

ჩემი ბავშვობა შორეული არის წარსული,
მაგრამ ეს წყარო ძველებურად მაინც ჩხრიალებს!
დიახ, არა ვარ ჯერჯერობით მე გაძარცული,
სანამ ჩემს ახლოს ეს წაბლის ხე დინჯად შრიალებს.

ყველაზე მეტად მოხიბლული მე ვარ ნისლებით.
მადონასავით მევლინება აქ ჩემი დედა.
ვუცქერ ტაშისკარს, აღტაცებულ ლექსით ვიცლები,
წარსულთან ერთად მომავალსაც დაისში ვხედავ.

ქვიშხეთის ნისლებს ყვავილების მოაქვთ სინაზე
და კიდევ რაღაც დიდ სიხარულს ჩვენთვის მალავენ.
აღარ ვოცნებობთ ალმასებით შეკრულ ბინაზე,
სწრაფი ქარები ნაზ ჩურჩულით ჩვენ დაგვღალავენ.

მე არ მაშინებს ეს ჭაღარა, თუ მას და ნისლებს
ერთი ფერი აქვთ და ერთი აქვთ შნო და იერი.
ავადმყოფ გულის დაღლილობა მე კიდევ მიძლებს,
როგორც საათის წინ და უკან სვლა წამიერი.

ჩემი ბავშვობა, ატმისფერი, უფსკრულს ჩაბარდა,
დილის ნისლები მომყვებიან, როგორც შვილები.
ქარმა ჩემს თავზე არა ერთხელ გაინავარდა,
მჩატე ნიავი მომეხვია თავის ხელებით.

სანამ ქვიშხეთის მამხნევებენ მე გორაკები,
ვერ შემაშინებს ვერც ტკივილი, ვერც ხნოვანება
ასე მგონია, მკაცრ ქარიშხალს დავეტაკები,
ჩემს სმენას ოქროს მალაღური ეხმოვანება.

მე ხელმეორედ ბავშვობის გზით არვინ მატარებს,
მაგრამ ნისლები სდარაჯობენ ჩემს დაღლილობას.
ნისლთა მუსიკა ჩემს სიკოცხლეს კვლავ ანეტარებს
და მე ჭაღარას არ განვიცდი, როგორც ჭრილობას.

სურამი, ივლისი, 1940

ერთი სტრიქონი

ძე მინდა ვიყო შემომქმედი ისეთ სტრიქონის,
რომ გამიტაცოს ცის სიღრმეში ელვის სისწრაფით.
ლამაზი სიტყვა ვარსკვლავებმა გამოიგონეს
და პოეზიამ აითვისა თავის მიზრაფით.

და ერთხელ ლექსი მოაქროლებს ისეთ მუდარას.
რომ დაიკვნესებს ოკეანე მთელი სხეულით,
გადიძრობს თავზე შორეული ტალღა სუდარას
და ჩუმად მეტყვის საიდუმლოს ცრემლმორეული

ტროოლასავით მინდა შევხვდე ისეთ განთიადს.
რომ აღტაცებით ვთქვა ლილეო მე გასახარი.
თითქო ღრუბელი ცის მაღალი ბრილიანტია.
მიცდის ტირიფი ისე. როგორც სევდის მაყარი.

კლდე, გადმომდგარი სიმაღლიდან, სფინქსია მძიმე.
საუკუნეთა ნაბიჯებით გადანალახი,
თვითეული ქვის სახეობა ჩვენ გვაძლევს იმედს.
რომ დედამიწა არ ყოფილა მხოლოდ ტალახი.

ზორს ვიხედები, მევლინება მთა მილურსული.
„ვეფხის ტყაოსნის“ შესავალი არის ვარძია,
სადაც აღმოჩნდა არა ერთი დიდი უფსკრული,
სადაც წარსული საოცნებო ქარმა მარწია.

ვეძებ კარგ სტრიქონს მარგალიტის მაძიებელი,
და იმედი მაქვს, რომ სტრიქონი ასეთი ვნახო.
ბესიკის ჩრდილი იყოს მუდამ ჩემი მხლებელი.
რომ უკვდავი თქმის მე გავკვეთო ახალი ახო-

სურიაში. 31 ივლისი. 1940.

წვიმიანი დღე სურამში

თითქოს წაიქცა პატარა სურა
და წვიმა ფარავს მზის ნეტარებას.
ჩვენ ყველა ვუცდით გამოდარებას,
ყურს არ ვათხოვებთ ცრემლიან ზურაბს.

მუდამ სოველი ჟონავს კედელი...
არის ქვებ-შუა ის ჩაქედილი.
კრთის ციხის თავზე ნისლის ემბაზი
ბნელი წარსულის მოგონებაზე.

მოდის ჭონქაძე ცილინდრით თავზე,
უცქერის ცაში ამართულ ლოდებს,
უცქერს ქონგურებს აჩრდილის მსგავსი,
ბრძოლისთვის ციხეს ხელს გაწოდებს.

სურამში სხვაა წვიმის ხმაური,
ეს თითქოს არის ზურაბის ცრემლი.
მაგრამ გამოვა დღე — ბედაური,
მზე ჩაქუჩია და მიწა — გრდემლი.

11 აგვისტო, 1940.

ქაქლის ხეს

მე ხეებს შორის შენ გადიდებ, ო, უჩვეულო,
ეგ შენი ჩრდილი და სურნელი შეუდარები
ყოველთვის მათრობს გამოუთქმელ დიდ ნეტარებით,
რჩეულთა შორის მზის ნადიმზე გამორჩეული.

დედამიწაზე მარგალიტის ცად დაფრქვეულო,
გიყვარს ზაფხული, გამპვირვალე მისი დარები,
ყველაზე მეტად შენ სოფელი გიყვარს ღარიბი,
ცხელ ქვეყნებიდან ჩვენს მხარეში ძმად მოწვეულო.

შენ მძლავრ ფესვებთან წყაროების ტკბილია ცემა.
შენი ნაყოფის რარიგ მიყვარს ფერი და გემო.
თვითონ მზეს ხიბლავს შენი მწვანის ტკბილი სურნელი.

ტყის მეფეს ჰგავხარ და სნებათა ხარ გამკურნელი,
შენი ფოთოლი მირჩევნია ალვის ხის ფოთოლს
და შენი ტანი — მინარეთის სალოცავ გოდოლს.

სურამი, 16 აგვისტო, 1940

_ მიხეილ ლერმონტოვს

დეკაბრისტების შენ განაგრძე გზა ბნელ ღამეში —
ლექსი პუშკინზე ჭეშმარიტი იყო გაცხოველა,
ახალგაზრდობამ აგირჩია შენ წინამძღოლად,
გბაძავდა იგი თავის ამაყ სითამამეში.

თითქოს გიყვარდა შენ უფსკრულის თავზე თამაში
და მეფეებთან მზად იყავი მუღამ საბრძოლად.
შენ მაშუკის ქვეშ მოყიდულმა ტყვიამ ჩაგქოლა
და განისვენე მაღალ მთების ცივ აკლდამაში.

შენს სიმღერებში დღესაც გრგვინავს ძალა ხალხისა
და ხშირად გვატკბობს ჰარმონია მსრბოლავ ტალღისა.
ერთი წუთითაც ბილწ ჯალათებს არ დაემონე.

ვით მეამბოხე, დღესაც გვიყვარს შენი დემონი,
შენს რკინის ლექსებს ჩვენ ვკითხულობთ, როგორც
თქმულებას,
და შენს გმირებში ამირანი ჩვენ გვიგულება.

სურამი, აგვისტო, 1943

სურამის ციხე

დღისით და ღამით ემუქრება სურამის ციხე
მტერს, გადაკარგულს წარსულ დროთა ცივ სამარეში,
თითქოს მოისმის ცხენოსნების ირგვლივ თარეში,
იქ, სადაც არის ამართული ზეცისკენ ლიხი.

ახლაც არსებობს კედელთ შორის ზურაბის ჩიხი,
სადაც იგი დგას — საკუთარი ქვეყნის დარაჯი.
ის ალბათ უსმენს ნორჩ ვარსკვლავებს ცის კამარაში.
როცა მის სმენას ქარიშხალი არ ატკბობს რიხით.

ქონგურების ქვეშ სჩანს ჰამლეტი შავ წიგნით ხელში
ზურაბის აჩრდილს ის ციხის წინ ესაუბრება,
აქვს თავიდანვე დანიის პრინცს ამის უფლება:

კველა ჩაგრულთა, იდუმალთა ის არის ელჩი.
ზურაბს ჰამლეტი კვლავ უკითხავს თავის მონოლოგს,
ხელებს მოხვევს და გაიტაცებს ღრუბლებში ბოლოს.

სურამი, 12 სექტემბერი, 1940

შექსპირი

მოკრძალებული მე ვადიდებ შექსპირს პირველად.
მუდამ მბრძანებლობს მისი ლექსი, როგორც სარდალი.
ვით უძლიერეს მოქანდაკეს, არ ჰყაელს ბადალი:
მან გამოჰკვეთა მეფე ლირი გასაკვირველად.

მოწოდებული ტრაგედიის მაღალ მწირველად,
გრგვინავს, გამოჰყავს ტყვეობიდან თვით სამართალი.
ჰქრის ფანტასტიკა მის მაკბეტში, როგორც აფთარი.
ეოსჩანს საფლავი მთელ სიცოცხლის მკვიდრ საძირკველად.

ჰამლეტის მამის ჩვენც გვდაგავდა ყრუ მოჩვენება.
ყოველი ტალღა ოფელიას გვაგონებს დღემდე.
მაგრამ ვარჩიეთ არდენის ტყის მზე და მშვენება.

ვესწრაფვით შექსპირს — სალხინობელს მრავალთა შემდეგ,
ის ჩვენთვის იყო საუნჯეთა უტყვი განჯინა,
როს მაჩაბელმა ის ხალხისთვის აღმოაჩინა.

12-20 სექტემბერი, 1940.

ნავოის თარგმნის დროს

მე თმას ვივარცხნი, და თმები მცვივა,
ვით ნოემბრის ხეს სცვივა ფოთოლი.
ირგვლივ ქარი ჰქრის, მე მცივა, მცივა,
მეტად შავია ღრუბელთ გოდოლი.

თეთრი ღერები ჩემი თმებისა
ოქროსფერ ფოთლებს საოცრად გვანან.
ჩემი სიცოცხლე გადაეფისა
ამ შემოდგომას — გამხმარს და ტანადს.

მე თმა ჩამომდის აურაცხელი,
მათ შორის არის იანვრის ბარგი.
მზად ვარ გავტეხო ეს სავარცხელი
მზად ვარ გავტეხო ეს ავი სარკე.

და მე მივმართავ სიცოცხლეს: განა
მე აღარა ვარ კვლავ ეშხიანი?
არც ისე ბევრი გყავს ჩემისთანა
ხელგამართული ადამიანი.

ვთარგმნი ნავოის ქართულ შაირით,
ვეტრფი ოცნებით შირინს და ფარხადს
და ცისარტყელა ფერადნაირი
წარმომიდგება შარბათის არხად.

სექტემბერი, 1940.

ფიქრი ლექსებზე

ჩემი ლექსები, გაბნეული, დაუბეჭდავი,
ვის ვუანდერძო, რომ მიხედოს მას უანგაროდ.
ო, მოცქეული ერთადერთი მყავდეს ნეტავი —
ჩემი ლექსების მოამაგე, გულით ანკარა.

ჩემი ლექსები ცხენებივით გაჭრილან ველად...
ვინმემ ხომ უნდა დაიურვოს — სახლში მოდენოს,
ვინღა გამოვა, თვალმაღალი, ძმად და ლამცველად,
რომ წამოიყვანს შინისაკენ ჯოგს ამოდენას.

მე კი ვეწევი ყოველდღიურს სიტყვასთან ბრძოლას,
დავეძებ რითმებს და სახეებს იმედიანი,
რომ ჩემი ლექსი მკითხველამდე მივიდეს ბოლოს,
როგორც ჩამჭრალი ვარსკვლავისა სხივი გვიანი.

სურამი, სექტემბერი, 1940.

ᲨᲣᲗᲐᲡ

ძვირფას ბეჭდების სურნელება, ალბათ, გსმენია,
რომ თამარის წინ მოიყარე ლოცვით მუხლები.
ეეფხის პოემა შესთავაზე მას ხელუხლები
და გვირგვინოსან წამწამების ცქერა — შენია.

ნარდი ოცნება გრძელ რიდესაც გადასწვდენია,
რათა გეხილა სილამაზის ტალღა უკლები.
შორეულ დროსთან და მყობადთან შენაუღლები
თითათასჯერ გზას გვინათებს შენი გენია.

ძველ გადამწერლებს გვაგონებენ, სულმნათო, ახლა
შენი მთარგმნელნი და მათ შორის ერთი ჭაბუკი,
ასე უდროოდ სიკვდილისგან გადანაბუგი.

პეტრენკო შენით აგზნებული, სრბოლავდა მაღლა,
ავთანდილის და ორფეოსის მსგავსად მღეროდა,
შენს ბრწყინვალების და შენს ძალას ვით შეჰფეროდა.

1940.

საშა ფულუკიძე

მეკარდენს ჰგავდი, დახვეწილი, მკრთალი პროფილით
გარდასული დრო ვერ გხიბლავდა თავის ქამანჩით.
ეჰგმე წინაპართ ნადიმები, ცეკვა-ოთამში
და ხალხს შეესწირე შენი მოკლე წუთისოფელი.

მუშის ლაშქრობა გაიჩალე, მტვრთა მპყრობელი.
მოუწოდებდი ჯანყისაკენ გლეხს ქალამანში.
გძულდა სიცოცხლე, ჩაპედილი ყველგან სამანში.
ყობასთან ერთად დიდი ხანძრის იყავ მსმობელი.

ბეტეხსაც ახსოვს შენი სახე, ი, რა იცოდი,
ასე უდროოდ ახალგაზრდა რომ დაიწვოდი.
შენს დაუვიწყარ, ქარიშხლიან გასვენებაზე

მრავალი სიტყვა გაისმოდა მრავალ ენაზე.
ჰექდა და ქუხდა გამარჯვება მებრძოლთა ხმაში.
და შენი კუბოც გადაიქცა ტრიბუნად მაშინ.

1940.

წარწერა ანთოლოგიის წიგნზე

ანთოლოგია თავიდანვე რად მხიბლავს ასე?
იქნებ იმიტომ, რომ მაგონებს ის სასაფლაოს,
სადაც ვკითხულობ წარწერების გულსაკლავ ქაოსს,
თარიღებით და მწველ ცრემლებით თვითეულ ქვაზე.

ამა წიგნისა დაუვიწყარ მშვენიერ ხმაზე,
ვით ორფეოსი, ევრედიკას, — თავის ყოლაოზს, —
მივყვები ხსოვნის გაფითრებულ ნაზ საქანაოს,
ელიზიუმის რომ აღმოვჩნდე ბინდიან ცაზე.

ანთოლოგია პანოპტიკუმს სჯობია მაინც:
თითქოს ჯავშნიან მეომართა ჰქრის ასპარეზი,
ჩვენ მასში ვხედავთ ოლიმპიურ სრბოლათა რაინდს,

რომ იტაცებდა გამარჯვებას თავის მხარეზე.
ანთოლოგია უკვდავების არის თავდები
ოქროს ვერძის და ოქროს სიტყვის არგონავტებით.

1940.

ლადო კეცხოველი

შენ არ გხიბლავდა საოცნებო ღრუბლების ქულა,
გიყვარდა მხოლოდ რომანტიულ პოეტის რაში.
ხალხის იარებს განიცდიდი საკუთარ წყლულად,
გაფიცვის რუქას შენ ხაზავდი ქარხნების სვლაში.

მტერზე მეტეხშიც იერიში მიგქონდა გულადს.
ვაქკაცის თვალი გაუსწორე შენ თოფის ლულას,
ვაქკაცის თვალი გაუსწორე შენ თოფის ლულას.
თითქოს იწვევდი ბოროტებას სასტიკ ბრძოლაში.

გავარდა თოფი. დაიღვარა სისხლი სპეტაკი.
უკანასკნელად ციხის კედელს შენ დაეტაკე,
ცვალდაცვალ მოგყვენ საბრძოლველად ჭაბუკნი შემდეგ.

თავგანწირულო შევარდენო, გვახსოვხარ დღემდე,
ჩვენი ქვეყანა, ვით ღირსეულ გმირს, მოგიგონებს,
და შენ გიძღვნიან პოეტები ლექსთა სტრიქონებს.

ოქტომბერი, 1933.

1941 წლის 1 იანვარი

ძაჰაბლის ლექსით ვესალმებით ახალწელიწადს
ისმოდეს ლექსი მოელვარე და შექსპირული.
თუმცა არავის ვემუქრებით ჩვენ დასალეწად.
დიდ ძალას იტევს ეს ქვეყანა ჩვენი გმირული.

სხვას არაფერს გთხოვ, ჯერ უცნობი ახალო წელო,
მომეცი ჯანი, მასთან ერთად სიტყვა ფრთოსანი.
რომ მე ბოლომდე გავიტანო შაირის ლელო.
რომ სიკვდილამდე ჭეშმარიტი ვიყო მგოსანი.

ახალი წელი მტკვრის ნაპირებს მოჰყვება ჩუმად,
იგი სტამბებში ამოძრავებს მბეჭდავ მანქანებს.
თორმეტ საათზე მოვარდება იგი სამუმად
და მთელ სამყაროს, ვით პლანეტას, წინ გააქანებს

მე ველოდები ახალ წუთებს, ვით მეტეორებს,
მუდამ თან მახლავს განუყრელად ფარული რწმენა.
რომ შთაგონება თვის სასწაულს გაიმეორებს
და მიეცემა უტყვ საგნებსაც უკვდავი ენა.

ახალწელიწადს, ვით ნაძვის ხეს, მე ველოდები,
და თოვლის პაპა ჯერ არ ნახულს მომიტანს ნობათს,
ირგვლივ ჩრდილები შეიმოსნენ მრავალ წოდებით,
სრული იმედით მე ვუცქერი ცასა და მყობადს!

ძველი წიგნიდან

1916 - 1920

Intermezzo — პირველი

ხარიტონ ვარდოშვილს

ავანთებ სანთელს ვრუბელის წინ მოთენთილ ხელით,
გადავშლი ბოდლერს, გადვიკითხავ მის „მარტოობას“.
მეტყვიან ლანდნი, უცხო ლანდნი: „ისევ მოგელით,
შემოგვიერთდი, ახლობელო, გიცხადებთ ძმობას.

ჩვენ შეგვიყვარდა შენი სახე, ჩვენსავით მკრთალი,
შენი ოცნება უიმედო, გრძნობა სნეული,
ნუ შეგაშინებს ღამისფერი ჩვენი შრიალი,
ჩვენი ალერსი, ჩვენი კრთომა, ხმა შორეული.

დღეს გესალმება წყვდიადიდან შენ ჩვენი გუნდი.
გემუდარებით, რომ იწამო ჩვენი ზღაპარი.
ჩააქრე ცეცხლი, სამშობლოში ისევ დაბრუნდი,
გესმის, როგორ ჰქრის სასიკვდილო მარადი ქარი.

გაბედე მხოლოდ, უარყავი ეს ყოფნა ძნელი,
სინათლე მზისა და დღეების განმეორება,
და შენ მიხვდები, თუ რა არის მთვარის სურნელი
და შენ გაიგებ, თუ რა არის ლანდის ცხოვრება!“

ავახელ თვალებს და გაჰქრება ლანდთა ღრუბელი.
ჩემს წინ ბოდლერი გადაშლილი, ვით სახარება,
გიჟურ თვალებით შემომხედავს ჩემი ვრუბელი,
სინამდვილეში დაბრუნება დამეზარება.

1916.

ოცნება წვიმაში

მისი ფეხის ხმა მაგონდება მე წვიმის ხმაზე,
ძის კაბის შრიალს მე მაგონებს ფოთოლთ შრიალი.
შენ, სულო ჩემო, დაღლილო და მოხეტიალე,
ჩუმად გიმღერის დამკოდველი მისი სინაზე!

ცნახე თეატრში, წამწამების გამოფენაზე.
ის წუთი მახსოვს... მეოცნებე გულით ვიალე...
გავიდა ჟამი, დამავიწყდა ჩემი ტრფიალი,
და ისევ აღსდგა ამ წვიმაში ის სილამაზე.

ეკავილთ სურნელში მე ვიცანი ის სურნელება,
რომლითაც სატრფომ გააგიჟა ჩემი ოცნება,
საყვარელ სახედ მეჩვენება მე ეს ჰაერი - -

გაფითრებული, სევდიანი და სხვანაირი.
მის სილამაზეს მე მიგალობს დღეს წვიმის წვეთი,
და ამ წვიმაში მელანდება თვით უკუნეთი.

1916

საღამოს მასკები

.ალამო, როგორც ოფელია, ჩაიძირება
ღამის მორევში და ნელიწელ დამტოვებს მარტო.
ჩემი ოცნება ისევ ღამეს შეეწირება
და საღამოზე, ვით ჰამლეტმა, უნდა ვიდარდო.

ჩემს ოცნებაში ასვენია ბევრი საღამო
და ჩემი სული დაუტვირთავთ თავის ნისლებით.
როგორც დაკოდილ ნიამორთა გუნდი საამო,
კრთიან და აღარ მაშინებენ გამოფხიზლებით.

საღამოებო! დამატყვევა თქვენმა სიმკრთალემ,
სპეტაკ ნიავმა მომიტანა აჩრდილთ ჭორები:
დღესასწაული ორეულთა იქნება მალე
და ოფელიას თქვენს უფსკრულში ვეამბორები.

შუადღის ფერყლზე ანარგისდა საღამო ნორჩი,
მარმარილოებს დაუკოცნა თვალები ბაღში,
შემდეგ დაღლილი, დამსხვრეული, სუსტი, მორჩილი
შემოდის ჩემთან და ჯადოსნობს მაღალ ოთახში.

ლურჯი საღამო აქანდაკდა ნაზ საღრჩობელად...
დავეკიდები და თანდათან გამგუდავს ღამე.
ვლავ ოფელიას დავისახავ სათუთ დობილად:
უარს ნუ მეტყვი, საყვარელო, ჩემთან ეწამე.

1916

ხელის ოდეული

მე შევიყვარე ხელთათმანი, ქარში ნახული.
მე უცხო ქალწულს ვეოცნებე, ვეტურფე ხშირად.
და მისი სული წვრილ თითებში გამოსახული,
და მისი ცქერა მელანდება სულ სხვანაირად.

ჩავდე ვაზაში ხელთათმანი, როგორც ნარგისი,
და დაღლილ თითებს დღე და ღამე მე ვუკვირდები,
ჩემთვის სხვა ხელი ამაოა და უვარგისი,
მე ერთგულებას სამარადოს თითებს ვპირდები.

და სურნელოვან თეთრ სარკეში მომელანდება
უცხო ქალწული, უნახავი, ნაცნობი მაინც.
როცა საღამო უიმედოდ, ზანტად მწვანდება,
ასე მგონია, იგი მეტრფის მე, როგორც რაინდს.

როცა მე სევდის მესტუმრება მწვანე ქორები,
როცა მრისხანედ მე უარვყოფ შვენებას წარსულს,
ხელოვნურ თითებს ისევ ნაზად ვეამბორები
და მათზე თვალებს დავასვენებ, თვალებს გაძარცულს.

მოდის ღამეში თეთრი ქალი ავადმყოფ ხელით,
და მეეედრება, რომ ჩავაცვა მას ხელთათმანი...
ღამის მელანში გათენებას ერთად მოველით.
სტკივა თითები და ლანდურად ერხევა ტანი.

როიალთან

ძომელანდება თეთრ სარკეში მე როიალი
და კლავიშებზე ხელთათმანი, თეთრი, ნაცვამი.
ულხილავ ხმების — წამწამების ნაზი შრიალი,
ამ ზმანებაში უჩვეულო სპეტაკი წამი.

ნუთუ არ მოვა ოფელია თეთრ როიალთან,
იმ კლავიშებზე ხელთათმანი ნუთუ დარჩება?
ის ლურჯი კალთა
ვარსკვლავებით დაიფარჩება.

ბევრი ჰამლეტი უდარაჯებს ხელთათმანს ღამით
და მხოლოდ ჩემთვის გამოივლის თეთრი ასული.
მჯერა: ჩაიცვამს მჭკნარ ხელთათმანს მეტ სითამამით
და შემომხედავს მშვენიერი და ფერწასული.

ღამის ფოთლები

ეს უცხო ღამე, ვით შავი ძაღლი,
დაეძებს, ყნოსავს უხილავ ვარდებს.
სანამ ვარსკვლავობს ზეცის სიმაღლე,
ეკვავილებს შორის ის ინავარდებს.

ადუმალ ცაზე მთვარე უძრავი--
ბნელი ღრუბლების კრთომით ნალესი.
როგორც ფეშხუმზე ნაკვეთი თავი
ნათლისმცემელის იოანესი.

ეკარ მარტოობის ჯვარზე გაკრული.
მხოლოდ ღამეა ჩემი ტაძარი.
და შავ წყვდიადში, ყველასგან ეკრული.
ვიდივარ, როგორც ელეაზარი!

1916

AGONIE

ო, რა ხ'მირია ანტრაქტები და რა ხანგრძლივი!
ვერ მოვესწრები ფარდის ახსნას, ასე მგონია.
უბაირალო მარტოობას მე აღარ ვჩივი.
მაგრამ თავდება მოლოდინის ყრუ აგონია.

დაკტოვებ პარტერს და გადავალ სცენაზე. – – კმარა!
მე თვით სიკვდილთან ვითამაშებ ამ მოქმედებას.
მე საიქიოს კულისებ'ში გადავალ ჩქარა.
ქინიან ფარდას სასურველი ცეცხლი ედებ..

ძაღლის სიმღერა

ბნელ შუაღამით დატვირთული წუთი გვიანი.
დავეძებ რითმას ჩემს ხსოვნაში თვით სიკვდილისთვის.
მესმის სიმღერა და ვკანკალებ — არ ვიცი რისთვის.
მესმის სიმღერა უვარსკვლავო და წვიმიანი.

ეს არის ძაღლი, ეს არ არის ადამიანი.
ჩემ სულს და ღამეს მიუნდვიათ ქვითინი მისთვის.
შეირხა წუთი დანიშნული ფერმკრთალ ძილისთვის —
უცხო სიმღერის დამეწვეთა ხმა შხამიანი.

ძაღლი იტანჯვის მარტოობით და შავი ღამით,
მას ჩემი გული ესალმება მწარე სალამით.
ძაღლი ადუმებს თავის კვნესას და ისევ იწყებს...

ო, ამ სიმღერას ჩემი სმენა ვერ დაივიწყებს.
ღამის წყვდიადში ვიღუპებით, ვქრებით ჩვენ ორი
და უკვდავ ყორნის მაგონდება მე „Nevermor"-ი.

თეატრში

როგორც პეპელა მომაკვდავი, დაეშვა ფარდა...
ბნელი ლოქები და პარტერი ისევ გაბრწყინდა.
საამო ხმობა ჩემს გარშემო კვლავ გაიზარდა.
მე იმას ვხედავ და ნეტარობს სურვილი წმინდა.

და ვით ნერონი, რომს ანთებულს ამაყად სცქერდა,
ისე მიცქერის — მედიდური, ბოროტი, ნაზი!
მასთან შეხვედრით ჩემი გრძნობა გაალისფერდა,
სპილოს ძვლის კოშკად გადაიქცა თეთრი დარბაზი.

ტკბილად მაწამებს სირინოზი თვალები მისი.
მარაო ჭრელი, მოქარგული წვიმისფერ ხელით
ქვავილობს, როგორც გაზაფხულის ნორჩი დაისი.

და ისევ სცენა... დაიჩრდილა სატრფო სიბნელით...
ბუმად კანკალებს მკრთალ სახეზე ქალწული ღიმი,
და ახლა არის შავფრთიანი ის სერაბიმი.

შემოდგომის ქანდაკება

ის იდგა ბაღში, იდგა მარტო, მივიწყებული.
მას შადრევანი ტანწერწეტა არ უგალობდა.
მხოლოდ დღე და ღამ მოცეკვავე ფოთოლთ კრებული,
ვით ოქროს თოვლი, მარმარილოს ტანზე ალობდა.

თეთრი თვალებით ის უცქერდა ცაში ვარსკვლავებს.
სტიროდა ნაზად, შემოსილი ღამის ტრაურით.
უხილავ სატრფოს უიმედოდ აწვდიდა მკლავებს,
და ვერ ჰხიბლავდა აცრემლებულ ქათინაურით.

ქარს თითქოს სურდა ფოთლებიდან კოშკის აგება...
ათრთოლდა ისევ შემოდგომის ყრუ ქანდაკება:
მოდით წვიმებო! ცივ ამბორით მომეალერსეთ.

თაყვანისმცემელს ჩემისთანას ვერ ნახავთ ვერსად!
მოდი ზამთარო, დამაყარე მკრთალი იები,
და შენს თეთრ სიკვდილს მაზიარე შენაციები!

სანტიმენტალური ტრიოლეტი

ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბეღურა.
ვით შემოდგომის ღამეებში თეთრი ვერსალი.
მენს სილამაზეს ჩემი ტრფობა ესაფეხურა.
ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბეღურა.
მე განშორების ცივი თოვლი დიდხანს მეხურა.
ვტიროდი ხარბად — მარტოობით ნაალერსალი.
ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბეღურა,
ვით შემოდგომის ღამეებში თეთრი ვერსალი.

ქალწულს მტრედისფერში

ცა დაიცვარა ვარსკვლავებით. ჩვენება შორი
მიახლოვდება და ატოკებს გულს ტრფობის ქარი.
ღელავს გარშემო ულმობელად ქალაქი ჩქარი,
მაგრამ ვოცნებობთ ამ ქაოსში მხოლოდ ჩვენ ორი.

ხარ იდუმალი და კეკლუცი, ვით ნიამორი.
შენი სინაზის დამათოვე თოვლი ნარნარი.
იყავ სპეტაკი, როგორც გედი, იყავი წყნარი
და ჩემ ოცნების შეიწირე წმინდა ამბორი!

მე ვემონები შენს ფეხის ხმას და შენს წამწამებს,
შენს უცნობ სახელს ვემონები სამარადისოდ!
გთხოვ: გაუღიმე ერთი წუთით ჩემს ტანჯულ წამებს,

და გაიშალე ჩემს ფიქრებში სპეტაკ ნარგიზად.
უცხო ღიმილით მომეევლინე, ვით ჯიოკონდა,
მწარე ლოდინით მოდარაჯე გული დაღონდა!

მე — სარკეში

ვინ არის სარკის უფსკრულიდან რომ მევლინება,
ვისი თვალები ემუქრება ჩემს ფერმკრთალ თვალებს.
ნუთუ მიცქერის საკუთარი ჩემი ჩვენება.
ნუთუ ჩემს გულში მისტიური შიში იალებს?

მისი ღიმილი ჩემში ბნელად გაიშრიალებს.
უშიშარი დღის დაიკარგა ცხადი ხსენება.
თეთრი ოცნება გადარჩენის თოვლივით დნება,
დამწვარ სხეულის ჩემს გარშემო სუნი ტრიალებს.

ასე სასტიკად რად მიცქერი, მწუხარე ლანდო,
ჩემი წამება ულმობელი შენ ვინ მოგანდო?
ვინ გაგიმთავრა აგზნებული ტანჯული სახე,

სარკის მორევში ათრთოლებით რომ დავინახე?
გადიდდა სარკე — ზვირთებიან ზღვად გარდაქმნილი
და მის ტალღებში იძირება ჩემი აჩრდილი.

პირველი თოვლი

პირველი თოვლი მე მაგონებს პირველ სიყვარულს
და პირველ ღამეს,
როცა მე ხარბად დავეწაფე მშვენებას ქალურს,
ახალ სიამეს.
ციდან დაჰკიდა რეჟისორმა ფარდა უსწორო,
ფარდა მთოველი
და ამ ქვეყანას დაგვაშორა მხოლოდ ჩვენ ორი.
სდუმდა ყოველი.
განმარტოებით ხმაურობდა სადღაც სარაჯი,
შრიალი ქსელთა.
და იდგა თოვლი — საპატიო თეთრი დარაჯი
ჩვენს სარეცელთან.
მაგრამ შეირხა თოვლიანი ფარდა მრავალი —
ცა იმედების.
მოვიდა ქარი და გაიმართა სხვა კარნავალი
თეთრი გედების.
სარეცელიდან დავინახეთ მთელი თეატრი,
ჩვენთან მოსული.
ყველა გმირები გვილოცავდენ და ბეატრიჩე
ბროლით მოცული;
იყო ნირვანა და გრიგალის ხმა დაკორძილი
წვით და წვალებით.
პირველმა თოვლმა გადიხადა ჩვენი ქორწილი
მეტ ბრწყინვალებით.

ო, რა რიგ არის სანეტარო თოვლი პირველი,
პირველი თოვლი!
ნათელ ბავშვობის სიყვარულის გასაკვირველი
პირველი თოვლი!
პირველი თოვლი მე მაგონებს პირველ სიყვარულს
და პირველ ღამეს,
როცა მე ხარბად დავეწაფე მშვენებას ქალურს,
ახალ სიამეს.

ოფელიას დღესასწაული

ვერიკო ანჯაფარიძეს

მხოლოდ ერთი დღე წელიწადში ვიუქმო მინდა —
ოფელიას დღე — საოცნებო როგორც მირაჟი.
შემოდგომაზე გაფითრდება ჰაერი წმინდა.
მზეთუნახავი გამოჩნდება ცის დაირაში.

წვიმის ასული — სევდიანი და უწყინარი
ავდარის წვეთებს ჩამოჰყვება, ვით ანგელოსი,
ამას მიიღებს აღტაცებით ლურჯი მდინარე.
დაიცრემლება ჟანგიანი სახე მდელოსი.

ეს დღე იუქმეთ ჩემთან ერთად, — თქვენ პოეტებო!
პრინცის საცოლოს გაგიუებულს ეცით თაყვანი.
განმეორებულ იორდანეს ბრბო მოედება:
იქნება ქალი ტალღებიდან ამოსაყვანი.

ნაფტალინის დედოფალი

გარდერობიდან იგი გამოდის.
როგორც მარაოს, აისვრის ხელებს.
მას უყვარს უჯრა ჩემი კამოდის
და შიგ დაეძებს ზამთრის ჩურჩხელებს.
ის ჩემს ბინაში დადის უაზროდ,
თავის ყოფნაში მან დამაჯერა.
მაგრამ დამალვა კიდევ მოასწრო,
როს დაეპირე მისი დაჭერა.
ჩემი ოთახის მას ბინდი უყვარს.
სხვაგან ჩემსავით არ მოელიან...
უკანასკნელად მე აღარ ვწუხვარ,
რომ ჩემი ბინა ასე ბნელია!
მკვდარ დედოფლების კაბებს ატარებს.
უხდება მთვარის პირსაბურავი.
მაგრამ მადონას ნუ შეადარებს
მას ათრთოლებულ რწმენით ნურავინ.
ის ცბიერია, თუ ჩავიკეტე,
მაინც მეწვევა მაღალ სურნელით.
ის ჩემს ყელსახვევს ხშირად იკეთებს
და არის ქურდი განუკურნელი.
ის მევედრება, როგორც მთხოველი.
„ო, ნაფტალინის მეუფე გახდი,
„და ყალბი თოვლით მოოქროვილი
„გაიზიარე შენ ჩემი ტახტი“.

შემოდგომა

მე მინდა გითხრა, ო, შემოდგომა,
რომ მიყვარს შენი ყვითელი სახე,
რომ ნაზ ფოთლების ცვენა და კრთომა
ყველაზე ადრე მე დავინახე.
შენ ძველი ციხის ჰგავხარ ნანგრევებს,
შენს ხეივნებში ვოცნებობ ხშირად.
მხოლოდ მე მაძლევ იდუმალ რჩევებს,
როცა იფრქვევა ღამე ნახშირად.
ამეფებ სულში მკრთალ მოგონებას
და სინანულის ცრემლი მატირებს.
მე დაუკარგავს ვგლოვობ ქონებას,
ვექვითინები სევდის შათირებს.
მეც განვიცადე ავი კანკალი
დასნეულებულ დამპალ მთვარიდან.
ჩემთან არ გინდა შენ მაშანკალი —
ფიქრებმა თვალი ვერ აგარიდონ.
გული ფართხალობს, როგორც ფოთოლი,
ზაფხულის დილა არ გათენდება
და ქარვისფერი შენი გოდოლი,
არ ვიცი რატომ, ვისთვის შენდება.
აუცილებელ საშიშ მუქარად
მომელანდება ვიწრო საყელო.
მე შენს ბაღებში დავდივარ მარად,
რომ შენი ფარჩა კვლავ ვასახელო.

მე ხმას ვაყოლებ შენს ღამურ კვნესას,
ისე, ვით ძაღლი, მოცული ბრაზით.
და მუდამ გეტრფი, როგორც პრინცესას,
მეტი წვალებით, მეტი სინაზით.
შენი წვიმების ტკბილია წვეთი,
უცნაურ თვალებს ქვეყანას ავლებ.
შენ ხარ ყვითელი, ვით საგიჟეთი,
და მთვარეულებს ისევ ამრავლებ.

თეთრი საცოლო

საფირონებს ატარებს
ჩემი თეთრი საცოლო.
ალტაცებით მადარებს
ამაყ კონკვისტადორებს,
ტრფობა რომ დავაცალო.

ნაზი, როგორც მარაო,
ნაზი, როგორც პეპელა,
ხშირად ამბობს — არაო,
ნეტა მანეტარაო
თეთრად და უვნებელად.

ნორჩ ქალბატონს სწყურია
ჩემთან გასეირნება.
ვით მამიას გურია,
იგი უცნაურია —
დავდივართ ჯეირნებად.

ჰყავს კოლიბრი, ფინია,
თუთიყუში ხნიერი:
ფრინველს დაუჟინია,
რომ მე მიყვარს კინია —
ვილაცა მშვენიერი.

სატრფო არ ჩამიკონებს,
მაგრამ ცეცხლი მედება,
ჩემი ლექსის სტრიქონებს,

იგი ახლა იგონებს,
და მეც მეიმედება.

კანკალებენ ჩადრებად
შეღამების ფერები;
მისთვის კოცნის კადრება,
და ჩვენც მოგვენატრება
თეთრი ჯვარისწერები.

ალი არსენიშვილს

ნუთუ ჭაბუკი ვერასოდეს ველარ ვიქნებით,
ახალგაზრდობა მშვენიერი ნუთუ გათავდა?
იყო მოსკოვი, სტუდენტობა, ლუდი, წიგნები.
ჩვენ, ორ ანგელოზს, პოეზია მხრებზე გვათოვდა.

ძვირფასო ალი! შენ უთუოდ გემახსოვრება,
ზამთრის ქუჩებში ხეტიალი, ვიწრო ბინები.
ვებრძოდით ყინვას, მარტოობას, უცნობ ცხოვრებას,
მაგრამ ვიყავით შთაგონებით ნაგვირგვინები.

რა დამავიწყებს შენს პატარა ოთახს პრესნაზე,
იქ ტკბილი იყო უძილობა და ჩაი პურით,
როცა ჩვენ ერთად ვქანაობდით ლექსების ზღვაზე!

ნუთუ წარსული დავიწყებამ დაჰფარა მურით?
არა, ჩვენ გვახსოვს ყველაფერი! თოვლში კოცნები,
პუშკინის ძეგლი, ნეჟდანოვას ხმა ნაოცნები!

თავებიანები

ა. ს. პუშკინი

ჩაადაევს

ტრფობა, დიდება, ნორჩი იმედი
ჩვენ გვიტაცებდა, როგორც ზმანება.
და სიჭაბუკის ამაყი ბედი
გაჰქრა, ვით დილის ნისლოვანება.
ჯერ კიდევ ფეთქავს გულში სურვილი.
საბედისწერო ღამის წყვდიადით,
როგორც სუდარით, ვართ დაბურვილი —
მაგრამ იქნება სხვა განთიადი.
ძველი იმედის ყრუ დაპირებით
შეხვედრის წუთებს ხარბად მოველით.
სანამ წმინდაა სული ცხოველი —
ძვირფას სამშობლოს შევეწირებით.
ო, მეგობარო! იგი იალებს
თავისუფლების მზე უნახველი,
ძველი რუსეთი გაახელს თვალებს —
თვითმპყრობელობის შავ ნანგრევებზე
აღიბეჭდება ჩვენი სახელი.

1918.

არიოზნი

ბევრი ვიყავით ჩვენ მძიმე ნავზე;
ზოგი სეიმავდა ფრთააშლილ აფრას,
და კიდევ ზოგი, ძალღონით სავსე,
წყალზე უსვამდა ნიჩაბს თანაბრად.
საჭესთან იჯდა წამყვანი ჩვენი,
იგი მართავდა ნავს — გონიერი.
ძე კი ვუმღერდი მცურავებს რწმენით.
სწრაფ ამოვარდა ქარი ძლიერი,
ააბობოქრა ტალღა ხმიერი.
მცურავს, მესაჭეს ერგო სიკვდილი,
მე — მომღერალი ღონემიხდილი —
ბღვამ გამომაგდო ნაპირზე ობლად,
იმავ სიმღერებს კვლავ გავიძახი
და სოველ სამოსს, ანთებულ საზით,
ძე ვაშრობ მზეზე ტინის მახლობლად.

1827

პორტრეტი

მთელი აგზნებით და მღელვარებით
ქარიშხლიანი მდომი ბედისა,
ხანდახან მოსჩანს ის ელვარებით
თქვენ შორის, ქალნო ჩრდილოეთისა!

ის ჩვეულ წესებს არ გაეტოლა.
მიექანება უცხო მხარეში,
ვით უკანონო კომეტის სრბოლა
მწყობრად განზომილ მნათობთა წრეში.

1828.

მშვენიერ ქალს

ვით ჰარმონია, ის არის ქმნილი,
ამ ქვეყნისა და ვნების გარეშე.
იგი ნებივრობს კდემამოსილი
თავის მშვენების სათუთ არეში.
ის იცქირება მედიდურ სრბოლით;
არ ჰყავს მეტოქე, არა ჰყავს ტოლი.
და ჩვენს კეკლუცთა მკრთალი შეკრება
მის ელვარების სხივებში ქრება.
სადაც არ უნდა მიიჩქაროდე,
თუნდ სიყვარულის ტკბილ პაემანზე,
როგორიც გულში არ უნდა გქონდეს
იდუმალი რამ ოცნება ნაზი,
მაგრამ შეხვდები, ვით მზის ნათებას,
იმას, და უცბად შენ შეჩერდები,
რომ თაყვანი სცე ლოცვის ვედრებით
მშვენიერების წმინდა ხატებას.

1832.

სიმღერა გრძნეულ ოლეგზე

ახლა ოლეგი ემზადება ლაშქრობისათვის,
    რომ გადუხადოს უგნურ ხაზარებს.
მათი სოფლები და ყანები თავდასხმისათვის
    უნდა შესწიროს ხმლებს და ხანძარებს.
მჯდარი ტაიჭზე მობრძანდება თავადი ჯარით,
    დამშვენებული ცარეგრადის მძიმე აბჯარით.

დაბურულ ტყიდან გამოვიდა მძლე ჯადოსანი;
    მომავალ წლების იცის მხილება.
არის აღვსილი შთაგონებით ჭაღაროსანი
და მხოლოდ პერუნს ემორჩილება.
მან მისნობაში გაატარა თავისი დღენი,
და მის წინაშე შეაჩერა თავადმა ცხენი.

— დიდო მისანო! შენ ღმერთების ქურუმი გქვიან.
    სთქვი, რას მიქადის ბედი მფლობელი?
გასახარებლად მტრებისათვის — ადრე თუ გვიან
    დამფარავს მიწა დაუნდობელი?
ნუ გეშინია, და მითხარი სიმართლე ნაღდი,
    ცხენი საჩუქრად აირჩიე თავისი რახტით.

— ჩვენ ძლევამოსილ მეფეების არ ვართ მონები,
    და საჩუქარი მათი არ გვინდა,
სიტყვას ჭეშმარიტს ვლაპარაკობთ ზეშთაგონებით,
    და ჩვენთან არის განგება წმინდა.
დაფარულია მომავალი შავბნელი ღრუბლით,
მაგრამ შენს იღბალს მიკარნახებს შენივე შუბლი.

დაიმახსოვრე ჩემი სიტყვა მოურიდები:
მუდამ იმარჯვებ, ვით მეომარი,
შენი სახელი შემოსილი არის დიდებით,
ცარგრადის ბჭეზე დაჭიდე ფარი.
ზღვა და ხმელეთი დაიურვე შენ ბრწყინვალებით,
მტერი გიცქერის სისხლიანი შურის თვალებით.

თავის ტალღებით არ გღალატობს ზღვა კადნიერი,
როცა იმსხვრევა ზეცა მეხებად;
მკვეთრი შურდული და ხანჯალი მუდამ ცბიერი
შენ არასოდეს არ შეგეხება.
შენ, ჯავშნიანი, იარებით არ ითანგები,
თითქოს გინახავს უხილავი ძალა განგებით.

ვერ შეაჩერებს შენს გაფრენილ მერანს ვერავინ;
თუ დააკავებს შენი ბრძანება,
ვერ შეაჩერებს მას ისარი მკერდგამსერავი,
და ბრძოლის ველზე მიექანება.
მისთვის ერთია ნიავი და ბრძოლის ხმაური,
მაგრამ დაგღუპავს სამუდამოდ ეს ბედაური.

ოლეგის სახე დაიჩრდილა თითქოს სიბნელით,
რა გამოიყვანს გულს ამ გლოვიდან?
დადუმებული ის დაეყრდნო უნაგირს ხელით —
ცხენიდან დაბლა ის გადმოვიდა.
უკანასკნელად ეთხოვება თავის ამხანაგს,
მისი მერანი ველარ ნახავს სამხედრო ბანაკს!

— ჩემო ფეხმარდო მეგობარო, მებრძოლო ჩემებრ,
დღეს განშორების დაგვიდგა ჟამი,
შენს ოქროს უზანგს ვერასოდეს ველარ ვიგემებ,
ო, დაისვენე ახლა სიამით!
აწ კი მშვიდობით და გახსოვდეს პატრონი შენი,
თქვენ, ჰაბუკებო, წაიყვანეთ ერთგული ცხენი.

იგი ხალიჩით დაამშვენეთ და ბეწვეულით,
ის აბალახეთ მინდვრებში მარად.
დაბანეთ ხშირად, მიაწოდეთ ქერი რჩეული
და წყაროს წყალი ასვით ანკარა.
სწრაფ ჭაბუკებმა წაიყვანეს ცხენი ვერანი,
და სხვა მიჰგვარეს იმ წუთშივე თავადს მერანი.

ნადიმობს რაზმით ფალავანი და მოწინავე,
ხმაურობს ჭიქა — ხალისით სავსე.
დილის თოვლივით მათი თმები ახლა ბრწყინავენ
იქ, სახელოვან გორაკის თავზე.
ისინი წარსულს იგონებენ დღეს ათრთოლებით
და ამაყობენ გარდახდილი ბევლი ბრძოლებით.

— სად არის ჩემი ამხანაგი, — ამბობს თავადი, —
სად არის ცხენი — ცეცხლის მფრქვეველი?
ხომ არ დადუმდა ფრთაშესხმული მისი ნავარდი.
დიდ სივრცეებზე დაუტეველი?
ისმის პასუხი: — ერთ მაღლობზე ახლა ის არი,
და მარად ძილით განისვენებს გაუღვიძარი.

უძლეველ ოლეგს სევდიანი შეიპყრობს გრძნობა,
და იგი ფიქრობს მწველ დანანებით:
„გიჟო ბებერო! არ გაგიგია შენი მისნობა,
გამოწვეული ყალბი ზმანებით.
ცხენი აქამდე იქნებოდა ჩემი თანმხლები“.
და თავადს უნდა ინახულოს მეგობრის ძვლები.

აი, ოლეგი გამობრძანდა დიდ სასახლიდან,
მასთან იგორი, სტუმართ კრებული.
იქ, სადაც ბორცვი ისედება დნეპრში მაღლიდან,
აწყვია ძვლები გაყვითლებული.
მათ წვიმა რეცხავს და ჩურჩულით ეკვრის ბალახი,
მათ ფარავს ქვიშა და უცქერის ცის იალაღი.

მეგობრის ნაშთებს აკვირდება თავადი ნელა.
მან ცხენის ქალას დაადგა ფეხი.
„შენი პატრონი ჯერ სიკვდილმა ვერ მოინელა,
მაგრამ ახლოა ჩემი ქელეხი.
თავმოკვეთილი, არ გაჰყვები შენ შენსა მხედარს,
და ცხელი სისხლით არ გააძღებ შენ ჩემსა ცხედარს.

„აი სად არის დამარხული ისარი მკვლელი,
სიკვდილით ძვალი მემუქრებოდა!“
ცხენის თავიდან საზიზღარი საფლავის გველი
ამ დროს სისინით, გრეხით ძვრებოდა.
როგორც არშია მოეხვია ფეხებს მდუმარედ,
და დაიკივლა მოშხამულმა თავადმა მწარედ.

დადიან ირგვლივ სასმისები აქაფებული —
გლოვობენ თავადს ქელეხით, ლხინით.
სხედან გორაკზე იგორი და ოლგა კრებულით;
ლხინობს ლაშქარი ადრინდელ ჟინით.
ისინი წარსულს იგონებენ დღეს ათრთოლებით,
და ამაყობენ გარდახდილი ძველი ბრძოლებით.

1822.

ბრინჯაოს მხედარი

პოემა

შესავალი

წყალთა ნაპირას ქანდაკის მსგავსი
ის * იდგა დიად ფიქრებით სავსე,
და ველს გასცქერდა. წყალთა გროვებით
რბოდა მდინარე; ზვირთების თავზე
მოსჩანდა ნავი განმარტოებით.
და ნაპირებზე ხავსის ნოხებით
აქა-იქ ჩანდნენ მავად ქოხები —
ჩუხონელთ ბუდე ველურ მხარეში.
და ტყე-ჭაობით განაპოხები —
ნისლში დაფარულ სხივთა გარეშე
მეფობდა ირგვლივ.
ფიქრობდა იგი:
„აქედან მედგრად შევუტევთ შვედელს",
და ჰკანკალებდა მტერი სასტიკი
აქ ამოვიყვანთ ქალაქის კედელს.
თვითონ ბუნებამ აქ აღიარა,
რომ ევროპისკენ გავჭრათ ფანჯარა;
ზღვის პირს დავეყრდნოთ მაგარი ფეხით,
ახალ ტალღების კვალით უტეხით,
ჩვენ გვესტუმრება ფლაგთა კრებული
და ვიზეიმებთ გალაღებული.
ეს წელმა განვლო, ნორჩი ქალაქი,

---

* იგულისხმება პეტრე I.

ჩრდილო ქვეყნების უცხო მშვენება,
იქ, სადაც იყო ჭაობთ ალაგი,
აზიდულია ამაყ ჩვენებად.
სადაც ფინელი მეთევზე წინათ,
მწირი ბუნების გერი საწყალი,
დაბალ ხავსიან ნაპირთა შინა
ისროდა ბადეს ტალღებში — მკრთალი,
სადაც სუფევდა უდაბნო მწირი,
სჩანს ნაპირების სივრცეზე ხშირი
სასახლეების, კოშკების რიგი,
მწყობრ გიგანტების რკალი სასტიკი —
მოჰქრის ტალღებზე გემი მრავალი
ყოველი მხრიდან აქ მომავალი,
რომ ნავსადგურთან იგემონ წყალი.
შემოსილია გრანიტით ნევა
და წყლებს ხიდები ყველგან ემჩნევა,
ნევის კუნძული მწვანე ბაღებით
არიან ყველგან განაჩაღები.
უმცროს სატახტოს წინაშე თავი
მოხუც მოსკოვმა დაჰხარა ზავით.
ვით ნორჩ დედოფლის წინაშე, მკრთალმა
გვირგვინოსანმა ქვრივ დედოფალმა.
პეტრეს ქმნილებავ! მე მიყვარს შენი
მედიდურობით სავსე იერი,
ნევა მეფური და მძლავრი დენით,
ნაპირთ გრანიტით პირმშვენიერი.
შენი გალავნის თუჯი ქსოვილი,
შენ მოდუნებულ ღამეთა სვლაში
სინათლე, არა მთვარით თოვილი,
როცა ვკითხულობ მე ჩემს ოთახში
და ვწერ ულამფოდ. როგორც ლანდები,
სჩანან ქუჩების ყრუ გიგანტები,
ირგვლივ სიჩუმე. ნათელი არი
საადმირალო დიდი ისარი.

ცისკარი ცისკარს სცვლის მოკამკამეს,
არ უშვებს წყვდიადს ოქროსფერ ცაზე,
ნახევარ საათს ის უთმობს ღამეს,
რომ კვლავ გამოჩნდეს ღრუბლების გზაზე.
მე მიყვარს შენი მკაცრი ზამთარი.
შენი ყინვები, ჰაერი, ჩრდილი,
ნევის ნაპირას მარხილნი ჩქარი,
და ქალწულთ სახე ვარდისფრად შლილი!
მიყვარს ხმაური ბრწყინავ ბალებით
და უცოლოთა ქეიფი მალი,
როცა დუღს ჭიქა ამხრიალებით
და იწვის პუნშის ცისფერი ალი.
მარსის მინდვრებზე ჰხიბლავს ოცნებას
სამხედრო ძალთა მსვლელობა მარადი,
ქვეითთა ჯარის და ცხენოსნების
ერთფეროვანი შნო და ნავარდი;
მწყობრად დარხეულ ლაშქართ წყებაში,
ნაბრძოლ, დაფლეთილ დროშათ ფრიალი,
სპილენძიანი ქუდთა კრიალი,
რომ დაცხრილულან ომების წვაში!
მიყვარს, საბახტო ქალაქო, შენი
ცახე-სიმაგრის გრგვინვა და ალი.
როს მეფის ოჯახს ალსაფსეს ლხენით
შესძენს საჩექრად ვაეს დედოფალი.
ან თავის მტრების დაძლევის გამო
რუსეთს ზეიმი აქვს გამართულებულს,
ან სტეხავს ნევა ყინულთა კრებულს,
და მიაქვს იგი ზღვისკენ აგზნებულს
მით, რომ მაისი მოდის საამო.

პეტრეს ქალაქო! ოყავ დიდებით,
როგორც რუსეთი მძლავრი, რჩეული
და შენთან ერთად აწ დამშვიდებით
დაცხრეს სტიქია უკვე ძლეული.

დე, დაივიწყონ მტრობა, გოდება
ფინურ ტალღებმა; გათავდეს დავა!
ამაო არის ურჩობა კვალად,
და პეტრეს ძილის აწ შეშფოთება!
დრო იყო ავი და საგანგებო,
ბევრში მეტყველებს იმ დღეთა გრძნობა..
მინდა გიამბოთ, ამხანაგებო,
თქვენ სევდიანი ჩემი მოთხრობა.

ნაწილი პირველი

ნოემბრის სუსხით ზეცა ზრიალებს,
პირქუშ პეტროგრადს თავს დასტრიალებს.
ნევა, როგორც რომ კაცი სნეული,
თავის საწოლში, ბორგავს, მძვინვარებს,
და მისი ტალღა ბრაზმორეული
ისევ ასკდება გალავნის კარებს.
გვიანღა იყო. ღამე დგებოდა,
წვიმა ფანჯარას ეხეთქებოდა.
ღმუოდა ქარი სიბრაზით, წყენით.
ამ დროს დაბრუნდა სახლში ევგენი.
მაშ, ჩვენ დავარქვათ გმირს ეს სახელი,
კარგია მისი გამოძახილი,
მას შეეჩვია ჩემი კალამი
და ეგებება ძველი სალამით.
ჩვენ არ გვჭირდება იმისი გვარი,
თუმც წარსულ დროთა წარსულ არეში
ის იყო მძლავრი და მოთარეშე,
მტერს არაერთხელ დასცა თავზარი.
ის კარამზინის იცნო თხზულებამ,
ვით ჩვენი ქვეყნის დიდი თქმულება,
დღეს კი ეს გვარი, წინათ ქებული,
არის ყველასგან დავიწყებული.
აქვს კოლომნაში ევგენის ბინა.

ის სამსახურში ეწევა შრომას,
გაურბის იმას, რაც იყო წინათ,
არ გლოვობს მკვდარსა ნათესაობას
და არც გარდასულ დროთა ყიჟინას.
როცა ევგენი სახლში დაბრუნდა,
სწრაფად გაიძრო თავის მაზარა,
მას დაძინება ძლიერად უნდა,
მაგრამ სიმშვიდე რამ შეახარა?
რაზე ფიქრობდა იგი დავრდომით?
რომ ის ღარიბი იყო და შრომით
უნდა იპოვოს თავის ადგილი,
პატივისცემა, სახელი ტკბილი,
რომ ღმერთს შეეძლო მისთვის მიეცა
მეტი ფული და ჭკუა, რომ ზეცა
ზოგ ბედნიერებს სწყალობს ყოველთვის,
რომ მას სიამე სოფლისა ელტვის,
რომ მისი ყოფნა მეტად ძნელია,
რომ ის მსახურობს ორი წელია;
კიდევ ფიქრობდა, რომ ეს ავდარი
აღარ ცხრებოდა. მდინარე ჩქარი
სულ მატულობდა. ალბათ ხიდები
მოხსნეს — ნევაზე დანაკიდები,
რომ ქარიშხალი კვლავ ივალელაბს,
რომ ის პარაშას ვერ ნახავს მალე.
ის დატრიალდა ფიქრთა ჯარაში,
და ოცნებობდა იგი მწუხარედ:
„არ ქროდეს ქარი ესოდენ მწარედ,
წვიმა არ სცემდეს ბნელ ფანჯარაში“.
ბოლოს თვალები
იმან დახუჭა განაწვალები.
ავდრიან ღამის წყვდიადი ჰქრება,
დღე გაფითრებულ ნისლად იშლება.
საშინელი დღე!
ნევა იმ ღამით

გარბოდა ზღვისკენ, მაგრამ გრიგალი
მას არ უშვებდა შეურიგალი,
და მოიქანცა ნევა თამამი.
მის საპირებზე მეორე დილით
გამოჩნდა ხალხი სწრაფ თავმოყრილი.
წყლებს გახელებულს უცქერდა ყველა.
სცვლის ტალღას ტალღა ვეებერთელა.
პაგრამ უბედან ქარის სვეტებით
გადაღობილი ნევა სიმალეთ
უკან იხევდა დანაფეთები,
და ის კუნძულებს ფარავდა წყალით,
მთლად გატიალდა ამინდი ავი
და გაიბერა ნევა პირშავი,
სდუღდა, ვით ქვაბში, წყალი ღმუილით,
გავერანებით, მეტი შხეილით.
უცბად გაცოფდა, გადიქცა მჩეცად,
მოულოდნელად თვით ქალაქს ეცა.
მის წინ გაიქცა ყველა მცხოვრები.
ტალღებს ვერავინ ველარ აჩერებს,
ეწვიენ სარდაფთ შეუპოვრები,
მოაწყდნენ არხნი თვის მოაჯირებს.
წელამდე ფარავს პეტროპოლს * წყალი.
ვითა ტრიტონი, სცურავს ახალი
ტალღების ალყა! სიბრაზით ხტიან,
და ქურდებივით ჩუმად ძვრებიან
ფანჯრებში. საქით ამტვრევენ მინებს
ნავები. რისხვა ეწვია ბინებს.
ყოველივეა ტალღათ ზვარაკი;
სახურავს, კედლებს იტაცებს ზვირთი,
სცურავს დაშლილი ქოხების ტვირთი,
და საქონელი — ვაჭართ მარაგი.
ღარიბთა მცირე ავლა-დიდება,

---

* პეტროპოლი — პეტერბურგი.

მოტაცებული წყალზე ხიდები;
წალეკილ საფლავთ სჩანს კუბოები
ყველგან ქუჩებში. ხედვენ ბრბოები
ღვთის რისხვას. ხალხი შიშისგან გმინავს-
ვაი! იღუპვის საზრდო და ბინა!
სადღა ვიშოვოთ?
მართავდა ბაშინ
რუსეთს ხელმწიფე განსვენებული *,
ის აივანზე გაჩნდა ვნებული.
სთქვა: — ამ ღვთიური რისხვის წინაშე
მეფენი გრძნობენ თვის უძლურებას!
სევდით უცქერის უბედურებას.
და მოედნები იდგნენ ვით ტბები,
და შედიოდნენ მათში ქუჩები
მდინარეებად. სასახლე გვანდა
სევდიან კუნძულს და ობლად ჩანდა.
მეფემ სთქვა სიტყვა და გენერლები
ეწვიენ ქუჩებს საშიში გზებით,
ტალღებს ავარდნილს უღრმეს ფსკერიდან
ისინი წუთით არ მოერიდნენ,
შველიან ხალხსა, რომ გმინავს მწარედ,
და იღუპება სახლში და გარეთ:
პეტრეს მოედანს ამკობს ახალი
სახლი რჩეული და ტანმაღალი.
მის აივანზე მუდმივ დარაჯად
აწეულ თათით დგას ორი ლომი,
თითქოს ცოცხალი და დაუდგრომი.
მარმარის მხეცზე სოველ ფარაჯით,
უქუდოდ, გულზე ხელებდაკრეფით
იჯდა ევგენი ნაცემი შხეფით...

---

* იგულისხმება ალექსანდრე I.

ის არ ნანობდა თავის თავს მკრთალი,
მას არ ესმოდა, თუ რარიგ წყალი
ბრაზობს და იმის ლანჩას ეხება.
როგორ გრგვინავენ ქარნი მეხებად,
როგორ მოაძრო გრიგალმა ქუდი,
აბსოვდა სხვა დრო და სულ სხვა წუთი.
სასოწარკვეთით აღსავსე ცქერა
მხოლოდ ერთ მხარეს მან მიაშტერა,
და ამბოხებულ სიღრმის ზვირთები
კვლავ მოგორავდნენ, ვითარცა მთები.
ქარი ღმუოდა. ტალღების ზევით
სახლის ნაფლეთი ჩანდა გარკვევით.
ო, ღმერთო, ღმერთო! წყალთა მეზობლად,
თითქმის უბესთან მდებარებს ობლად
პატარა სახლი, ტირიფი, ყორე,
იქ მშვიდად ცხოვრობს არსება ორი:
ქვრივი ასულით. ოცნება შორი —
მისი პარაშა. სიზმრად თუ ხედავს
ყველაფერს ამას? თუ არის ნეტავ
ჩვენი ცხოვრება ყალბი ზმანება,
ბედის დაცინვა, ძირს დაქანება?
თითქოს მარმარმა მოჯადოებით
ის დაატყვევა თავისი ცქერით,
ვერ ჩამოსულა! წყლის ურდოები
ირგვლივ და მეტი სხვა არაფერი!
იმისკენ ზურგით შემოქცეული,
ხელშეუხებელ მაღალ მწვერვალზე,
სადაც ბობოქრობს ტალღა წყეული,
ამბოხებული მდინარის წყალზე
მოსჩანს მხედარი ბრინჯაოს რაშით,
ხელით — აწვდილით მაღლა ზეცაში.

ნაწილი მეოთხე

ნევამ იჯერა გული დარბევით,
და მოქანცულმა მეტ თავხედობით
იბრუნა პირი დანახარბევი,
რომ დატკბეს თავის ველურ ქმედობით...
თავის ნადავლი ზიზღით დასტოვა.
ასე ყაჩაღი, რომელსაც ხროვა
ახლავს ავაზაკთ — დაესხმის სოფელს,
ყველაფერს მისცემს მახვილს ულმობელს...
ძარცვა, მკვლელობა და კბილთა ღრჭენა...
კვნესამ, განგაშმა წაიღო სმენა!
შემდეგ ნაძარცვით დატვირთულები,
დევნისა შიშით დაქანცულები,
ავაზაკები შინ იჩქარიან,
გზაში კარგავენ ნადავლს შარიანს.
წყალმა დაიკლო და ქვაფენილი
ბრწყინავს, უეცრად გამოჩენილი
ეტრფის მდინარეს ჩვენი ეგენი,
მოცული შიშის ფარული სენით,
მხოლოდ მწუხარე ხმებისა მსმენი.
კიდევ ბრაზობენ ავი ზვირთები,
ზეიმის გრძნობით დანატვირთები,
თითქოს მათ კიდევ ხანძარი სწვავდა,
და ქაფიანი ქურქი ფარავდა.
მძიმედ სუნთქავდა ნევა რხეული —
ცხენი ბრძოლიდან გამოქცეული.
ევგენიმ წყალთან მისვლა გაბედა,
და ნავს წააწყდა ის უცაბედად.
იგი მენავეს ახლა ეძახის,
რომელიც თავის უდარდელ სახით
ართმევს უზალთუნს მას გასამრჯელოს,

სჯერა: გაიტანს ტალღების ღელოს.
დიდხანს ებრძოდა მენიჩბე მარდი
ტალღებს — ამღვრეულს და გაბრაზებულს.
ნავი მისდევდა ზვირთების კრებულს,
თავის მგზავრებით მათი ნავარდის
ყოველ წუთს მსხვერპლი რომ გამხდარიყო.
მაგრამ მდინარემ ნავი გარიყა.
აი ნაპირი!

საბრალო გარბის

ნაცნობი ქუჩით, უცქერის ხარბი,
ადგილებს ჩვეულს და თან გარეულს,
სურათს საშინელს და სიზმარეულს!
და მის წინ ჰყრია უწესო გროვად.
რაც-კი მდინარის რისხვამ დასტოვა.
დაშლილ ფიცრების გამოჩნდა მტვერი,
დანგრეულია სახლები ბევრი;
ზოგიერთები უკუღმა დგანან.
ვით ბრძოლის ველზე, ყოველგან სჩანან
დამსრჩვალთ გვამები. მაშინ ევგენი
სასოწარკვეთილ და გიჟურ რბენით
იქ მიჰქრის, სადაც ბედი მარადი
ელის დაბეჭდილ უცხო ბარათით.
და იგი გარბის საოცარ გრძნობით.
უბე... სად არის სახლი ნაცნობი?
ზარდაცემული იგი სდგას სვეტად:
უკან დაბრუნდა ის უცაბედად.
ნაცნობ სახლისკენ ისევ იჩქარის.
აი ტირიფი... კვალი ჭიშკარის
არ სჩანს და სახლი აღარსად არის.
ის შებოჭილი დარდით, მწუხარე.
ეკამათება თავის თავს ცხარედ.
უცბად დაირტყა მან შუბლზე ხელი
და ახარხარდა. ღამისა ქსელი

მთრთოლვარე ქალაქს მოედვა ბნელი.
მაგრამ მცხოვრებლებს დიდხანს არ სძინავთ.
ურთიერთ შორის აქვთ საუბარი
გარდასულ დღეზე: დილა კი ბრწყინავს
სატახტოს თავზე — წითელ საფარით
ფარავს წარსული დღის ბოროტებას
და დარბეულთა კვნესა-გოდებას.
კვლავ ყოველივემ სახე ჩვეული
ისევ მიიღო და დარბეული
გამოდიოდა ქუჩაში ხალხი.
ბის უგრძნობ სახეს არ აჩნდა თალხი.
კვლავ სამსახურში მოხელე მიდის,
ალებს ვაჭარი, არ მცოდნე რიდის,
მდინარისაგან სარდაფს გაძარცულს
და იმედი აქვს, რომ ზარალს წარსულს
იგი აიღებს მალე სხვებიდან.
ხავებს ზიდავენ ეზოებიდან.
გრაფი ხვოსტოვი * კვლავ ლექსებს წერდა
და მირონცხებულ მგოსნის გზნებითა
უბედურებას იგი უმღერდა.
მაგრამ საბრალო ჩემი ევგენი...
იგი მოიცვა სრულ დაღონებამ.
ვეღარ გაუძლო მისმა გონებამ
საშინელ განცდებს! ტყვექმნილი სმენით
ნევის და ქარის ხმაურს უსმენდა.
უცხო ფიქრებით აღვსილი, კენტად.
ის დადიოდა. რაღაც სიზმარი
მას აწვალებდა წუთი ცისმარი.
და შეპყრობილი საოცარ სენით,
არ ბრუნდებოდა სახლში ევგენი.
როცა გავიდა საკმაო ხანი,
მიაქირავა თავის საკანი

---

* გრაფი ხვოსტოვი — პუშკინის თანამედროვე, უნიჭო პოეტი

ახლის პატრონმა ბელმოკლე პოეტს.
ევგენი გაჰყვა აშლილ გონებას...
არ მიაკითხა თავის ქონებას.
ემალებოდა ბრბოს მიეთ-მოეთს.
დიდი ხანია მან დაგმო ბინა,
და ხავსადგურში ხშირად ეძინა.
ის სამოწყალოდ გაძოწვდილ ლუკმით
ცხოვრობდა, მუდამ მოხეტე, უქმი.
ბავშვნი ესროდნენ ქვებს იმას — ეულს,
მუდამ უცნაურს და ჩამოსეულს.
გზას არასოდეს ის არ ამჩხევდა,
და სცემდნენ მათრახს მეეტლეები.
ჰქროდნენ უმიზნოდ ბინი დღეები
და სწვავდა რაღაც უთქმელი სევდა.
ფარულ განგაშით გაყრუებული
ის ეწეოდა ყოფას შხამიანს,
და უსახური, მკრთალი ვნებული.
არც ნადირს ჰგავდა,
არც ადამიანს.
არც ის და არც ეს, ვით ცოცხალ-მკვდარი.
მას ნავსადგურში ერთხელ ეძინა.
და შემოდგომის იყო ავდარი.
ქარმა გასტეხა მდინარის მიწა.
ტალღა სწვდებოდა ნაპირს ჩივილით.
საფეხურებთან ის მუდარებდა,
ვით მომჩივანი, გულის ტკივილით
ყრუ მსაჯულების სასტიკ კარებთან.
გამოეღვიძა საბრალოს. ქარი
გმინავდა ისე, როგორც აფთარი.
ზეცას მდუღარე ცრემლი სდიოდა.
და შორს გუშაგის ხმა გაჰკიოდა.
უცბად წამოხტა ევგენი, იმას
მთელი წარსული საშინელება,

რაზედაც ფიქრი მას ეძნელება,
კვლავ წარმოუდგა. უსმენდა წვიმას.
ირგვლივ დაიწყო მან ხეტიალი,
სწრაფ შეაჩერა ნაბიჯთ ტრიალი.
თვალი მოავლო მან შიშით არეს.
სახლის სვეტებ ქვეშ ახლა ის არის;
იქ მოდარაჯე იდგნენ ლომები,
აწვდილი თათით, დაუდგრომები.
და მის პირდაპირ საშინელ ლანდად,
ირგვლივ შეზღუდულ და მაღალ კლდეზე.
აპყრობილ ხელით მხედარი სჩანდა.
ამაყად მჯდარი ბრინჯაოს ცხენზე.
ევგენი შეკრთა. მას მოაგონდა
კვლავ ყველაფერი: ტალღათ კრებული.
წარღვნის ფართობი გააფთრებული.
სადაც სტიქიას ზეიმი ჰქონდა.
იცნო ლომები, ნისლით ბურვილი,
და ის მხედარი ბრინჯაოს თვალით,
რომლის ულმობელ ამაყ სურვილით
ზღვასთან ქალაქი დაარსდა ავი.
საშინელია ის ამ წყვდიადში!
შუბლზე ბეჭედი იდუმალ ფიქრის!
ნეტა რა ძალა იმალვის მასში,
როგორი ცეცხლით იწვის ეს რაში?
ამაყო რაშო! შენ საით მიჰქრი,
და სად დაუშვებ ფეხებს გზა სვლაში?
სასტიკი ბედის მძლავრო მფლობელო!
განა შენ ასე უფსკრულის თავზე
რკინის აღვირით, ო, ულმობელო,
არ დააყენე რუსეთი ყალყზე?
და კვარცხლბეკს გულის აფრთხიალებით
უელის შეშლილი. მთლად მოცახცახე.
ის მიაჩერდა გიჟურ თვალებით
ძლევამოსილი მპყრობელის სახეს.

ისევ შეშფოთდა, თავისი შუბლით
ცივ მოაჯირის მიეკრა ფოლადს.
თვალნი აევსო უეცარ ღრუბლით.
და რაღაც ცეცხლმა ის აათრთოლ.
მოაწვა სისხლი. ის დადგა მკვახედ
ამაყ კერპის წინ, ბრაზმორეული,
და კბილთა ღრჭენით, ცოფიან სახით
სთქვა შეპყრობილმა ძალით გრძნეულით.
„მაშ კარგი, ვნახოთ, აღმშენებელო!..“
უცბად გაიქცა განაქანები.
მას მოეჩვენა რაღაც ზვანებით,
რომ მეფის სახე შიშაღმგზნებელი
მისკენ მოიქცა სწრაფ მრისხანებით.
რბის ყრუ მოედნით, საბრალო გიჟი.
უკან ხმაური მას ესმის შიშით:
თითქოს დამტვრეულ გრგვინვის გრიალ.
ცხენის თქარუნი — შორით შთენილ.
და უპასუხებს მძიმე ზრიალით
ამბოხებული მას ქვაფენილი.
განათებული ფერმკრთალი მთვარით.
ხელით — აწვდილით მაღლა ზეცაში
იმას ბრინჯაოს მოსდევს მხედარი
გამოჭენებულ და მგრგვინავ რაშით
და მთელი ღამე საბრალო გიჟი
სად არ წავიდა, ესმოდა შიშით,
რომ მას მოსდევდა მძიმე ჭენებით
იგი მხედარი მონაჩვენები.
და ამის შემდეგ, როს უხდებოდ.
იმ მოედანზე გავლა ევგენის.
იმის სახეზე შიში ჩნდებოდა,
ხელს მიიკრავდა ის გულზე ტკენით,
თითქოს აცხრობდა მის ცემას მარადს.
ქუდს გახუნებულს იხდიდა წყნარად,
და მიდიოდა განზე ძუნძულით.

ირის პატარა ზღვაზე კუნძული:
ბანდახან მივა იქ ალმაცერად
ძეთევზე თავის ღარიბ ფაცერით,
და თვით იკეთებს ის ვახშამს მცირეს:
ანდა მოხელე აქ მოდის კვირას
ნავით. ჩუმია მკვდარი სავანე.
მასზე არ ხარობს ბალახი მწვანე.
აქ წყალდიდობამ უბოროტესმა
მოაგდო ძველი სახლი ოდესმე.
და იგი ჩანდა, ვით ბუჩქი შავი,
და ის გასულ წელს გაზიდეს ნავით;
ის იყო თითქმის მთლად დანგრეული.
ომის კარებთან ევგენი ნახეს.
და მისი გვამი ცივი, ეული,
ღვთის გულისათვის იქვე დამარხეს

1833

მ. ი. ლერმონტოვი

მომაკვდავი გლადიატორი

I see before me the gladiator lie..
Byron *

ზეიმობს რომი გულსასტიკი, ტაშის ხმით გრგვინავს
ასპარეზის წრე, კვლავ სამსხვერპლად გადაქცეული.
ის კი მახვილით განგმირული, ის მტვერში გმინავს
და სისხლით არის შეღებილი მისი სხეული...
ამაოდ ითხოვს შეცოდებას მღვრიე თვალებით:
ამპარტავანი მედროვე და ცრუ სენატორი,
უცქერენ იმას უდარდელნი, შეუბრალები...
რა არის ბრბოსთვის წაქცეული გლადიატორი?
ეხოლოდ მასხარა, სულს რომ ღაფავს მეტი წვალებით.

კი იცლება სისხლისაგან და მის წინაშე
რაღაც სინათლემ გაიელვა, როგორც მინდორი.
იმას დუნაი მოდუდუნე უმღერის ნანას,
ის ხედავს მამულს, აყვავებულს თავის ქვეყანას
და თავის ოჯახს, ლაშქრობისთვის მან რომ დასტოვა.
ერთოუდგება თავის მამის სიბერე მძიმე,
ხედავს მშობელის გამოშვერილ ხელებში გლოვას;
აკუთარ ბავშვებს ის შენატრის, ვით ძვირფას ინდს

სჯერათ მის შვილებს, რომ ნადავლით ის უკან მოვა.
მაგრამ ამაოდ! ის წაიქცა, როგორც ნადირი.
საბრალო მონა, არ იქნება ის დანატირი...

---

* მე ვხედავ ჩემ წინ დაცემულ გლადიატორს... ბაირონი.

გემშვიდობები შენ, მამულო, შენ, ბილწო რომო!
ნუთუ შენც ასე, ევროპისა ძველო ქვეყანავ,
ვისაც მოძღვართა გეკუთვნოდა რწმენა და ნდობა.
შენც სამარცხვინო სამარისკენ ეშვები განა?
ვნებათა ცეცხლით და ეჭვებით გაწამებული,
ბავშვთა ტიკინა, იმედს, რწმენას ხარ მოკლებული.
და შენ დაგცინის მოზეიმე ბრბოთა კრებული!

ივით სიკვდილის წინ ძიაპყარი შენ თვალთა ცქერა
ღრმა მწუხარებით, ღრმა დანანებით
ნორჩ სიკაბუკეს, რომ გიზიდავს, ვით ძალთა ბგერა;
დიდი ხანია დაივიწყე შენ ყრმობის კერა,
რომ ფუფუნებას მისცემოდი ყალბი ზმანებით.
უკანასკნელი წამებანი ჩაიხშო გინდა:
შენ გაჯადოებს შორს წარსულის სიმღერა წმინდა,
რაინდულ დროთა მოგონება გხიბლავს მღელვარე
და მიუწვდომელ ოცნებათა მზე მოელვარე!

1830

სამშობლო

ვიყვარს სამშობლო, მაგრამ მიყვარს სხვა სიყვარულით,
ამას ვერ დასძლევს ჩემი გონება.
არც ეს დიდება, ხალხთა სისხლით პირდაფარული,
არც მყუდროება, სივრცეებს რომ ებატონება,
არც წარსულიდან დარჩენილი თქმულება ძველი
არ არის ჩემთვის სიხარულის, შვების მომგვრელი.

მაგრამ მე მიყვარს — და რისთვის კი, თვითონ არ ვიცი.
ჩემი ველების მდუმარება, სიცივით სავსე,
ჩემ თვალუწვდენელ ღრმა ტყეების შრიალი მტკიცე
და მდინარეთა ადიდება ზღვებისა მსგავსი...
მიყვარს, როდესაც ჩემი ეტლი სოფლის გზით მიჰქრის.
ბიარღვევს წყვდიადს, გაურკვეველს და სულთამხუთავს
ღამის გასათევ ადგილს ვეტრფი დაღლილი ფიქრით,
ორგვლივ მოწყენილ, ყრუ სოფლების სინათლე ბჟუტავ

ძე მიყვარს კვამლი დამწვარ ნამკალის,
კელზე მოხეტე ურემი მძიმე,
ჯეჯილში, სადაც არ ჩასს ნამგალი,
ორი არყის ხე დგას მოციმციმე,
ბევრისთვის უცნობ სიამის გრძნობით
ვუცქერი პურით დატვირთულ კალოს,
ვხედავ ქოხების ფანჯარას ტრფობით.
სახურავების დასეტყვილ ჩალას.
ბოდის საღამო, ვარსკვლავთ მომფენი...
ბზად ვარ ვუცქირო მე საათობით,
კეკვას, აღნიშნულს ბაკუნით, სტვენით.
და მთვრალ გლეხების მასლაათობით.

1841.

რად არ გავჩნდი ქვიყანაზე
ველვარე და ლურჯ ტალღად;
მთვარის შუქზე, ქარის ხმაზე
ვიქროლებდი ცის ქვეშ ლაღად.
ჩავკოცნიდი მეტი ტრფობით
ოქროს ქვიშას, დაუწურავს,
შევხედავდი ზიზღის გრძნობით
ნავს, სიფრთხილით ზღვაში მცურავს
რაც ავკაცმა შექმნა დღემდე,
დავარბევდი, დავლეწავდი,
და ტანჯულებს ამის შემდეგ
ჩემს გრილ გულზე მივიკრავდი.
თვით ჯოჯოხეთს მშობელ ზღვაში
მე არ შევუშინდებოდი,
სიგრილეში და ლტოლვაში
მე მარადის ვიქნებოდი.
არ მსურს ნისლთა შორი თალი —
ჩრდილოეთის ცივ მხარეში;
მე ვიქნები მუდამ ლაღი,
ზღვის სიღრმეში მოთარეშე.

ნ. ნეკრასოვი

სამშობლო

ძველი, ნაცნობი ადგილები ისევ ძხვდებიან;
შორი ბავშვობის სურათები წინ მეშლებიან.
აქ ეწეოდნენ წინაპრები გარყვნილ ცხოვრებას.
ძალმომრეობას, აღვირახსნილ ლოთობას, ვნებას.
გლეხებს, ქცეულებს ჩლუნგ მონებად და მათხოვრებად.
ენატრებოდათ მებატონის ძაღლის ცხოვრება.
აქ დავინახე მე პირველად ქვეყანა ტკბილი.
აქვე ვისწავლე სიყვარული და სიძულვილი.
აქ სინიდისი დამიმალავს მე სამარცხვინოდ.
და მემამულე უდარდელი ეყოფილვარ წინათ.
ჩემი ოცნება წაიბილწა აქ ნაადრევად,
ქვეშმრომ ვნებების თავიდანვე გახდა სათრეველად.
არა ბავშვური სურვილების მე ცეცხლი მწვავდა,
ტრფობის განთიადს ეს ხანძარი ნაკლებად ჰგავდა
ო, მოგონება სიჭაბუკის არის ცნობილი,
როგორც შვენება სპეტაკი და კეთილშობილი.
ჩემი ხსოვნა კი აღსავსეა ჭმუნვით, გოდებით,
ვწყევლი საზიზღარ ჭაბუკობას გაბოროტებით.
ჩემს წინ ბაღია, ხეივანში გამოჩნდა სახე,
იგი მკრთალია, სევდიანი და მოცახცახე.
მე კარგად ვიცი, რად ქვითინებ შენ, ჩემო დედავ!
შენი ჯალათის დამღუპველის დაგმობას ვხედავ.
უგულო ჯალათს ჩააბარე შენი ილბალი,
და მორჩილების ვერ გაწყვიტე ჩვეული რკალი.
შენ ამბოხება უძნელესი ტვირთი გეგონა,
ბედს უსასტიკეს შეურიგდი შენ, როგორც მონა.

მაგრამ არ იყო შეხი სული, უვნებო ლეში,
ეს იყო მტკიცე, მშვენიერი სიამაყეში.
თუ აპატიე სიკვდილის წინ ჯალათს ჩურჩულითაც?
მაგრამ არ იყო პატიების ღირსი ურჯულო.
და შენ, რომელმაც ბედშავ დედის გაიზიარე
ცრემლები, ტანჯვა და ყოველი მისი იარა,
შენ აღარა ხარ, — ჩემი სულის ძვირფასო დაო,
შენ მიატოვე გარყვნილების სახლი, ბედშავო,
რადგან სირცხვილით მამის სახლში მუდამ იწყოდი.
გაჰყევი ცოლად კაცს, რომელსაც არც კი იცნობდი.
საკუთარ დედის გაიარე გზა ეკლიანი.
ყავ კუბოში დაღვრემილი და ნისლიანი.
ისეთი იყო მკვდარ სახეზე შენი ღიმილი,
რომ თვით ჯალათმა იგრძნო სევდა და სიმძიმილი.
დაკეტილია ნაცრისფერი და ძველი სახლი,
არ ჩანს ჯამბაზი, მსახურები, ქალები, ძაღლი.
წინათ რა იყო? ყველას შიში ველური სდევდა
დიდს და პატარას აწუხებდა რაღაცა სევდა.
ვიმალებოდი გადიასთან. ჩემო გადია,
ჩემს გულის ხსოვნას შენისთანა ვინ აბადია?
მე ხშირად მისი მაგონდება ნაზი ალერსი,
მაგრამ ბევრი რამ მაგონდება მე უარესი.
გული მევსება ბოლმით, სისხლით, ცეცხლის ალებით,
ჩემი ბავშვობა იყო სავსე მხოლოდ წვალებით.
მე არ მქონია მოგონება ნათელი, კარგი,
მაგრამ ბავშვობის საშინელი, წყეული ბარგი
სულს ამძიმებდა და აქამდე მომყვა ხუნდები.
წარსულო ჩემო, ნურასოდეს ნუ დაბრუნდები!
ირგვლივ მე ზიზღით ვიცქირები და მიხარია,
რომ ძირში მოსპრეს ტყე მაღალი, დიდი ხანია,
ფოთლების ჩრდილში ვერ ისვენებს ახლა ქვეყანა,
ჯოგი ამაოდ ხეტიალობს, მკვდარია ყანა.
წყარო ამოშრა, სილაჟვარდე მხოლოდ ცაზეა,

ახლი პირჟუში, ცარიელი წაქცევაზეა.
აქ გაისმოდა ტანჯულების კვნესა-ვაება,
მსხვერპლთა კივილი ორგიების ხმას გადაება,
და მხოლოდ ერთი, მხოლოდ ერთი სიამეს გრძნობდა,
აჩაგრავდა ყველას. ბატონობდა და ზეიმობდა.

1846.

უცნობ მეგობარს

(რომელმაც გამოიგზავნა ლექსი

[illegible])

ძალე მოვკვდები. მცირე ქონებას
მე გიანდერძებ, ჩემო მამულო!
ტკბილი ბავშვობა არ ახარებს ჩემს მოგონებას,
ახალგაზრდობა ბრძოლით მქონდა მე მოწამლული.
შეხვდება გრიგალს სიხარულით ჩვენი ბუნება.
თუ ეს გრიგალი წუთიერია.
მაგრამ გვეტყობა ჩვენ მოდუნება,
თუ ქარიშხალი ხანგრძლივია და ძლიერია.
დამასვეს წლებმა საშინელი თავისი დაღი,
არ მაგონდება წარსულიდან დღე სხივოსანი.
მე ვერ ვიგემე შთაგონება, უსაზღვრო, ლაღი.
ჩემო სამშობლოვ! მწუხარეა შენი მგოსანი!
[illegible] მესმოდა უფსკრულიდან ხმაური ტალღის.
ცხოვრების გზაზე დაბრკოლება მე ვნახე ბლომად.
მაგრამ, რადგანაც ჩემს ძარღვებში სდუღს სისხლი ხალხის,
ჩემო სამშობლოვ. მიითვალე ეს მცირე შრომა!

არ მივაჭრია ჩემი ჩანგით, მაგრამ ოდესმე,
როცა შემაკრთო ბედმა ავმა, უბოროტესმა.
მე ავაჟღერე ჩემი ჩანგი ყალბი ჰანგებით,
[illegible]მიტომ არის — სინანულით რომ ვითანგები.
ახლა მარტო ვარ, ამაოა ზედმეტი გლოვა,
სადღა არიან ჩემი ძველი თანამგზავრები?
ზოგი დამშორდა თავიდანვე და მიმატოვა,
ზოგსაც მე თვითონ მივუხურე ცივად კარები.

ზოგიერთ ძათგანს ულაბელი ეწვია ბედი.
ზოგმა დასტოვა სამუდამოდ ცრემლების არე.
რადგანაც დავრჩი მარტოდმარტო, მოკლულ იმედით,
რადგან ბრძოლაში არვინ იყო ჩემი დამხმარე,
რადგან დღითი დღე მაკლდებოდა მე ამხანაგი,
და ჩემი მტრების იზრდებოდა დიდი ბანაკი,
რადგან ჩემს გულში ხალხის სისხლის სდუღს ერთი წვეთი,
ჩემო სამშობლოვ, შეიწყნარე შენ ჩემი ბედი!

იყო თავიდან მოწოდება ჩემი დიადი –
მედიდებია, ხალხო, შენი ტანჯვა-ვაება,
რომ ოდნავ მაინც გამეფანტა ბნელი წყვდიადი,
რომლით შენი გზა შემორკალა ძალთა ღვთაებამ.
მაგრამ მიყვარდა ეს ცხოვრება ბუდამ ცბიერი,
იმის სიამეს შეჩვეული და ნებიერი;
მე მივდიოდი მიზნისაკენ არა გმირულად,
მიზანს სიცოცხლეს არ ვწირავდი თავგანწირულად.
ჩემი სიმღერა წრფელ გულიდან გადმოღვარული,
ხალხამდე მაინც ვერ მივიდა. — ვერ გავიხარე.
მხოლოდ აკვნესდა სიმღერაში ღრმა სიყვარული
შენდამი. ჩემო სამშობლო მხარევ!
თუმცა მთოშავდა მე დღითი დღე სიცივე მეტი,
ამ სიყვარულის შევირჩინე მე სამკაული,
რადგან ჩემს გულში ხალხის სისხლის სდუღს ერთი წვეთი.
ჩემო სამშობლო, მაპატიე დანაშაული!

1860

ვ. ბრიუსოვი

ლენინს

იგი ვინ იყო? იყო ბელადი
ხალხთა სურვილის და ნებისყოფის.
მან გამოსცვალა კაცობრიობის
გზა, გადალახა საუკუნენი,
და ოქტომბერი მან თვითონ შექმნა,
მან შემორკალა ჟამთა სირბილი.
და ეს ეპოქა უფრო დიდია,
ვინემ ბრწყინვალე დრო — რენესანსი.
ძველი ქვეყანა კვდება ეძლური
ახალი არის — ზღვა შემაერთი.
ოქტომბრის ცეცხლში მოსჩანს ლენინი,
მოსჩანს საზღვარზე, ვით გოლიათი.
ო, დედამიწა! მწვანე პლანეტა,
პატარა ბურთო, ვარსკვლავთა შორის,
შენი დიდება ეს სახელია —
კეთილშობილი და მშვენიერი!
ის მოკვდა! იყო სულ ერთი წუთი
ჟამთა სრბოლაში, მაგრამ ქმედითი.
ის აღემატა დაბალ სიცოცხლეს,
და ჩვენ ვადიდებთ მის სახელს მუდამ.

1924

ხანჯალი

აძოგლეჯილი ქარქაშიდან იგი თქვენს თვალებს
აბრმავებს ისევ ალესილი, მზით შემკობილი.
მე თქვენთანა ვარ, როდესაც კი გრგვინვა გრიალებს.
სიმღერა არის ქარიშხალის მუდამ დობილი.

როს ვერ ვხედავდი თავხედობას და ძალადობას,
როცა უღელქვეშ ჩაგეღუნათ თქვენ ყველას თავი.
ვეშურებოდი მე დუმილის ქვეყნიერებას.
სხვა საუკუნე იყო ჩემი შესაფარავი.

მთლად უსამართლო, ულამაზო და საზიზღაო
მეზმანებოდა ამ სიცოცხლის მე მთელი წყობა.
ბრძოლის ნაღარავ! შენ გესმოდა ჩემი ხარხარი,
მე არ მჯეროდა ბრძოლისათვის ეს შენი ხმობა

მაგრამ როგორც კი გავიგონე ძველი საყვირი.
მაგრამ როგორც კი დავინახე ბრძოლის ალამი.
მე გიპასუხებთ გაბედული, ვით ნიაღვარი.
ზეციდან გრიგალს გავუგზავნე ჩემი სალამი.

ძველი ხანჯალი პოეზიის. მზე მოელვარე
დღეს ერთგულ ფოლადს გადაურბენს ცეცხლებით ეხლ
მე ხალხთანა ვარ, ვით პოეტი მუდამ მღელვარე.
რადგან მე ვნახე გაბრაზებულ ელვების შეხლა.

კალატოზი

კალატოზო, კალატოზო, თეთრ და ფართო წინსაფარით,
რას აშენებ მანდ და ვისთვის?
— ხელს ნუ გვიშლი, ჩვენ ვაშენებთ მეტ სიჩქარით
საპყრობილეს ბოროტისთვის.
კალატოზო, კალატოზო, გულმოდგინევ, ნიჩბიანო,
მასში ვინღა ატირდება?
— ალბათ არც შენ, ბედნიერო, და არც შენი ძმა სვიანი —
თქვენ ქურდობა არ გჭირდებათ.
კალატოზო! გრძელ ღამეებს — უძილო და ცრემლმფრქვეველი,
მასში ვინღა გაატარებს?
— შეიძლება ჩემი შვილი — ისეთივე მუშა წრფელი.
ბედი ერთხელ არ გვახარებს.
— კალატოზო, კალატოზო, მოიგონებს იგი ალბათ
მათ, ვინც ზიდა ქვა და მტვერი.
— მოგვეცალე! ეი, დადუმდი შენ მანდ, დაბლა,
თვითონ ვიცით ყველაფერი.

სალამო

მახსოვს ზაფხული, მახსოვს დაისი,
რომანტიული, ძველი მდინარე,
ქიოლნი მოხუცი, უზენაესი,
მასზედ მნათობი სხივ-მომფინარე,

და ამ სალოცავ საყდარში შენი
ცქერა ძვირფასი და აღმამფრენი.

სადღაც მღეროდა უცხო კრებული
უძველეს დროთა უცხო სიმღერას,
ხმები ნიავით დასუსტებული
კიდევ აფრქვევდნენ სევდიან ჟღერას

და აქ რაინზე უერთდებოდნენ
ტალღათა ჩივილს და მორჩილ ბგერას.

ო, ჩვენ გვიყვარდა და არ ვიცოდით
წუთია ეს თუ თვით უკვდავება.
საიდუმლოში ტკბილად ვიწვოდით
ცაზედ ამოსულ ჩუმ ვარსკვლავებად.

თითქოს ვქრებოდით, მაგრამ გვჯეროდა,
რომ თვით ჰაინე ჩვენ გვიმღეროდა.

ვალერიან გაფრინდაშვილი

ქართული ლიტერატურის მატიანე პატივისცემით იხსენიებს ვალერიან გაფრინდაშვილს — ერთ-ერთ მოწინავე საბჭოთა პოეტს, ლიტერატურის მკვლევარს და ნიჭიერ მთარგმნელს.

ვ. გაფრინდაშვილი დაიბადა 1889 წელს ქუთაისში, მასწავლებლის ოჯახში. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, შემდეგ, 1914 წელს, მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტი. თავისი ორიგინალური ლექსები და პოეტური თარგმანები მან პირველად რუსულ ენაზე გამოაქვეყნა. ქართულად მისი ნაწერები იბეჭდებოდა 1916 წლიდან, ხოლო მისი ლექსების კრებული პირველად გამოვიდა 1919 წელს.

ვ. გაფრინდაშვილის რევოლუციამდელი პოეზია თითქმის მთლიანად მოიცავს სიმბოლისტური პოეტიკისათვის დამახასიათებელ ყველა იდეურ და თემატიკურ მომენტს, ასევე მხატვრულ თავისებურებათა ნიშნებს.

ვ. გაფრინდაშვილი ნაყოფიერ მთარგმნელობითს მეშაობას ეწეოდა. მან თარგმნა რუსი და დასავლეთ ევროპელი მწერლების მრავალი ნაწარმოები, კერძოდ, ა. ს. პუშკინის, მ. ი. ლერმონტოვის, ნ. ნეკრასოვის, ვ. ბრიუსოვის და სხვათა ლექსები, აგრეთვე ფრ. შილერის „ყაჩაღები", ვიქტორ ჰიუგოს „რუი ბლაზ", კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა", გ. შელლის „ჩენჩი" და ა. შ. მასვე ეკუთვნის ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშების თარგმანები რუსულად.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ვ. გაფრინდაშვილის შემოქმედებაში თანდათან მკვიდრდება ახალი ცხოვრების თემატიკა. „ცისფერი ყანწელების" ჯგუფიდან იგი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელიც გულწრფელად დადგა საბჭოთა ლიტერატურის პლატფორმაზე. პოეტმა შექმნა სოციალისტური ლირიკის დამოუკიდებელი ნიმუშები, რომელთაც დღეს საპატიო ადგილი აქვთ მიჩენილი ქართულ საბჭოთა პოეზიაში.

ვ. გაფრინდაშვილის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ლიტერატურული ნარკვევი. ზოგიერთ მათგანს ჩვენთვის დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა საბჭოთა მოღვაწეობის პერიოდში რუსთველოლოგიისა და მხატვრული თარგმანების საკითხებზე დაწერილი წერილები.

ვ. გაფრინდაშვილი გარდაიცვალა 1941 წელს, 31 იანვარს.

რევაზ ორჯონიკიძე

სარჩევი

ლექსები (1921 — 1941)

	გვ.
ლენინი	5
ორ ხეს, ცირკის წინ რომ დგანან	6
ზღვა . .	7
ტფილისი	8
ბოლნისის სიონი	10
ისეთი ლექსი	11
კომენარებს . .	13
მაკსიმილიან რობესპიერ	14
ჟან პოლ მარატ	15
დანტონ .	16
ინტერნაციონალი	17
I	17
II	19
III ლეიზა მიშელის სიმღერა განდევნაში	20
ტყეს	23
რიონი	25
ძიება	27
პოეზია	28
ფეხსაცმლის მწმენდელთან	29
ხილთა ქება	30
წერილი ნანას	32
აწყესი . .	33
დროებით მაინც	35
მებალე	36
სიმღერა	37
რევოლუციის წარსულიდან	38
პოეტი მონადირე	40
ბროწეულის ტყე	42
მეჩქარება .	43
მაინც	44
ხევებს	46

	23
თიეის ზვინი .	47
დაგეიანებული სონეტი	49
ეელიაბოეი და პეროვსკაია	50
ბუკინისტი	52
ელექტრო შუქის ჩაქრობიდან ლამფის ანთებამდე	54
წყნეთის გზაზე . . .	55
საოპერო თეატრის ქანდარიდან . . .	56
* * „ნუთუ ეარ მხოლოდ დამშრალი წყარო"	58
ლენინის ხსოვნას	59
საღამო საგურამოში	61
ჩემი შეხვედრა ეგნატესთან	63
ოქტომბრის სტრიქონები	64
ტრაგედიის დაბადება	66
ჩემი ქვეყანა	69
ბალადა შლეიფისა და მარაოს შესახებ	71
ზღვაზე .	72
ფერო	74
ქუთაისი	78
მისალმება	80
დიმიტროვს .	83
ვაეა და ფიროსმანი	85
წიფობელა .	87
ქვიშხეთის ქარი .	88
პოემიდან „პერი და სიტყვა"	90
ნადიკვარი . .	92
ერთი დღე ახმეტაში . . .	94
ბეთხოვენის ქანდაკება კონსერვატორიის მარცხენა კედელზე	95
ხარიტონ ვარდოშვილს	96
შაბათობაზე	97
გმირულ ესპანეთს	98
დიდ ოქტომბერს	100
შოთას .	102
ინათი და ყორათი .	104
შოთას და თეიმურაზის გაბაასება	107
ცარსკოე სელო	109
პუშკინს .	110
ილია ჭავჭავაძე . .	112
ანტოლოგია და ბეტონი	114
ნეკრასოვს	118
ფეხბურთი . .	120
გაზაფხული ემზადება არჩევნებისთვის	122
სტენდალი	124

	გვ.
ტრისტან და იზოლდა	125
გასეირნება ტაშისკარში	126
წყარო . .	127
წითელარმიელი .	128
ნიკოლოზ ბარათაშვილს .	130
შევჩენკოს პორტრეტის წინ	132
რუსთაველის დედა	133
მთარგმნელი	135
ასკილი .	136
ჩემ ქეთოს	137
ზღვას .	138
წიგნიდან „ზღვა“	140
ცირკი ზღვის პირად	141
პოტანიკური ბაღი	142
ნიკო ცხვედაძეს	143
აბესალომ და ეთერი	145
ლექსის დაბეჭდვამდე . . .	146
რესთაველის პროსპექტის ხეივნის ქვეშ	147
ზეციური სონეტი	148
ტარას შევჩენკო	149
დანიელ პონქაძე	151
ბაქო	152
ილია აგლაძეს	159
სონეტის ქალაქი	160
ასტმა .	161
აკაკი ქუთაისში	162
არჩევნებისკენ	163
ოგიუსტ როდენი	164
უშანგი ჩხეიძე	165
ბავშვობა და ნისლები	166
ერთი სტრიქონი .	168
წვიმიანი დღე სურამში	169
ჯაკლის ხეს .	170
მიხეილ ლერმონტოვს	171
სურამის ციხე .	172
შექსპირი . . .	173
ნავოის თარგმნის დროს	174
ფიქრი ლექსებზე	175
შოთას .	176
საშა წულეკიძე . .	177
წარწერა ანთოლოგიის წიგნზე	178

	გვ.
ლადო კეცხოველი	179
1941 წლის 1 იანვარი	180
ძველი წიგნიდან	
Intereuer — პირველი	183
ოცნება წვიმაში	184
საღამოს მასკები	185
ხელის ორეული	186
როიალთან	187
ღამის ფოთლები	188
Auoue	189
ძაღლის სიმღერა	190
თეატრში	191
შემოდგომის ქანდაკება	192
სანტიმენტალური ტრიოლეტი	193
ქალწულს მტრედისფერში	194
მე სარკეში	195
პირველი თოვლი	196
ოფელიას დღესასწაული	198
ნაფტალინის დედოფალი	199
შემოდგომა	200
თეთრი საცოლე	202
ალი არსენიშვილს	204
თარგმანები	
ა. ს. პუშკინი — ნაადრევს	207
არიონი	208
პორტრეტი	209
მშვენიერ ქალს	210
სიმღერა გრძნეულ ოლეგზე	211
ბრინჯაოს მხედარი (პოემა)	215
მ. ი. ლერმონტოვი — მომაკვდავი გლადიატორი	230
სამშობლო	232
„რად არ გავჩნდი ქვეყანაზე"	233
ნ. ნეკრასოვი — სამშობლო	234
უცნობ მეგობარს	237
ვ. ბრიუსოვი — ლენინს	239
ხანჯალი	240
კალატოზი	241
საღამო	242
* * *	
ვალერიან ვაფრინდაშვილი (ბიოგრაფიული ცნობა)	243

Валериан Иванович Гаприндашвили

Избранное

(На грузинском языке)

Госиздат Грузинской ССР
Тбилиси—1956

რედაქტორი რ. ორჯონიკიძე
მხატვარი ი. ჯანაშვილი
მხატვრული რედაქტორი გ. გორდელაძე
ტექრედაქტორი ო. ლაბაძე
კორექტორი ნ. თავაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.II-56 წ.
უე 00449. ანაწყობის ზომა $5^1/_2 \times 9$. ქაღალ-
დის ზომა $84 \times 108^1/_{32}$. ნაბეჭდი თაბახი 12.7.
სააღრ.-საგამ. თაბახი 7,3. ტირაჟი 5.000.
შეკვ. № 530.

ფასი 8 მან.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

*

Комбинат печати Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.